N 5 2020

მასწავლებელი



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„სხვა გაკვეთილების ცხრილი“



მასწავლებელი

№5(66), 2020

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ანა ღვინიანიძე, ნათია ფურცელაძე, თამთა დოლიძე, ქეთევან ოსიაშვილი, მარიამ გოდუაძე, მაია ფირჩხაძე, ნესტან რატიანი, მაია ჯალიაშვილი, გიტა თვალაბეიშვილი, თამარ გეგეშიძე, მანანა სეხნიაშვილი, ნათია უჩავა, თამთა კობახიძე, მაია მენაბდე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 3-374

WWW.TPDC.GE

ნატო ინგოროყვა

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ საინფორმაციო, საგანმანათლებლო რესურსების პროგრამა ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge“, მასწავლებლის ბიბლიოთეკის სერიით მასწავლებლის წიგნებს გამოსცემს.

წელს გამოცემულ ორ წიგნზე მინდა გითხრათ:

„სხვა გაკვეთილების ცხრილი“ – წიგნის სათაური შემთხვევითი არ გახლავთ... ნაფიქრია... მკითხველის დაბნევა არ გვიცდია. ეს ჩვეულებრივი გაკვეთილების ცხრილია – ტრადიციული საგაკვეთილო ჩამონათვალით. უბრალოდ, ამ ჩამონათვალში არსად წერია კონკრეტული საგნების დასახელება. აქ, სინამდვილეში, ყველა დისციპლინაა, რომელსაც სკოლაში ვასწავლით, თითოეული მათგანისთვის აუცილებელი შინაარსით. თუ თქვენ ქიმიის, ფიზიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, ხატვის, მუსიკის თუ რომელიმე სხვა საგნის მასწავლებელი ხართ, ეს წიგნი თქვენთვისაა. აქ აუცილებლად იპოვით თქვენთვის მნიშვნელოვან წერილებს. როგორც შეგპირდით, ყველა საგანს თან ახლავს თვითშეფასების, წიგნიერების, მედიაწიგნიერების, ტოლერანტობის, ძალადობის გადალახვის, მშობლებისა და შვილების და ჩვენი მასწავლებლების პასუხისმგებლობიდან თავისუფლებამდე და პირიქით გასავლელი გზისთვის საჭირო მინიშნებები. ეს წიგნი ნდობაზეა. სხვაგვარად არაფერი ისწავლება.

„ვწერ მასწავლებლისთვის!“

მასწავლებლის პროფესიაში ხშირია დილემების წინაშე დგომა. ხშირია გზაჯვარედინები. თითოეულ ჩვენგანს ჩვენი სკოლა და მასწავლებელი გვახსოვს. გვახსოვს ყველა სიხარული და წყენა, ყველა შიში. ჩვენ დღესაც ვსწავლობთ. ვსწავლობთ ჩვენი და სხვების გამოცდილებით.

ეს წიგნიც მასწავლებლისთვის დაიწერა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ის მხოლოდ მათი საკითხავი ან დამხმარე ლიტერატურაა. მეტი დამაჯერებლობისთვის შევეცდები ავხსნა:

სკოლის გზის საიდუმლოება; დამოუკიდებლობა და თავისუფლება; რა აინტერესებს მას, ვისაც არაფერი აინტერესებს; გზაზე ერთი ბიჭი მიდიოდა; სად არიან შვილები, შვილები სად არიან?; სკოლის სევდა; მკვდარი პოეტების საზოგადოება; ახლომხედველის მეხსიერება; იტირე? მადლი გიქნია; „ყველაზე თურმე ენა აქვს“, ანუ როგორ საუბრობენ მოლეკულები; მასწავლებლის სევდა; სად მთავრდება სწავლა და სად იწყება სწავლება; ორიენტირი; „თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს“; ახლომხედველი ბავშვი სკოლაში; განსაზღვრება, ადამიანები; რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა; არასწორი ვალდებულებები გოგონებისთვის; უკან, სკოლაში; რისგან უნდა დავიცვათ ბავშვი; როგორი მომავალი გვინდა; რას ველი მასწავლებლისგან; კითხვები მასწავლებლებისთვის; გოგოების ვალდებულებები – გამეორება, შეცდომების გასწორება; დევნილობის ამბები; მასწავლებლის შვილი; მასწავლებელი სოფლის სკოლისა; ვის ეძღვნება ილია ჭავჭავაძე?; ძმები ერთ კლასში; რატომ გვჭირდება პოლემიკა; ნორმალური მოსწავლეები, როგორ მოვატყუოთ მასწავლებლები; სიკეთის წილი საწერი; შვლის ნუკრებისთვის ადგილი აქ არ არის; სასკოლო ზეიმების სევდა; შეცდომების მდინარე; განათლების სისტემის ოქროს რგოლი; მასწავლებელი ქალები დამფუძნებელ კრებაში; მასწავლებელი სამოქალაქო პოზიციით; მასწავლებლობიდან მსოფლიოს ლიდერობამდე; სიტყვის თავისუფლების დილემა; მასწავლებელი როგორც მსხვერპლი; უკანა მერხის ბავშვები;

ეს სხვადასხვა ავტორის წერილების სათაურების ნაწილია, რომელიც ამ წიგნმა გააერთიანა. სათაურებიც ამბობენ, თუ რამდენი დილემაა ჩვენ წინაშე და რომლის გადალახვაში შემოგვეშველება ეს წიგნი.



რესურსი

12 | თამთა დოლიძე
საშინაო დავალება მასწავლებლისთვის

რა ხდება მაშინ, როცა მასწავლებელი ერთდროულად სწავლობს და ასწავლის?! მას თითქმის არ სძინავს: კითხულობს თემატურ ლიტერატურას, ეცნობა სხვა ქვეყნების გამოცდილებას, ცდილობს გაერკვეს ამა თუ იმ ონლაინ პროგრამის მუშაობის მექანიზმში, რათა შეუფერხებლად შეძლოს მოსწავლეებთან დისტანციურად მუშაობა და, რაც მთავარია, ქმნის უამრავ საგნობრივ ელექტრონულ რესურსს.

19 | მარიამ გოდუაძე
როგორ დავწეროთ ინდივიდუალური გეგმები ონლაინსწავლებისას

პრიორიტეტების მატრიცა დაეხმარება განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს, ადვილად დაუკავშირდნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ სასკოლო გუნდს, რათა ასევე მარტივად შეისწავლონ ესა თუ ის შემთხვევა და გასცენ დროული და მნიშვნელოვანი უკუკავშირი.

22 | მაია ფირჩხაძე
მეტაკოგნიტიური სავარჯიშოები ისტორიული აღქმის, ფაქტის, მოვლენისა და ცნებების გააზრებისთვის

ისტორიული წარმოსახვა, როგორც ისტორიული აღქმის შემადგენელი ნაწილი, ისტორიული ცოდნის „პირველი საფეხურია“, რომელზე აუსვლელადაც მოსწავლე ვერ გაიგებს ისტორიული პროცესის არსს და ვერ შეძლებს ცნებების ფორმირებას და სიღრმისეულ გააზრებას.

35 | მაია ჯალიაშვილი
ფუნქციური ცოდნის ნიუანსები

ფუნქციური სწავლება, ფართო მნიშვნელობით, გულისხმობს სხვადასხვა დისციპლინაში შეძენილი ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარს.

38 | გიტა თვალაბეიშვილი
როგორ შევქმნათ ქცევის წესები პირველკლასელთათვის

საკლასო ოთახში ქცევის წესებს მასწავლებლები სწავლის დაწყების დღეს ვქმნით და ვაღიაროთ, რომ ეს დიდ დახმარებას გვიწევს კლასის მართვისას. მათი შედგენისას რამდენიმე რეკომენდაციასაც ვითვალისწინებთ.

48 | ნათია უჩავა
როგორ იყენებენ მოსწავლეები ცოდნას

როგორ იყენებენ მოსწავლეები ცოდნას, რომელსაც გაკვეთილებზე ვაწვდით? ახერხებენ კი პრაქტიკაში მის გამოყენებას? საკმარისია თუ არა მიწოდებული მასალა ამისთვის? – ეს იმ კითხვების მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს.

განათლების ფსიქოლოგია

4 | ანა ღვინიანიძე
რა ვასწავლოთ ამ წელს?

რა და როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს, რათა თუნდაც ათი ან ოცი წლის შემდეგ ცვალებად გარემოსთან შეგუება შეძლონ? შეგვიძლია თუ არა, განვუვითაროთ მათ ისეთი უნარები, რომლებიც ცვალებად სამყაროში საყრდენად გამოადგებათ?

16 | ქეთევან ოსიაშვილი
დისტანციური სწავლებიდან რეალურ სასკოლო გარემოში: სირთულეები და დაძლევის გზები

სკოლაში დაბრუნების მიუხედავად, ბავშვს იქ მაინც არ დახვდება ის, რაც მან ონლაინსწავლების დაწყებამდე დატოვა. იმის გამო, რომ სკოლებს ჯერ კიდევ მძვინვარე პანდემიის პირობებში მოუწევთ მუშაობის გაგრძელება, საჭირო იქნება მთელი რიგი ცვლილებების შეტანა იმ გარემოში, სადაც ყველა ასე მოუთმენლად ელის შეხვედრას.



27-30

ელიზბარ ელიზბარაშვილი
ვარდკაბჭკაჭა

გურამ მეგრელიშვილი
ნარცისის ქრონიკები

დათო გორგილაძე
გასვლის დრო

ინა იმედაშვილი
წითელი დემენტორები საკლასო ოთახებიდან

მოსაზრება

31 ნესტან რატიანი
ფაქტობრივი და სიტყვიერი კამათი

თუკი ფაქტობრივი კამათის დროს გამარჯვებულია ის, ვინც უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს წარმოადგენს, სიტყვიერ კამათში ის იმარჯვებს, ვინც აღქმის მისეული ვარიანტის სისწორეში დაარწმუნებს მოწინააღმდეგე მხარეს.

41 თამარ გეგეშიძე
როგორ „ვაწერინო“, როცა არ „ეწერინება“
ანუ შემოქმედებითი წერის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

გაკვეთილზე ამ თითქოსდა ეგზისტენციალური კითხვების განხილვა და სავარაუდო პასუხების მოსმენა დაეხმარება მოსწავლეს, საკუთარ თავს უცხო თვალით შეხედოს და დაინახოს ის როგორც შესაძლო პერსონაჟი, რომელსაც უამრავი რამ აქვს სათქმელი.

გამოცდილება

7 ნათია ფურცელაძე
როგორ გაუხალისოს მშობელმა პირველკლასელს მეცადინეობის პროცესი

ზოგიერთი ბავშვი მარტივად გადის ადაპტაციის პროცესს, ადვილად ეგუება სასწავლო რეჟიმს, მაგრამ ზოგიერთს ურთულდება, ეს კი მთელ რიგ პრობლემებს იწვევს. მაგალითად, შესაძლოა პირველკლასელს დაეუფლოს განცდა, რომ რაღაც არ გამოუვა, ვერ დაწერს ან წაიკითხავს, ამის გამო დაეწყოს შფოთვა და მეცადინეობის სურვილი დაეკარგოს.

43 მანანა სეხნიაშვილი
როგორ ყალიბდება კრიტიკის კულტურა

მრავალი პედაგოგი სულ უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებინებს მოსწავლეებს ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებაზე. პირველ რიგში, უნდა ვასწავლოთ მათ, როგორ გააკეთონ ეს. არსებობს უამრავი მეთოდი, მაგრამ ძირითადი პრინციპები საერთოა.

50 თამთა კობახიძე
თვითშეფასება, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

თვითშეფასების შესახებ განმარტებები რომ შევაჯამოთ, აღმოვაჩენთ, რომ იგი სკოლაში მიმდინარე აქტივობების მუდმივი კვლევაა, რომლის საბოლოო მიზანს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება წარმოადგენს. პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასში ჩართული პირების პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

53 მაია მენაბდე
იზოლაციის მხატვრული ანალიზი

ხომ არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებისთვისაც სკოლა, სწავლა, მასწავლებელი ტვირთი და სიმძიმე კი არა, აუცილებელი, საჭირო ურთიერთობაა. მეც მყავს ასეთები. ჰოდა, უმოწყალოდ შემცირებული საგაკვეთილო დრო რომ ამოგვეწურებოდა, სხვა გაკვეთილი თუ არ ეწყებოდათ, ვისხედით ასე, თითო- ოროლა, ჩვენს-ჩვენს ეკრანებთან, ვსაუბრობდით საკუთარ თავებზე.



ანა ღვინიანიძე

რა ვასწავლოთ ამ წელს?

ჩვენ მიგნებებისა და აღმოჩენების ხანაში ვცხოვრობთ. მეცნიერული თუ ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ ინფორმაცია ხანდახან საათში ერთხელაც კი თავსდება ინტერნეტში. სიახლის მოთხოვნილება, ერთი მხრივ, ჩვენი ძირეული მოთხოვნილებაა; მეორე მხრივ, სიახლეები ჩვენგან შეგუების უნარის გაძლიერებას მოითხოვს.

რა და როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს, რათა თუნდაც ათი ან ოცი წლის შემდეგ ცვალებად გარემოსთან შეგუება შეძლონ? შეგვიძლია თუ არა, განვუვითაროთ მათ ისეთი უნარები, რომლებიც ცვალებად სამყაროში საყრდენად გამოადგებათ? **ან იქნებ გაზვიადებულიც კია ისეთი ცვლილებების მოლოდინი, რომლებიც საგრძნობლად შეცვლის განათლების სისტემის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს?**

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თანახმად, 2020 წლისთვის, დამქირავებლისთვის სასურველი რომ ყოფილიყო, ადამიანს ათი მნიშვნელოვანი უნარის განვითარება სჭირდებოდა. 2015-დან 2020 წლამდე ხარისხის კონტროლის უნარი ემოციური წიგნიერების უნარმა შეცვალა, დანარჩენმა ცხრამ კი უცვლელად შეინარჩუნა მნიშვნელოვნება.

მკვლევართა აზრით, 2030 წლისთვის ადამიანებს, წარმატებით რომ დასაქმდნენ, უნარების სამი დიდი ჯგუფი დასჭირდებათ:

ა) კოგნიტიური და მეტაკოგნიტიური უნარები, რომლებიც კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, „სწავლის სწავლასა“ და თვითრეგულაციის უნარებს მოიცავს;

ბ) სოციალური და ემოციის მართვის უნარები, რომლებიც ემპათიას, საკუთარ მოქმედებათა შედეგიანობის რწმენას, პასუხისმგებლობისა და თანამშრომლობის უნარებს გულისხმობს;

გ) პრაქტიკული უნარები, რომლებიც ახალი ინფორმაციისა და კომუნიკაციაში მონაწილე ტექნოლოგიის სწორად გამოყენების უნარებია.

ეს სამი ჯგუფი, თავის მხრივ, მოიცავს ძირითად უნარებს, რომელთა განვითარებაც სასურველი იქნებოდა მომავლის ადამიანისთვის. ესენია:

- **შემეცნებითი მოქნილობა,** რაც გულისხმობს ორი ძირითადი უნარის, სახელდობრ, აზროვნების მოქნილობისა და ძველი ქმედების ახლით შეცვლის უნარების, დახვეწა-განვითარებას. შემეცნებითი მოქნილობის განვითარების შემთხვევაში შეგვიძლია, მიზნის მიღწევის ჩვეული გზები ახალი, მეტად შედეგიანი გზებით შევცვალოთ, ხოლო ამ დრომდე მიღებული ცოდნა, საჭიროებისამებრ, განვაახლოთ. სწრაფად ცვალებად გარემოში ეს ერთ-ერთი უნარია, რომელიც სიახლეებთან შეგუებაში გვეხმარება.

- **რთული ამოცანების გადაჭრის უნარი,** რაც მოიაზრებს პრობლემური სიტუაციისა თუ ამოცანის იდენტიფიცირებას, მის მდგენელებად დაშლას, წარმოდგენას და თითოეული მდგენელისთვის გადაჭრის გზის მოძიებას.

- **პრობლემურ გარემოებებთან გამკლავების უნარი,** რაც ისეთი კითხვების დასმასა და პასუხების გაცემაში დახელოვნებას გულისხმობს, როგორიცაა:

ა) *სახელდობრ, რაში მდგომარეობს პრობლემა?*
ბ) *რომელი მდგენელებისგან შედგება ის?*
გ) *რა ნაბიჯების გადადგმა შემიძლია პრობლემის გადასაჭრელად?*
დ) *რამდენი დრო დამჭირდება თითოეული ეტაპის გასავლელად? ვისი დახმარება დამჭირდება თითოეული ეტაპის გასავლელად? რა საშუალებები დამჭირდება? რამ შეიძლება შემიშალოს ხელი? როგორ გადავლახავ ამ დაბრკოლებებს? – და ა.შ.*

კრიტიკული აზროვნება, რაც გულისხმობს კითხვების დასმის უნარს იმ ცოდნის ირგვლივ, რომელსაც ახლა ვფლობთ. ის ასევე მოიცავს საკუთარი თუ სხვების ცოდნაში დაეჭვების უნარს და არა უპირობოდ, არამედ შესაბამისი კითხვების დასმის საფუძველზე ცოდნის გამდიდრებისთვის მზაობას. შემოქმედებითობა გულისხმობს მზაობას აქამდე გამოუყენებელი გზების ძიებისთვის. განვითარებული შემოქმედებითი უნარის მქონე ადამიანები, ხშირ შემთხვევაში, ეყრდნობიან წარმოსახვისა და რეალობის სწორად შეფასების უნარს. შემოქმედებითობა, სიახლის ძიებისთვის მზაობასთან ერთად, სინამდვილესთან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უნარსაც გულისხმობს.

მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღების უნარი – მსჯელობის განვითარებული უნარის მქონე ადამიანები ცდილობენ, აწონ-დაწონონ კონკრეტული პრობლემური ამოცანის მდგენელები. ეს უნარი გულისხმობს მიკერძოებული დასკვნების გამოტანისკენ მიდრეკილების ცოდნას, გავლენების აღიარებისა და გამოყენების უნარს. მსჯელობის განვითარებული უნარის მქონე ადამიანები არა მხოლოდ პასუხს სცემენ პრობლემურ სიტუაციასთან დაკავშირებულ კითხვებს, არამედ აცნობიერებენ მსჯელობის უნარზე გავლენის მომხდენ გარემოებებსაც.

> რა და როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს, რათა თუნდაც ათი ან ოცი წლის შემდეგ ცვალებად გარემოსთან შეგუება შეძლონ? შეგვიძლია თუ არა, განვუვითაროთ მათ ისეთი უნარები, რომლებიც ცვალებად სამყაროში საყრდენად გამოადგებათ?

ჩვენ მიგნებებისა და აღმოჩენების ხანაში ვცხოვრობთ. მეცნიერული თუ ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ ინფორმაცია ხანდახან საათში ერთხელაც კი თავსდება ინტერნეტში. სიახლის მოთხოვნილება, ერთი მხრივ, ჩვენი ძირეული მოთხოვნილებაა; მეორე მხრივ, სიახლეები ჩვენგან შეგუების უნარის გაძლიერებას მოითხოვს.

მაგალითად:

ა) *რა ფაქტორები შეიძლება ახდენდეს გავლენას მსჯელობის უნარზე?*

ბ) *რომელი მიკერძოებული დასკვნები შეიძლება ახდენდეს გავლენას მსჯელობის უნარზე?*

გ) *როგორ შევამცირო ამ ფაქტორებისა თუ დასკვნების გავლენა?*

გადაწყვეტილების მიღების უნარი უკიდურეს მერყეობასა და იმპულსურობას შორის წონასწორობის შენარჩუნების უნარია. ადამიანებს, რომლებსაც ეს უნარი განვითარებული აქვთ, შეუძლიათ, მართონ გადაწყვეტილების სწრაფად, დაუფიქრებლად მიღების ძლიერი სურვილი. ისინი უკეთ უმკლავდებიან გადაწყვეტილების მიღებამდე განცდილ დაძაბულობას, შფოთვას და შეუძლიათ ალტერნატივების შეფასების პროცესის შეწყვეტა. გადაწყვეტილების მიღების უნარი არსებითისა და მეორეხარისხოვნის ერთმანეთისგან განსხვავების უნარსაც მოიცავს.

ემოციური წიგნიერება – ის გულისხმობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა სტრესული მდგომარეობის მართვის, საკუთარი და ირგვლივ მყოფების ემოციების ამოცნობისა და დასახელების, ირგვლივ მყოფებისადმი თანაგანცდის და, საჭიროებისამებრ, მხარდაჭერის უნარები.
ემოციურ წიგნიერებას, ადამიანების მდგომარეობის ამოცნობას და მხარდაჭერას, ზოგიერთი მკვლევარი წარმატებისა და ნაყოფიერი შრომის გაცილებით მნიშვნელოვან წინაპირობად მიიჩნევს, ვიდრე ინტელექტის კოეფიციენტს. ადამიანები, რომლებსაც განვითარებული აქვთ ემოციებისა და მდგომარეობების ამოცნობის უნარი, გაცილებით მჭიდრო ურთიერთობებს ამყარებენ ირგვლივ მყოფებთან, მათ შორის – თანამშრომლებთანაც, შეუძლიათ, სწორად იმოქმედონ ირგვლივ მყოფების ემოციების გათვალისწინებით და, იმავდროულად, გულწრფელად აღიარონ და გამოხატონ, რას განიცდიან თავად.

მოლაპარაკების წარმოებისა და შეთანხმების მიღწევის უნარი – ადამიანები, რომლებსაც ეს უნარი განვითარებული აქვთ, ცდილობენ, უპასუხონ ისეთ კითხვებს, როგორიცაა:

ა) *რა მინდა მე და რა უნდა სხვას?*

ბ) *შეგვიძლია თუ არა შეთანხმება?*

გ) *რისი დათმობა შემიძლია მე შეთანხმების მისაღწევად და რისი დათმობა შეუძლია სხვას?*

დ) *როგორ გამოვხატო ჩემი სურვილები სხვისთვის მისაღები ფორმით? როგორ შევუქმნა ადამიანებს სწორი წარმოდგენა იმაზე, რაც მჭირდება? როგორ გავიგო, რა სჭირდებათ და სურთ სხვებს?*

სხვებთან შეთანხმების საფუძველზე მოქმედების უნარი გულისხმობს სხვებზე დამოკიდებულების აღიარების და შესაბამისად მოქმედების უნარს. თანამედროვე სამყაროში, თითოეული ადამიანის ცვალებადი ცხოვრებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უნარი, საკუთარი ქმედებები სხვებისას შევუსაბამოთ.
ადამიანებთან ურთიერთობის მართვის უნარი მოიაზრებს მოთმინებასა და კეთილგანწყობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარებისა და შენარჩუნების უნარს. ადამიანებთან ურთიერთობის მართვის უნარის განვითარება, როგორც წესი, უკავშირდება თანამშრომლებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის გაძლიერებას და დასაქმების ადგილისადმი ერთგულებას.
მომსახურებაზე ორიენტირება ადამიანების სურვილების ამოცნობის უნარია – მანამდეც კი, სანამ ისინი საკუთარი სურვილების ჩამოყალიბებას შეძლებენ. ეს უნარი გულისხმობს ადამიანების მოლოდინების გამოკვეთასა და დაზუსტებას.

როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილი ყველა უნარი მნიშვნელოვანი იყოს მომავლის ადამიანისთვის? ან რა შეგვიძლია ვასწავლოთ წელს მოსწავლეებს?

იქნებ სულაც მომავლისთვის მზაობა.



ნათია ფუჩიჯელაძე

როგორ გაუხალისოს მშობელმა პირველკლასელს მეცადინეობის პროცესი

ახალი სასწავლო წლის დაწყება დიდებსაც და პატარებსაც ემოციებით გვავსებს, მაგრამ განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით სკოლაში ფეხის შედგმას პირველკლასელები ელოდებიან. მათი ყოველდღიური ცხოვრება და რეჟიმი იცვლება. მომავალ მოსწავლეებს უხარიათ და, იმავდროულად, ღელავენ კიდეც, აინტერესებთ, რა მოხდება სკოლაში, როგორ უნდა იმეცადინონ, ვინ იქნება მასწავლებელი, რას ეტყვიან თანაკლასელები. მღელვარება სავსებით ბუნებრივია – განა ჩვენ, ზრდასრულები, არ ვშფოთავთ, როცა წინ რაღაც სიახლე ან გაურკვევლობა გველოდება?

ზოგიერთი ბავშვი მარტივად გადის ადაპტაციის პროცესს, ადვილად ეგუება სასწავლო რეჟიმს, მაგრამ ზოგიერთს ურთულდება, ეს კი მთელ რიგ პრობლემებს იწვევს. მაგალითად, შესაძლოა პირველკლასელს დაეუფლოს განცდა, რომ რაღაც არ გამოუვა, ვერ დაწერს ან წაიკითხავს, ამის გამო დაეწყოს შფოთვა და მეცადინეობის სურვილი დაეკარგოს. ცხადია, ასეთ დროს მასწავლებელს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება, ის უნდა დაეხმაროს ბავშვს, მაგრამ არანაკლები შეუძლია მშობელს.

როგორ მოვახერხოთ, რომ პირველკლასელისთვის მეცადინეობა არა მოსაწყენ და სავალდებულო საქმიანობად, არამედ სასიამოვნო პროცესად იქცეს? რა შეგვიძლია მშობლებს?

ჩემეული პასუხი ასეთია – „მოვუშინაუროთ“ ის, რასაც სწავლობს. პატარებს ძალიან უყვართ თამაში, შეგვიძლია, ანბანის და ციფრების სამყარო უფრო ახლოს თამაშით გავაცნოთ.

გაგიზიარებთ რამდენიმე შემეცნებით აქტივობასა და თამაშს, რომელთა ჩატარება სახლის პირობებშიც შეიძლება. მთავარი წესია, ჩვენ, ზრდასრულებმა (მშობლებმა, ნათესავებმა, მეზობლებმა და სხვ.), მათთან ერთად ვითამაშოთ. ამით ბავშვსაც გავახარებთ და დავაკვირდებით კიდეც, რა უჭირს ან ეადვილება, მერე კი ჩვენც გაგვიადვილდება პრობლემების მართვა.

ანბანის ხატვა

დაიწყებს თუ არა პირველკლასელი ანბანისა და ციფრების შესწავლას, შევთავაზოთ, დახატოს ეს ასოები და ციფრები და მათ შესახებ ამბები გამოიგონოს. სასურველია, ზრდასრულმაც ხატოს და პატარას მაგალითი მისცეს.

ქვემოთ ნახავთ ჩემი პირველკლასელი შვილის მიერ დახატულ თ-ს, ა-ს და ს-ს, მაგრამ ეს უბრალოდ ასოები არ არის; აქ ჩანს, როგორ მიჰყავს ს-ს (ანუ დედას) თ და ა (შვილები) სკოლასა და ბაღში – ასე ახსნა მხატვარმა.

> თამაშებისა და აქტივობების მოფიქრება უსასრულოდ შეიძლება. მთავარია, გვახსოვდეს, რომ თითოეული ბავშვი ინდივიდია, ყველაფერი მათი ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით დავგეგმოთ და მათი ნებისმიერი მცდელობა წავახალისოთ.

ნახატი იძლევა როლური თამაშის საშუალებასაც – ასოებს შორის შეიძლება გაიმართოს დიალოგი ან ვკითხოთ ბავშვს, რას ფიქრობს თავის ნახატში მზე ასო-ბგერებზე და ა.შ.

მთავარია, პირველკლასელის ფანტაზიას გასაქანი მივცეთ და დავარწმუნოთ, რომ ასოები მხოლოდ სასკოლო რვეულებისა და წიგნების ფურცლებზე არ ,,ცხოვრობენ", მათი თავგადასავალი დაუსრულებლად გრძელდება. სწორედ ეს არის მათი „მოშინაურების" ერთ-ერთი საიდუმლო.

ანბანის ძერწვა

ძალიან სახალისოა შესწავლილი ასოების ძერწვა. **ერთი, რომ ნატიფ მოტორიკას აუმჯობესებს, მეორე და მესამე – ხელს უწყობს წარმოსახვის უნარის განვითარებას და ასო-ბგერების უკეთ დამახსოვრებას.**

ფოტოზე ხედავთ, როგორ გამოძერწა პირველკლასელმა ასოები. მერე ისინი გმირებად აქცია და მოიგონა, როგორ ერთობოდნენ თ, ხ, ს, ი და ა. ძერწვის პროცესიც და თამაშიც ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა.

მეხსიერების თამაში ანბანის შესახებ

ალბათ, ბევრისთვის ნაცნობია მეხსიერების თამაში, რომელიც, სულ მცირე, ორმა ადამიანმა უნდა ითამაშოს. წყვილ ბარათზე გამოსახულია ერთი და იგივე ნახატი, წარწერა ან სხვა რამ. ბარათები რიგდება ისე, რომ ჩანს მხოლოდ უკანა მხარე (ის ყველა ბარათს ერთნაირი აქვს). მოთამაშეს ერთ ჯერზე ორი ბარათის გადმობრუნების უფლება აქვს. თამაშის პროცესში ის უნდა დააკვირდეს, სად რომელი დევს და დაიმახსოვროს. როცა ორ ერთნაირ ბარათს ზედიზედ გადმოაბრუნებს, ორივე მისი ხდება. იმარჯვებს ის, ვინც მეტ ბარათს მოაგროვებს.

სკოლაში შესვლამდე ეს თამაში ძალიან უყვარდა ჩემს შვილს და სწორედ ამან შთაგვაგონა, დაგვემზადებინა მეხსიერების ხელნაკეთი თამაში ანბანის თემაზე.

შინ გვქონდა ერთ ქართულ საწარმოში დამზადებული ხის ასოები (ფოტოზეც ჩანს). პირველკლასელმა თხუთმეტი



ზოგიერთი ბავშვი მარტივად გადის ადაპტაციის პროცესს, ადვილად ეგუება სასწავლო რეჟიმს, მაგრამ ზოგიერთს ურთულდება, ეს კი მთელ რიგ პრობლემებს იწვევს. მაგალითად, შესაძლოა პირველკლასელს დაეუფლოს განცდა, რომ რაღაც არ გამოუვა, ვერ დაწერს ან წაიკითხავს, ამის გამო დაეწყოს შფოთვა და მეცადინეობის სურვილი დაეკარგოს.

მათგანი შეარჩია და ხის შაბლონების დახმარებით თხუთმეტ წყვილ ბარათზე ამოწერა. თამაშის პროცესში ახალი იდეებიც გაგვიჩნდა. მაგალითად, გარდა ბარათების დამახსოვრებისა, ვასახელებდით, რომელი სიტყვები (ხილი, ბოსტნეული, ფერი, სათამაშო, მულტფილმი და ა.შ.) იწყებოდა კონკრეტულ ასოზე. ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება, მაგალითად, ბარათების მოხატვა და გაფორმება. ასე სათამაშო კიდევ უფრო საყვარელი და ძვირფასი გახდება ბავშვისთვის.

თამაშის პროცესში ბავშვს უვითარდება **მეხსიერება და დაგეგმვის უნარი, უმდიდრდება ლექსიკური მარაგი** და, რაც მთავარია, **ანბანი მისი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი ხდება**.

ასოებზე თევზაობა

შესაძლოა, ერთ დღესაც აღმოაჩინოთ, რომ ბავშვი წერისას ასოებს ტოვებს. ეს ბუნებრივია, მით უმეტეს – პირველ კლასში. ამ სირთულის დაძლევა ადვილად შეიძლება (აქვე აღვნიშნავ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, შეცდომის შიში არ გავუღვივოთ პატარა ადამიანს. მართლწერის პრობლემა მარტივად გვარდება, შეცდომის შიში კი მთელი ცხოვრება მიგვყვება და გვტანჯავს).

სათამაშო, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, ხელნაკეთია. დაფის მაგნიტებს ასოები მივაწებეთ. შინ აღმოგვაჩნდა მაგნიტიანი სათამაშო ანკესი. შემდეგ ფურცელზე დავწერე პერსონაჟების სახელები იმ წიგნიდან, რომელსაც ვუკითხავდი. ფურცელი მივაკარი მაგნიტურ დაფას. ბავშვს გამოტოვებული ასო უნდა ეპოვა, ანკესით „დაეჭირა“ და კუთვნილ ადგილას მოეთავსებინა. შეგვიძლია, ამ აქტივობას მარჯვენა-მარცხენას გარჩევის სავარჯიშოც დავუმატოთ – ვთხოვოთ ბავშვს, პირველი ასო მარჯვენა ხელით „ამოიყვანოს“ ან პირიქით.

რამდენიმეწუთიან თამაშს ბევრი რამის მოცემა შეუძლია: **პირველკლასელი ადვილად ამჩნევს, რომელი ასოა გამოტოვებული და სიტყვას ავსებს, უვითარდება ინსტრუქციის მოსმენისა და გაგების უნარი, ხალისობს და სიამოვნებით ასწორებს შეცდომას.**



ანბანის თეატრი

როლური თამაში და სპექტაკლის გამართვა ბავშვებს ძალიან უყვართ. შეგვიძლია პირველკლასელს შევთავაზოთ, დახატოს საკუთარი თავი (მეგობარი, ოჯახის წევრი), მერე – თავისი სახელის შემადგენელი ასოები,

გააფერადოს და გააფორმოს. დახატული გამოჭრას უსაფრთხო მაკრატლით (საჭიროებისამებრ, დავეხმაროთ ან ვუჩვენოთ, როგორ გააკეთოს ეს) და ქაღალდის წებოთი მიაკრას ხის ჩხირებს. „მსახიობები“ სპექტაკლისთვის მზად არიან. აქვე ავუხსნით, რომ თეატრს, გარდა მსახიობებისა, ჰყავს რეჟისორი, სცენარისტი, კოსტიუმების მხატვარი და თავად უნდა მოირგოს სხვადასხვა როლი.

ძალიან საინტერესოა, რას ათქმევინებს „მსახიობებს“ ბავშვი, რა სცენარს მოიგონებს. მისი სიტყვები ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. შეგვიძლია, კითხვები დავუსვათ და ვაპასუხებინოთ, ვთხოვოთ, გაგვაცნოს ასოები, დაახასიათოს ისინი, გაახმოვანოს, რას ფიქრობენ და სხვა.

ჩემმა ქალიშვილმა დახატა საკუთარი თავი დასთან ერთად, მერე კი – მათი სახელების ასოები. ბევრი იფიქრა, როგორ მოეხატა ესა თუ ის ასო, რა ფერი შეერჩია, თვალები როგორ ჩაეწებებინა. სპექტაკლში აქტიურად ჩაერთო უმცროსი გოგონაც, რომელიც ბაღში დადის. სცენარი ასეთი გამოგვივიდა: მას შემდეგ, რაც ელენეს და კატოს თოჯინები სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე გამოჩნდნენ, მათ სახელები დაეკარგათ და ძებნა დაიწყეს. ასოები იმ შემთხვევაში ბრუნდებოდნენ, თუ ბავშვი ამ ასოებზე დაწყებულ სიტყვებს დაასახელებდა. ასოების დაბრუნების შემდეგ კი მსახიობები საუბარს იწყებდნენ.

ამ გზით მოსწავლეს, გარდა იმისა, რომ **ანბანისადმი თბილი დამოკიდებულება უყალიბდება, თითოეული ასო უყვარდება, წარმოსახვისა და მეტყველების უნარებიც უვითარდება, ხდება უფრო შემოქმედებითი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.**

მათემატიკური კროსვორდი

პირველკლასელის საშინაო აქტივობები მხოლოდ ანბანით არ უნდა შემოიფარგლოს. მთავარია, გავიგოთ, რისი კეთება სიამოვნებს ბავშვს და ეს მის საჭიროებებს მოვარგოთ.

ჩემს ქალიშვილს ძალიან უყვარს კროსვორდების შევსება. ამან გადამაწყვეტინა, დამემზადებინა მისთვის მათემატიკური კროსვორდი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, ეს როგორ გამეკეთებინა. ხშირად ვსტუმრობ Pinterest-ს, იქ უამრავ ფერად იდეას ვპოულობ და შემდეგ ჩვენს ინტერესებს ვარგებ. სწორედ Pinterest-ზე აღმოვაჩინე მათემატიკური კროსვორდი, რომელიც უფრო მაღალკლასელის დონეს შეესაბამებოდა, მაგრამ გადავაკეთე და მიზნად დავისახე, ბავშვი ოცის ფარგლებში ანგარიშში გამევარჯიშებინა. მოვამზადე ციფრებიანი სტიკერები, რომ თამაში უფრო სახალისო ყოფილიყო. მას შემდეგ, რაც ბავშვი პასუხს გამოიცნობდა, კროსვორდში შესაბამის სტიკერს ჩააკრავდა. რა თქმა უნდა, შეიძლება, სწორი პასუხი ხელითაც ჩაიწეროს. ფოტოზე ხედავთ, რომ ერთი მაგალითის სწორი პასუხი მოსწავლეს მეორის ამოხსნაში ეხმარება.

www.pinterest.com – გირჩევთ, ესტუმროთ ამ გვერდს, დაათვალიეროთ, საინტერესო რესურსები შეარჩიოთ და პირველკლასელთა ინტერესებს მოარგოთ. გაითვალისწინეთ მათი შესაძ-



ლებლობები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები.

მომდევნო ორი აქტივობაც სწორედ ამ გვერდზე ვიპოვე და თამაშად გადავაკეთე.

რისგან შედგება ნაყინი?

რისგან შედგება 15?

ათისა და ხუთისგან – ეს ერთ-ერთი პასუხია. ჩვეულებრივი პასუხი.



როგორ მოვიქცეთ, რომ პასუხი არაჩვეულებრივი გავხადოთ? ისევ და ისევ თამაშში გამოვიწვიოთ ბავშვი.

ჩემი დაკვირვებით, გამყიდველობანა პატარებს ძალიან უყვართ. ისევე როგორც ფერადფერადი ნაყინი. ამ დაკვირვებამ მომაფიქრებინა ეს აქტივობა.

შვილთან ერთად ასეთი თამაში წამოვიწყე: მე, მყიდველს, მსურდა ისეთი ნაყინი, რომელიც, მაგალითად, ცხრისგან, შვიდისა და ორისგან შედგებოდა. მას უნდა მოეძებნა ასეთი და მოეყიდა. მერე როლებს ვცვლიდით და თამაშ-თამაშით პირველკლასელი ანგარიშშიც იწაფებოდა.

მაგალითების დაფა

ასეთი დაფა ძალიან ადვილი დასამზადებელია. ფურცელზე მაგალითებს ჩამოვწერთ, სწორ პასუხებს კი დავაწერთ ხის სარჭებს, რომლებიც ბავშვმა შესაბამის ადგილას უნდა მიამაგროს.

ვინაიდან ჩვენს ოჯახში პირველკლასელს უმცროსი დაც ჰყავს და მასაც სურს, ამგვარ აქტივობებში ჩაერთოს, აუცილებლად ვუნაწილებ საქმეს. მართალია, ჯერ ანგარიში არ იცის და არც უნდა იცოდეს, მაგრამ ვცდილობ იგრძნოს, რომ ოჯახურ თამაშში მასაც ეკისრება როლი. თამაშს ამგვარად ვიწყებთ: ხის სარჭებს სახლსა და ეზოში ვმალავ. უმცროს დას ევალება, იპოვოს ისინი სხვადასხვა მინიშნების შემდეგ (ძიების პროცესი ლოგიკური აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს) და გადასცეს უფროს დას, პირველკლასელმა კი მაგალითები ამოხსნას. **ამ ყველაფერთან ერთად ბავშვები თანამშრომლობასაც სწავლობენ და ერთმანეთის საჭიროებას აცნობიერებენ.**





თამაშებისა და აქტივობების მოფიქრება უსასრულოდ შეიძლება. მთავარია, გვახსოვდეს, რომ თითოეული ბავშვი ინდივიდია, ყველაფერი მათი ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით დავგეგმოთ და მათი ნებისმიერი მცდელობა წავახალისოთ.

ჩვენ, მშობლებს, შეგვიძლია, ჩვენი შვილების მეცადინეობის პროცესი უფრო სახალისო გავხადოთ, ჯადოსნური თავგადასავლები მოვუწყოთ ბავშვებს, ამისთვის კი გამუდმებით უნდა ვეძებოთ. ძიებისა და ფიქრის პროცესიც ხომ ერთი დიდი სიამოვნებაა!

თამთა ჯოღიძე

საშინაო დავალება მასწავლებლებისთვის

> კონკრეტული მასალის შეჯამებისა და მოსწავლეთა ცოდნის გაზომვის გარდა, ელექტრონული ტესტები სწავლის პროცესშიც ეფექტურ რესურსს წარმოადგენს. იგი მოსწავლეებს საკუთარი თავის გამოცდაში, ძველი ცოდნის გახსენებასა და ახლის განმტკიცებაში ეხმარება.

ხშირად გამიგონია, თითქოს მასწავლებლები სხვა პროფესიის ადამიანებზე ნაკლებს შრომობენ, რადგან მათ გაცილებით დიდი არდადეგები აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური სასწავლო წელი 35 კვირისგან შედგება, მასწავლებლის საქმიანობა სამუშაო გრაფიკში ვერასდროს ეტევა. აქედან გამომდინარე, სკოლის თანამშრომლები დიდ დროს ხარჯავენ არასასწავლო პერიოდში აკადემიური სიახლეების გაცნობა-ათვისებისა თუ მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის მიზნით.

2020 წლის მოვლენებმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დააყენა. მეეჭვება, ბევრ მასწავლებელს ჰქონდეს დაშორებული სწავლების გამოცდილება. მათ შორის, მეც არაფერი ვიცოდი ზემოაღნიშნული სწავლა-სწავლების პროცესებზე და ერთდროულად დამჭირდა ტექნიკური თუ პროფესიული უნარების ამ მიმართულებით განვითარება, რამაც, ბუნებრივია, ჩემი „საშინაო დავალებების“ რიცხვი კოლოსალურად გაზარდა.

რა ხდება მაშინ, როცა მასწავლებელი ერთდროულად სწავლობს და ასწავლის?! მას თითქმის არ სძინავს: კითხულობს თემატურ ლიტერატურას, ეცნობა სხვა ქვეყნების გამოცდილებას, ცდილობს გაერკვეს ამა თუ იმ ონლაინ პროგრამის მუშაობის მექანიზმში, რათა შეუფერხებლად შეძლოს მოსწავლეებთან დისტანციურად მუშაობა და, რაც მთავარია, ქმნის უამრავ საგნობრივ ელექტრონულ რესურსს. დაფა რომ დაფაა, ისიც ელექტრონული შესაძლებლობებით უნდა აღჭურვოს და „თაგუნია-კალმით“ წერაში დახელოვნდეს. ფოტოებად ქცეული წერითი დავალებების გასწორების შედარებით იოლ ხერხს მიაგნოს და უკუკავშირიც ყველა მოსწავლეს თანაბრად მიაწოდოს (მერე რა, რომ დღეში 80-მდე დავალებას მაინც იღებს).

დავალების ხარისხიანად გასწორებას მასწავლებელი კვირაში საშუალოდ 7-10 საათს მაინც უთმობს (საფეხურის და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით). ამიტომ დღეს სწორედ ელექტრონული დავალების ფორმების შესახებ ვისაუბრებ და დისტანციური დავალების ერთ-ერთ ნიმუშსაც გაგიზიარებთ.

გრამატიკა დისტანციურად

მოსწავლეებს გრამატიკული საკითხების შესწავლა დიდად რომ არ ეხალისებად, ყველამ ვიცით. ჩვეულ სასწავლო რეჟიმშიც თამაშ-თამაშით ვცდილობ დაწყებითი საფეხურის შესაბამისი ენობრივ-გრამატიკური თემების დამუშავებას. ჩემი აზრით, დაშორებული სწავლების დროს დავალების მიწოდების ფორმა უნდა განსხვავდებოდეს სტანდარტული საშინაო დავალებისგან. თუ ყოველდღიური გაკვეთილის შემდეგ სახელმძღვანელოს გვერდის და კონკრეტული სავარჯიშოს მი-

თითებაც საკმარისია, ამჯერად მხოლოდ ბეჭდური რესურსით ვერ შემოვიფარგლებით. სასკოლო საზოგადოების სისტემატური მხარდაჭერის (შემცირებული საგაკვეთილო საათები, სოციალური ურთიერთობების დანაკლისი და სხვ.) გარეშე დარჩენილი ბავშვების მოტივირებას და განსხვავებულ სასწავლო პროცესში ჩართვას მასწავლებლის მხრიდან მეტი ძალისხმევა დასჭირდება. ზემოაღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე, ჩემმა სკოლამ მულტიფუნქციური დავალებების შესაქმნელად ერთ-ერთი საგანმანათლებლო პროგრამის (seesaw) გამოყენება გადაწყვიტა და მოსწავლის ელექტრონულ რესურსშივე მუშაობის შესაძლებლობაც გაჩნდა. მაგალითად მოვიყვან რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ დავალებას:

დღეს რიცხვითი სახელების მართლწერაზე (სწორად წერაზე) ივარჯიშებ

ყურადღებით დააკვირდი მომდევნო ორ გვერდზე ატვირთული საინფორმაციო დაფებს!

დაფიქრდი და სავარჯიშოებში ჩაწერე რიცხვითი სახელები სიტყვიერად.

რიცხვითი სახელები

რაოდენობითი
რამდენი?

რიგობითი
მერამდენე?

წილობითი
მერამდენედი?

შენიშვნა: დღეს მხოლოდ რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელის მართლწერაზე ივარჯიშებ

როგორც ხედავთ, ელექტრონული სავარჯიშოები ე.წ. დასარედაქტირებელ ფორმატში ეგზავნება მოსწავლეს. მას შეუძლია, რამდენჯერმე მიუბრუნდეს ინსტრუქციას, დამხმარე მასალას და ისე შეასრულოს დავალება. აწყობილი დავალება „მასწავლებლის ბიბლიოთეკაში“ უცვლელი რჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ ელექტრონული რესურსის გაზიარება და მრავალჯერ გამოყენება შეგვიძლია. მოსწავლეებს დავალების ერთგვარი ასლი ეგზავნებათ საგნობრივი დავალებებისთვის განკუთვნილ პირად სივრცეში, საიდანაც შევსებული ვარიანტების მასწავლებლისთვის ჩვენება მარტივად – გაგზავნის ღილაკზე თითის დაჭერით შეუძლიათ.

ცოდნის ელექტრონული საზომი

თუ თქვენი ელექტრონული ფოსტა ბოლოვდება მისამართით gmail.com, მაშინ Google Drive-ის (Microsoft Office ფაილები, google docs, sheets, slides, calendar და სხვ.) სასწავლო პროცესში აქტიურად გამოყენებასაც შეძლებთ. ზემოაღნიშნული სივრცე ძალიან ხელსაყრელია დოკუმენტაციის თუ სასწავლო რესურსების შესაქმნელად, შესანახად და კოლეგებისთვის გასაზიარებლად, ონლაინ გაკვეთილების ჩასანიშნად და ჩასატარებლად.

ალბათ დამეთანხმებით, რომ დაშორებული სწავლების პირობებში ახალი ცოდნის ათვისების ხარისხის გაზომვა განსაკუთრებით რთულია, რადგან ტექნიკური სირთულე, დროის სიმცირე და სხვა მრავალი ხელისშემშლელი პირობა სწორი დასკვნების გამოტანის ალბათობას მნიშვნელოვნად ამცირებს. რა თქმა უნდა, ვერც ელექტრონულ ფორმატში გადატანილი ტესტები მოგვცემს იმის გარანტიას, რომ მოსწავლემ ე.წ. შემაჯამებელი დავალება დამოუკიდებლად ან დამხმარე რესურსების გამოყენების გარეშე შეასრულა. თუმცა Google Forms-ის ფორმატს რამდენიმე პლუსი მაინც აქვს:

- ტესტი ღია და დახურული კითხვების ბლოკებისგან იქმნება. მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, თავად შეგიძლიათ შეარჩიოთ პასუხების ფორმატი;
- შეგიძლიათ ტესტის დიზაინი თავად შექმნათ და მასში საჭიროებისამებრ ატვირთოთ ფოტო-ვიდეო მასალა;
- შეგიძლიათ მოსწავლეებს ტესტი ონლაინ გაკვე-

ერთად იწერება:

ყველა რიცხვითი სახელი ერთიდან ასის ჩათვლით **1-100**

ასეულთა სახელები **100,200**

დანარჩენი რაოდენობითი რიცხვითი სახელები
ცალ-ცალკე იწერება **101,503,714..**

რიცხვითი სახელების მართღწერა

შემოხაზე ელექტრონული ფანქრით – რიგობითია თუ რაოდენობრივი

ასი	რიგობითი	რაოდენობრივი
მეჩვიდმეტე	რიგობითი	რაოდენობრივი
სამოცდამეცხრე	რიგობითი	რაოდენობრივი
ოთხმოცდამეცხრამეტე	რიგობითი	რაოდენობრივი
ორასათი	რიგობითი	რაოდენობრივი

მომდევნო გვერდზე დაგხვდება სავარჯიშო
რიცხვით სახელებზე.

მაგალითის მიხედვით უჯრებში ჩაწერე
სწორი რაოდენობითი სახელები.

მაგალითი
ყველი ღირს
რვა ლარი და
ოთხმოცდაცხრამეტი
თეთრი

მაგალითი
სარეცხი მანქანა ღირს
ექვსასა
სამოცდათხუთმეტი
ლარი

დაასრულე წინადადება
ბანანი ღირს...

დაასრულე წინადადება
მაცივარი ღირს...

აქ ჩაწერე
პომიდორი ღირს...

აქ ჩაწერე
ტელევიზორი ღირს...

რიცხვებს გვერდით მიუწერე რიცხვითი სახელი (მაგალითად, 37 ოცდაჩვიდმეტი)

1. მართა **25** ... აგვისტოს
   102 ... წლის ხდება.

2. ნიკომ **256** ... სურათი გადაიღო და
   21 ... აღბომში გადაანაწილა.

3. მინდორში **89** ... ბაბუაწვერა
   და **876** ... ფურისულია.

მოიფიქრე ორი წინადადება რიგობით რიცხვით სახელზე და აქ ჩაწერე

1. აქ ჩაწერე

2. აქ ჩაწერე

მოიფიქრე ორი წინადადება რაოდენობით რიცხვით სახელზე და აქ ჩაწერე

1. აქ ჩაწერე

2. აქ ჩაწერე

„რა ხდება მაშინ, როცა მასწავლებელი ერთდროულად სწავლობს და ასწავლის?! მას თითქმის არ სძინავს: კითხულობს თემატურ ლიტერატურას, ეცნობა სხვა ქვეყნების გამოცდილებას, ცდილობს გაეჩვეს ამა თუ იმ ონლაინ პროგრამის მუშაობის მექანიზმში, რათა შეუფერხებლად შეძლოს მოსწავლეებთან დისტანციურად მუშაობა და, რაც მთავარია, ქმნის უამრავ საგნობრივ ელექტრონულ რესურსს.

თილზევე შევავსებინოთ, პროგრამის დახმარებით შეზღუდოთ პირადი მიმოწერა და საუბარი. თუმცა, ბუნებრივია, დამხმარე ტექნიკური საშუალებების ფარულად გამოყენების ფაქტების დანახვა ასეთ დროს გაცილებით რთულია, ვიდრე საკლასო ოთახში;

- მოსწავლეების მიერ შევსებული ფურცლები გაგზავნისთანავე აისახება ტესტისთვის განკუთვნილი პასუხების ბაზაში;
- თუ ტესტის შექმნის პროცესში სწორი პასუხების ველსაც შეავსებთ, ნამუშევარი პროგრამულად გასწორდება, რის შედეგადაც მოსწავლე დავალების გაგზავნისთანავე დაინახავს თავის შედეგს და თქვენი დრო და ენერგიაც მნიშვნელოვნად დაიზოგება;
- ტექსტის შედეგებზე დაყრდნობით, ზუსტ სურათს თუ არა, იმას მაინც დაინახავთ, რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა ახალი სასწავლო მასალა და შეძლებთ შედეგების შესაბამისი სტრატეგიის დასახვას;

კონკრეტული მასალის შეჯამებისა და მოსწავლეთა ცოდნის გაზომვის გარდა, ელექტრონული ტესტები სწავლის პროცესშიც ეფექტურ რესურსს წარმოადგენს. იგი მოსწავლეებს საკუთარი თავის გამოცდაში, ძველი ცოდნის გახსენებასა და ახლის განმტკიცებაში ეხმარება. ამ შემთხვევაში ტესტებს განმეორებით შესრულების ფუნქციაც შეგიძლიათ ჩაურთოთ, რათა მოსწავლეებს სასწავლო მასალასთან მიბრუნების, შეცდომების გამოსწორების და ამ გზით ცოდნის განმტკიცების საშუალება ჰქონდეთ.

როგორც ხედავთ, მე მხოლოდ დისტანციური დავალების ორი ფორმა მიმოვიხილე. მასწავლებლებს კი სასურველი შედეგის მისაღებად გაცილებით მეტი ელექტრონული თუ ტექნიკური რესურსი სჭირდებათ. იმედი მაქვს, მულტიფუნქციური საგანმანათლებლო რესურსების შექმნის პროცესში გაცილებით მეტი ადამიანი ჩაერთვება და სამომავლო გამოწვევებს მრავალფეროვანი და ეფექტური სასწავლო ინსტრუმენტების დახმარებით გავუმკლავდებით.

ქეთევან ოსიაშვილი

დისტანციური სწავლებიდან რეალურ სასკოლო გარემოში: სირთულეები და დაძლევის გზები

> დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა ობიექტური აუცილებლობით იყო განპირობებული და რამდენადაც სასწავლო პროცესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად სხვა გზა არ არსებობდა, საკითხი განსჯისა თუ კრიტიკის საგნად არ ქცეულა.

ყველამ კარგად ვიცით, რომ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა ობიექტური აუცილებლობით იყო განპირობებული და რამდენადაც სასწავლო პროცესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად სხვა გზა არ არსებობდა, საკითხი განსჯისა თუ კრიტიკის საგნად არ ქცეულა. თუმცა ყველამ, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ვიყავით ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში, კარგად ვიცით, რომ რეალურ სასკოლო გარემოში სწავლა-სწავლებას, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, დისტანციური სწავლება ვერ ჩაანაცვლებს. სწორედ ამიტომ ველოდებით დიდიც და პატარაც, მოსწავლეც და მასწავლებელიც ასე მოუთმენლად რეალურ სასკოლო გარემოში, საკლასო ოთახებში შეხვედრას. მაგრამ, ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, მოგვიწევს იმის გათვალისწინება, რომ ერთი გარემოდან მეორეში, თუნდაც ძალიან სასურველსა და სანატრელში, გადასვლა უმტკივნეულოდ და სირთულეების გარეშე ვერ მოხდება.

მაინც რა სირთულეებს შეიძლება ველოდეთ ამ პროცესში და რა შეიძლება გავაკეთოთ იმისთვის, რომ ის უმტკივნეულოდ წარიმართოს?

- პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი სირთულე სკოლასთან ხანგრძლივ განშორებას უკავშირდება. თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ბავშვებს ონლაინრეჟიმში უწევდათ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა. ამას მოჰყვა აუცილებელი, თუმცა საკმაოდ ხანგრძლივი დასვენების პერიოდი – საზაფხულო არდადეგები. ვფიქრობ, ყველას კარგად გვახსოვს, რომ საზაფხულო არდადეგების შემდეგ მოსწავლეებს ყოველთვის უჭირდათ სასკოლო რეჟიმთან შეგუება და იმ მდგომარეობაში დაბრუნება, რომელშიც არდადეგების დაწყებამდე იმყოფებოდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ ამჯერად მათ ჩვეულებრივზე მეტხანს მოუწიათ სკოლასთან განშორება, დიდი ალბათობით, სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი კიდევ უფრო გახანგრძლივდება.

რა შეიძლება გავაკეთოთ იმისთვის, რომ სასწავლო წლის საწყის ეტაპზე, სკოლასთან ადაპტაციის პროცესში, მოსალოდნელი გართულებები შეძლებისდაგვარად ავიცილოთ თავიდან? კარგი იქნება, თუ სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მაინც ბავშვს შევთავაზებთ დღის იმ რეჟიმს, რომელიც მას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ექნება – ადრე დაწოლას, ადრე ადგომას, უბრალო გართობისა და თამაშის შემეცნებითი აქტივობებით ჩანაცვლებას. მან უნდა იგრძნოს, რომ სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ მას ახალი რეჟიმით მოუწევს ცხოვრება და რაც უფრო მალე გადაეწყობა ამ რეჟიმზე, მით უფრო გაუადვილდება სკოლასთან ადაპტაცია.

გავითვალისწინოთ, რომ დისტანციური სწავლების შემდეგ ეს პროცესი გაცილებით რთულად და მტკივნეულად წარიმართება, ვინაიდან ონლაინ-გაკვეთილებზე დასასწრებად ბავშვს დილაობით უფრო გვიან უწევდა ადგომა, ვიდრე სასკოლო სწავლების პერიოდში, გაკვეთილებიც უფრო ნაკლებ ხანს გრძელდებოდა და არც იმდენ საშინაო დავალებას აძლევდნენ, რამდენსაც სკოლაში სიარულის დროს. რა თქმა უნდა, მთელი ოთხი თვის განმავლობაში განსხვავებული სასწავლო რეჟიმით მომუშავე ბავშვისთვის, განსაკუთრებით – ხანგრძლივი საზაფხულო არდადეგების შემდეგ, ადვილი არ იქნება ადრინდელ რეჟიმზე გადართვა, მაგრამ უფროსების ძალისხმევა აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

- მეორე სირთულე ბავშვის სოციალური და ემოციური განვითარების პრობლემებს უკავშირდება.

ონლაინსწავლების პერიოდმა საკმაოდ არასასურველი გავლენა მოახდინა ბავშვის სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს მოზარდი თითქმის მოწყვეტილი იყო თანატოლებთან ცოცხალ ურთიერთობას, იმ გარემოს, რომელსაც მისი სოციალური და ემოციური განვითარებისთვის უნდა შეეწყო ხელი. ბევრის აზრით, 4-5 თვე არაფერია. როცა საქმე ზრდასრულს ეხება, შესაძლოა მართლაც ასე იყოს, მაგრამ როცა ბავშვის განვითარებაზე ვსაუბრობთ, 4-5 თვეს კი არა, 2-3 კვირასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, სექტემბრიდან მოსწავლეთა ნაცნობ ჯგუფებში შესული პედაგოგები სრულიად ახალი და განსხვავებული სოციალური ურთიერთობების მოწმენი გახდნენ და სერიოზული მუშაობა მოუწიოთ ჯგუფებში ბავშვის განვითარების ხელშესაწყობად და თანატოლთა

სკოლაში დაბრუნების მიუხედავად, ბავშვს იქ მაინც არ დახვდება ის, რაც მან ონლაინსწავლების დაწყებამდე დატოვა. იმის გამო, რომ სკოლებს ჯერ კიდევ მძვინვარე პანდემიის პირობებში მოუწევთ მუშაობის გაგრძელება, საჭირო იქნება მთელი რიგი ცვლილებების შეტანა იმ გარემოში, სადაც ყველა ასე მოუთმენლად ელის შეხვედრას.

წრეში მისი თვითრეალიზებისთვის კომფორტული პირობების შესაქმნელად.

გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ახალმა, უცხო და უჩვეულო სასწავლო გარემომ სერიოზული გავლენა მოახდინა ბავშვების ემოციურ მდგომარეობაზე. მოიმატა ნევროზულობამ, შფოთვამ, დეპრესიამ, გარიყულობის შეგრძნებამ. ამდენად, აჯობებს, თუ რეალურ სასკოლო გარემოში დაბრუნებული ბავშვისგან მაღალი აკადემიური მოსწრების მოლოდინი არ გვექნება და, უპირველეს ყოვლისა, მისი ემოციური მდგომარეობის გაწონასწორებასა და ემოციური განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე ვიზრუნებთ.

ერთ-ერთი სირთულე შესაძლოა თავად პედაგოგებთან იყოს დაკავშირებული, იმასთან, რამდენად მოახერხებენ ისინი რეალურ სასკოლო გარემოში უმტკივნეულოდ დაბრუნებას. შესაძლოა, ბევრს ეს უცნაურიც კი მოეჩვენოს, მაგრამ მასწავლებლებს არცთუ მცირე ხნის განმავლობაში უწევდათ უცხო და არცთუ სასურველ გარემოში მუშაობა და ისეთი რესურსების შექმნა, რომელთა გარეშეც ონლაინგაკვეთილებს სათანადოდ ვერ ჩაატარებდნენ. ამდენად, შესაძლოა, მათ რეალურ საკლასო გარემოშიც მოინდომონ ონლაინრესურსების იმავე დოზით გამოყენება, როგორითაც ონლაინგაკვეთილებზე იყენებდნენ. მასწავლებლებსა და თანატოლებთან ცოცხალ ურთიერთობას მონატრებულ ბავშვებს ეს, ვფიქრობ, კიდევ უფრო გაურთულებს შეცვლილ სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესს. ამდენად, კარგი იქნება, თუ პირველ ხანებში მაინც უფროსები უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ მოზარდთან ცოცხალ ურთიერთობას, რომელიც ნაკლებად იქნება გაშუალებული კომპიუტერული ტექნიკით.

დაბოლოს, გავითვალისწინოთ ისიც, რომ, სკოლაში დაბრუნების მიუხედავად, ბავშვს იქ მაინც არ დახვდება ის, რაც მან ონლაინსწავლების დაწყებამდე დატოვა. იმის გამო, რომ სკოლებს ჯერ კიდევ მძვინვარე პანდემიის პირობებში მოუწევთ მუშაობის გაგრძელება, საჭირო იქნება მთელი რიგი ცვლილებების შეტანა იმ გარემოში, სადაც ყველა ასე მოუთმენლად ელის შეხვედრას და ბავშვებს ამ ცვლილებებთან შეგუებაც მოუწევთ, თუმცა იმდენად დიდია მათი სურვილი, სასწავლო პროცესში თანატოლებსა და პედაგოგებთან ცოცხალი ურთიერთობა ჰქონდეთ, რომ უფროსების მხარდაჭერის პირობებში ისინი ბევრ სირთულეს უმტკივნეულოდ გადალახავენ.

მარიამ გოდუაძე

როგორ დავწეროთ ინდივიდუალური გეგმები ონლაინსწავლებისას

> პრიორიტეტების მატრიცა დაეხმარება განათლების სამინისტროს მუნიციპალიტეტებს, ადვილად დაუკავშირდნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ სასკოლო გუნდს, რათა ასევე მარტივად შეისწავლონ ესა თუ ის შემთხვევა და გასცენ დროული და მნიშვნელოვანი უკუკავშირი.

პედაგოგიურმა საზოგადოებამ უკვე კარგად იცის, როდის და რა შემთხვევებშია საჭირო მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამ საკითხების შესახებ ამომწურავი მასალები უკვე არსებობს[1], ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დისტანციურად შემუშავების წინაპირობებზეც ვისაუბრეთ[2] და ინდივიდუალური განვითარების საერთაშორისო სტანდარტთანაც დავაკავშირეთ[3]. ამიტომ ამ წერილის მიზანი ის კი არ არის, როგორ შევადგინოთ ინდგეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, არამედ ის, როგორ მოვარგოთ უკვე არსებული გამოცდილება დისტანციურ სასწავლო პროცესს და რა ინსტრუმენტების მეშვეობით მოვახერხოთ ეს.

დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები დიდი გამოწვევის წინაშე დგანან. მათთან მუშაობის არსებულმა გამოცდილებამ მრავალფეროვანი სურათი და, შესაბამისად, მრავალფეროვანი გამოწვევები წარმოაჩინა. სწორედ აღნიშნულ საჭიროებათა ერთგვარ კვლევა-ძიებასა და ბავშვისთვის მისაღწევი მიზნების შემუშავებას უნდა მიეძღვნას დისტანციური ისგ ჯგუფის შეხვედრები, რომლებზეც დეტალურად განიხილება ამა თუ იმ საგანში ბავშვის შესაძლებლობა და დაისახება განვითარების გეგმაში ჩასაწერი მოკლე- თუ გრძელვადიანი SMART[4] მიზნები.

პრიორიტეტების მატრიცა როგორც გეგმების შედგენის ინსტრუმენტი

ინდგეგმების შედგენის ინსტრუმენტების ძიებისას MicrosoftTeams-ში პრიორიტეტების მატრიცას (Priority Matrix) წავაწყდი. ამ მატრიცას საინტერესო წარმომავლობა, არაერთი ღირსება და, „ვორდის“ ფაილებთან შედარებით, მრავალი უპირატესობა აქვს. მისი დანერგვა ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეთოთხმეტე პრეზიდენტის დუაიტ დევიდ ეიზენჰაუერის სახელს უკავშირდება[5] და გამოიყენება როგორც პრიორიტეტების განსაზღვრისა და დროის მენეჯმენტის ინსტრუმენტი[6].

ფურცელზე მატრიცის შექმნის პრინციპი მარტივია: ვიღებთ ოთხ ცალ თაბახს, ვავსებთ ოთხივეს:

1. მნიშვნელოვანი და სასწრაფო;
2. მნიშვნელოვანი, მაგრამ არასასწრაფო;
3. სასწრაფო, მაგრამ არამნიშვნელოვანი;
5. მიზნები, რომლებიც არც სასწრაფოა და არც მნიშვნელოვანი.

ჩამოვწერთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც გვინდა. ამ სიაში შეგვაქვს როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი მიზნები, რომლებსაც პრიორიტეტების მიხედვით 1-იდან 10-მდე ქულით ვაფასებთ.

სურ.1.

მატრიცის შექმნა არც MicrosoftTeams-შია ძნელი. მატრიცა როგორც ინსტრუმენტი ამავე სახელწოდებით (Priority Matrix) მარტივად იძებნება Teams-ის დანართებში, ე. წ. აპებში (Apps). აქვეა მისი მოხმარების ინსტრუქციები ინგლისურ ენაზე, რომელთა თანახმად, პრიორიტეტების მატრიცა (Priority Matrix):

- ეხმარება გუნდს, გაზარდოს პროდუქტიულობა და გახდეს უფრო ეფექტური;
- იძლევა საშუალებას, ერთ სივრცეში მოუყაროს თავი გუნდის წევრებისთვის გაზიარებულ ფაილებს, ელფოსტით გაგზავნილ დავალებებსა თუ სხვადასხვა ადგილზე გაფანტულ ინსტრუმენტებს;
- ბევრი პროექტისა და არხის არსებობის შემთხვევაში გვეხმარება, უფრო სწრაფად მივაღწიოთ მიზანს.
- იძლევა შესაძლებლობას, მოვახდინოთ Planner-ისა და Graph-ის მონაცემებთან ინტეგრირება რეალურ დროში და სხვ.

ეს იმ ადამიანებისთვისაა, რომლებთანაც ინდივიდუალურ გეგმებსა თუ სხვა საკითხებზე ვმუშაობთ: შეგვიძლია ვნახოთ ჩვენ მიერ გაცვლილი შეტყობინებები, ერთმანეთთან გაგზავნილი ფაილები და ეს ყველაფერი თავმოყრილი იყოს გუნდის შიგნით. შესაძლებელია ახალი გაზიარებული დავალებების შექმნაც. მატრიცის ჩანართები საშუალებას გვაძლევს, გავაზიაროთ და განვაახლოთ პრიორიტეტები თითოეული გუნდის არხისთვის, რათა ყველას ჰქონდეს წვდომა და ამავე გვერდზე თანამშრომლობის საშუალება.

პრიორიტეტული მატრიცის ვებპაკეტი Teams-ის გუნდში ასევე იძლევა პროექტის სრულფასოვანი მართვის შესაძლებლობას, პირადი დავალებების ორგანიზებით



დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები დიდი გამოწვევის წინაშე დგანან. მათთან მუშაობის ინსტრუმენტმა გამოცდილებამ მრავალფეროვანი სურათი და, შესაბამისად, მრავალფეროვანი გამოწვევები წარმოაჩინა.

დაწყებული, გუნდის სრული დატვირთვით მართვით ან ცალკეულ ჯგუფში პრიორიტეტების მართვით დამთავრებული.

ამდენად, ჩატისთვის პრიორიტეტული მატრიცის დამატება საშუალებას მოგვცემს, ხშირად ვაწარმოოთ პრიორიტეტების ანგარიში და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიყენოთ სიახლეების დამატების ფუნქცია [7].

აქვე ვიყენებთ ჩანართებს, ბოტებს, ვესაუბრებით აპ-ს, ვსვამთ კითხვებს და ვპოულობთ ინფორმაციას, ვიღებთ შეტყობინებებს, შეგვაქვს შინაარსი პროგრამიდან პირდაპირ შეტყობინებებში, ვათავსებთ პირად აპლიკაციას, თვალ-ყურს ვადევნებთ მნიშვნელოვან შინაარსსა და ინფორმაციას, ვეძებთ პირად თუ გუნდის ინფორმაციას (გუნდის სახელი, არხის სია, მათ შორის – გუნდის წევრთა სახელები და ელფოსტის მისამართები; მათთან დაკავშირებას ჩვენთვის სასურველი ენის შერჩევით ვცდილობთ).

ვფიქრობთ, პრიორიტეტების მატრიცა დაეხმარება განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს, ადვილად დაუკავშირდნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ სასკოლო გუნდს, რათა ასევე მარტივად შეისწავლონ ესა თუ ის შემთხვევა და გასცენ დროული და მნიშვნელოვანი უკუკავშირი. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს თითოეული მასწავლებლის პროფესიულ ზრდას და, იმავდროულად, სასიკეთოდ აისახება სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლის ხარისხსა თუ, ზოგადად, წინსვლაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გზამკვლევი მასწავლებლისთვის – ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მაია ბაგრატიონი, მარიკა ზაქარეიშვილი, ქეთევან ფილაური, ჟანა კვაჭაძე, თბილისი, 2014 http://inclusion.ge/res/docs/201504241639138305 1.pdf
2. http://mastsavlebeli.ge/?p=25067
3. მარიამ გოდუაძე, ისგ და იგგ, ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“, თბილისი, 2017 http://mastsavlebeli.ge/?p=16125
4. https://i2.wp.com/mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/11/%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%90.png
5. მანანა სეხნიაშვილი, ეიზენჰაუერის პრიორიტეტების მატრიცა, ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“, თბილისი, 2019
6. https://coachinglab.ge/eisenhower-matrix/
7. https://appfluence.com

მაია ფირჩხაძე

მეტაკოგნიტიური სავარჯიშოები ისტორიული აღქმის, ფაქტის, მოვლენისა და ცნებების გააზრებისთვის

> ისტორიული წარმოსახვა, როგორც ისტორიული აღქმის შემადგენელი ნაწილი, ისტორიული ცოდნის „პირველი საფეხურია“, რომელზე აუსვლელადაც მოსწავლე ვერ გაიგებს ისტორიული პროცესის არსს და ვერ შეძლებს ცნებების ფორმირებას და სიღრმისეულ გააზრებას.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით, საბაზო საფეხურზე ისტორიის სწავლა-სწავლების ერთ-ერთი მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათი მახასიათებლების გააზრებაში, ერთმანეთთან/თანამედროვეობასთან შედარებაში და თანამედროვეობასა და წარსულს შორის მჭიდრო კავშირის დანახვაში.

საბაზო საფეხურის საგნობრივი პროგრამა სტანდარტის შედეგების მისაღწევ გზად ძირითად ცნებებზე ორიენტირებულ სწავლებას გვთავაზობს. ისტორიის საგნის შესწავლაც რამდენიმე ძირითად ცნებაზეა ორიენტირებული. მოცემულ შემთხვევაშიც კონკრეტული მიზანი: ისტორიული ეპოქების აღქმა და მათი მახასიათებლების გააზრება, ერთმანეთთან/თანამედროვეობასთან შედარება და თანამედროვეობასა და წარსულს შორის მჭიდრო კავშირის დანახვა, – კონკრეტული ცნებების დამუშავების გზით უნდა განხორციელდეს.

თავისთავად, **ისტორიული ეპოქის აღქმა გულისხმობს წარმოდგენების ჩამოყალიბებას წარსულზე** (მატერიალური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების დეტალები და ა.შ.), **ისტორიულ დროზე** (ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ხანგრძლივობა და თანმიმდევრულობა), **ისტორიულ სივრცეზე** (მოვლენის დაკავშირება კონკრეტულ ადგილთან, სივრცესთან). **უფრო მეტიც – უმთავრესი, რაც მოსწავლეს ისტორიაზე მსჯელობის დროს ახსენდება, რასთანაც ის ასოცირებას ახდენს, სწორედ ისტორიული ფაქტი და მოვლენაა.**

მაშ, რატომ ცნებები?

ისტორიის მეთოდოლოგიაში ფაქტი ნიშნავს იმას, რაც მოხდა, რაც შესრულდა. მას ვერ დააკვირდები, მის „გამეორებას“ ვერ მოახდენ. ესაა ისტორიული ფაქტის სპეციფიკა. ფაქტები აუცილებელია ისტორიული კავშირურთიერთობების დასადგენად და შესადარებლად, მათი განზოგადებისა და განსაზღვრისთვის. მოვლენები ცალკეული ფაქტებია, „შედარებით მცირე ერთეულები“ (მაგალითად, „დიდი გამყინვარება“, „სამამულო ომი“, „სამოქალაქო ომი საქართველოში“). ცალკეული ფაქტების შესწავლა, რომლებიც განუმეორებელია ხასიათითა და შინაარსით, ეხმარება მოსწავლეს, გაიგოს და შეითვისოს **ტიპური მოვლენები – საზოგადო ცნებები** (მაგალითად, რევოლუცია, აჯანყება...), **რომლებიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ფაქტებთან, სადაც არ არის მითითებული ადგილი, დრო და მონაწილეები, მაგრამ „მრავალჯერადია“** (მაგალითად, „ფეოდალური სასამართლო სისტემა“, „შუა საუკუნეების ბაზარი“). **მათი დადგენისა და გააზრების საფუძველზე მოსწავლე შეიმეცნებს ისტორიულ პროცესებს** (ისტორიული მდგომარე-

ობის ცვლილებებს – მიმართულს განვითარებისკენ ან პირიქით). **ანუ ესაა მთელი ჯაჭვი დროში ურთიერთდაკავშირებული ფაქტებისა, როდესაც არსებობს დამაკავშირებელი მიზეზები და შესაბამისი შედეგები** (მაგალითად, მანუფაქტურების წარმოშობა შუა საკუნეებში, რასაც თან ახლდა შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობა და ა.შ.).

რაც შეეხება ისტორიულ ფაქტებს: სწავლების დროს, ცნების შინაარსში წვდომის თვალსაზრისით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ისტორიული ფაქტები იყოფა ორ ჯგუფად: მთავარ და არამთავარ ფაქტებად. მთავარია** ის ისტორიული ფაქტები, რომლებზეც აგებულია გაკვეთილის თემის ძირითადი შინაარსი, ანუ რომელიც **ქმნის შესასწავლი მოვლენის სურათს და მოვლენას ხსნის მისი არსებითი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მხარეების წინ წამოწევით. მთავარი ფაქტის განმსაზღვრელი ნიშანი ის არის, რომ იგი განაპირობებს მნიშვნელოვან თეორიულ დასკვნებს, რომლებიც აუცილებელია ისტორიული ცნებების, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთვის.**

მთავარი ფაქტებისთვის არსებითია:

- გარმომცველი სამყარო;
- მატერიალური საგნები;
- ადამიანები – ისტორიული მოვლენების მონაწილეები;
- დროსა და სივრცეში ლოკალიზებული ფაქტები;
- დროსა და სივრცეში ლოკალიზებული სტატისტიკური ფაქტები.

არამთავარ (მეორეხარისხოვან) ფაქტებს მიეკუთვნება ნაკლებად ინფორმაციული ფაქტები, რომლებიც „ხელს უწყობს" მთავარი ფაქტის გახსნას:

- მეორეხარისხოვანი დინამიკური ფაქტები, მათი დროითი და სივრცობრივი კავშირები;
- მეორეხარისხოვანი სტატისტიკური ფაქტები, მათი დროითი და სივრცითი ურთიერთობები;
- ისტორიულ-სტატისტიკური, ქრონოლოგიური და კარტოგრაფიული მასალები.

მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ **ფაქტების ანალიზი, მთავარისა და მეორეხარისხოვანის გამოყოფა, მათი კავშირურთიერთობების დადგენა მოსწავლეს ჩამოუყალიბებს** დასკვნების გამოტანის, გაანალიზების, შედარების, კანონზომიერების დადგენისა და სხვა უნარებს, რომლებიც მას ცნებების გახსნაში, გააზრებასა და ათვისებაში დაეხმარება.

საზოგადოდ, ისტორიული ეპოქის აღქმისა და ისტორიული წარმოსახვის განვითარებისთვის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად მიიჩნევა თვალსაჩინოებათა გამოყენება: სურათების, ფილმების, სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურის, ისტორიული შინაარსის ტექსტების, საისტორიო წყაროების, დოკუმენტების, ისტორიული და გეოგრაფიული რუკების, ასევე – სქემატური და თემატური რუკების, აპლიკაციების, მათი სიმულაციების, მოდელირებული სტრატეგიების და ა.შ., რომელთა **სწორად შერჩევა და შესაფერისი მეთოდური მიდგომების გამოყენება დაეხმარება მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული ისტორიული ცნებების დაუფლებაში** და მათთან დაკავშირებული თეორიული მასალის ათვისებაში.

მთავარია გვახსოვდეს, რომ **ისტორიული წარმოსახვა, როგორც ისტორიული აღქმის შემადგენელი ნაწილი, ისტორიული ცოდნის „პირველი საფეხურია", რომელზე აუსვლელადაც მოსწავლე ვერ გაიგებს ისტორიული პროცესის არსს და ვერ შეძლებს ცნებების ფორმირებას და სიღრმისეულ გააზრებას.**

მაგრამ რამდენადაც ისტორიის შესწავლასა და ისტორიული წარმოსახვის განვითარებაში, წარსულსა და თანამედროვეობას შორის კავშირურთიერთობების დადგენაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს **ისტორიული წყაროები, ისტორიული დოკუმენტები, შეიძლება ითქვას, რომ მათზე მუშაობა (რაზეც ბუნებრივადაა მიბმული კანონებისა და თეორიების ცოდნაც) ცნებებზე ორიენტირებული სწავლების საყრდენი წერტილია.**

როდესაც გვინდა, მოსწავლემ შეძლოს ისტორიული ეპოქის აღქმა და წარმოსახვის განვითარება, წარსულსა და თანამედროვეობას შორის უწყვეტი კავშირის დანახვა და ამისთვის საჭიროა ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების მოშველიება, **სტანდარტის შედეგების მიღწევა უნდა შევძლოთ მასალისთვის შესაფერისი ეფექტური დავალებების შერჩევით.**



ამ მიმართულებით საბაზო საფეხურის **ისტორიის სწავლების მეთოდიკური ორიენტირები გვთავაზობს მეტაკოგნიციაზე აქცენტირებულ დავალებებს,** როგორც წარმატების ერთგვარ გარანტს.

მაგალითი: მეტაკოგნიციაზე აქცენტირებული ზოგადი ხასიათის იმ დავალებების – სავარჯიშოების/ შეკითხვების ტიპოლოგია, რომლებიც საგნობრივი აპარატის, **ისტორიული ცნებების**, ისტორიული ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების **გააზრებაში** დაეხმარება მოსწავლეებს (მკვიდრ წარმოდგენასთან დაკავშირებულ საკვანძო შეკითხვებთან ერთად, რომლებიც თან ახლავს საგნობრივ პროგრამას) და ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესს:

- კითხვები, რომლებიც მოითხოვს ლაკონიურ პასუხებს (ტერმინებს, ცნებებს, თარიღებს, დასკვნებს);
- არგუმენტირებული მსჯელობა – მოსწავლის მიერ საკუთარი აზრის გამოხატვა და მტკიცებულებების მოყვანა;
- ძირითადი ცნებების განსაზღვრა;
- რუკაზე მუშაობა (ტექსტში დასახელებული ისტორიულ-გეოგრაფიული ობიექტების მითითება);
- ქრონოლოგიური ცხრილების შედგენა;
- ტექსტის ძირითადი იდეის განსაზღვრა და დასკვნების გამოტანა;
- შედარებისა და კლასიფიკაციის სქემების შედგენა;
- ციფრული ინფორმაციის გადაყვანა გრაფიკულ ნახაზებში, სტატისტიკური ცხრილებისა და დიაგრამების აგება;
- ისტორიული ამბის გადმოცემა თანამედროვის თვალით;
- ავტორისეული ტექსტის შედგენა;
- ტექსტის დასათაურება;
- სიმულაციური თამაშები და ა.შ.

წყაროებზე, დოკუმენტებზე მუშაობა სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს. ცნებებზე ორიენტირებული სწავლების პირობებშიც ეს თავისებურებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს. მთავარი აქ ორი საკითხის გადაწყვეტაა:

1. ისტორიული დოკუმენტის ტიპის დადგენა და
2. დოკუმენტის შესაბამისი კითხვების ტიპოლოგია/შესაბამისი დავალებების შერჩევა.

მაგალითი: სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით, გთავაზობთ ისტორიული დოკუმენტების ტიპებს და მეტაკოგნიტიური **შეკითხვების ტიპოლოგიას/ დავალებების ნიმუშებს**, რომლებიც დაეხმარება საბაზო საფეხურის მასწავლებელს (სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების შესაძლო გზებთან ერთად, რომელიც ასევე ახლავს საგნობრივ პროგრამებს)

ისტორიულ დოკუმენტებთან მუშაობისას ძირითადი ცნებების ათვისებაში (დრო, სივრცე, საზოგადოება, ძალაუფლება; ისტორიული მოვლენა-პროცესი; წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა) და ისტორიულ წარმოსახვას, ფაქტსა და მოვლენას შორის, წარსულსა და თანამედროვეობას შორის კავშირურთიერთობების დადგენაში:

დოკუმენტის ტიპი	შეკითხვების ტიპოლოგია / დავალებები
სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები; სიგელები, ბრძანებები, კანონები, სახელმწიფო მოხელეთა სიტყვები, ოქმები და ა.შ.	• სად, როდის და რატომ შეიქმნა ეს დოკუმენტი? (აღწერეთ მისი შექმნის პირობები) • ვინ მიიჩნევა დოკუმენტის ავტორად? რა ვიცით ამ ადამიანის შესახებ, მისი საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ? • განსაზღვრეთ ძირითადი/ახალი ცნებები, რომლებიც მოყვანილია ტექსტში; • რომელი ფენების, საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესები იკვეთება დოკუმენტში? • რით განსხვავდება ეს დოკუმენტი ან მისი ცალკეული ნაწილი მსგავსი, მაგრამ ადრე შექმნილი დოკუმენტისგან? • რა სახის ცვლილებები მოიტანა ან შეეძლო მოეტანა სახელმწიფოში ამ დოკუმენტს? • მოიფიქრეთ ისტორია, რომელიც გახსნის დოკუმენტის ძირითად იდეას (იმიტირებული სასამართლო პროცესი, ოპოზიციის ქმედება, სამეფო აუდიენცია, სახალხო მღელვარება) და ა.შ.
საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტები: ხელშეკრულებები, შეთანხმებები; აქტები; საქმიანი მიმოწერები და ა.შ.	• მიუთითეთ რუკაზე სახელმწიფო, რომელმაც შეადგინა ეს დოკუმენტი. • დაახასიათეთ მისი შექმნის ისტორიული პირობები. • აღწერეთ დოკუმენტი, გამოყავით მისი შემადგენელი ნაწილები; შეაფასეთ მისი მნიშვნელობა (დადებითი მხარე, ზარალი...) როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური მნიშვნელობით. • ახსენით, რატომ და როგორ შეიქმნა ეს დოკუმენტი ასეთ პირობებში (ერთი მხარის სასარგებლოდ და სხვათა საზიანოდ, ან თანაბარ, პარიტეტულ საფუძველზე). • როგორი პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერიტორიული ცვლილებები წარმოიშვა (ან მოსალოდნელი იყო) ამ დოკუმენტის საფუძველზე? • რა აშკარა თუ ფარულ მიზნებს ემსახურებოდა მოცემული დოკუმენტი და რატომ? • შეაფასეთ დოკუმენტი. • მოიფიქრეთ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს დოკუმენტი პოლიტიკურ ძალთა სხვაგვარი განაწილების პირობებში და ა.შ.
დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკურ ბრძოლასთან; პროგრამები; მოწოდებები; პლაკატები; დეკლარაციები და ა.შ.	• ვინ არის დოკუმენტის ავტორი? როგორია მისი პოლიტიკური შეხედულებები? • სად და როგორ პირობებში შეიქმნა დოკუმენტი? • რას შეეხება დოკუმენტი? რას მოგვითხრობს ის? • საზოგადოების რომელი ფენის ინტერესებს გამოხატავს დოკუმენტი? • რომელ პოლიტიკურ დაჯგუფებას უნდა მიეკუთვნებოდეს ავტორი? რომელი ფენის ჭეშმარიტ დამცველად გვევლინება იგი?

„როდესაც გვინდა, მოსწავლემ შეძლოს ისტორიული ეპოქის აღქმა და წარმოსახვის განვითარება, წარსულსა და თანამედროვეობას შორის უწყვეტი კავშირის დანახვა და ამისთვის საჭიროა ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების მოშვეღიება, სტანდარტის შედეგების მიღწევა უნდა შევძლოთ მასალისთვის შესაფერისი ეფექტური დავალებების შერჩევით.

დოკუმენტის ტიპი	შეკითხვების ტიპოლოგია / დავალებები
	• რა წინაპირობა არსებობდა/ რა შეიძლება მოჰყოლოდა დოკუმენტის შექმნას? • შეაფასეთ დოკუმენტი ისტორიკოსის პოზიციიდან.
ისტორიული ხასიათის დოკუმენტები; ანალები; ქრონიკები; მატიანეები; ისტორიული თხზულებები	• რომელი ისტორიული ფაქტია ასახული დოკუმენტში? • მიუთითეთ რუკაზე ადგილი, სადაც მოხდა დოკუმენტში ასახული ამბავი. • განსაზღვრეთ დრო, როდესაც მოხდა აღწერილი ამბავი, თუ ის არ არის მითითებული დოკუმენტში (წელთაღრიცხვის სისტემის გათვალისწინებით). • როგორ ხსნის ავტორი მიზეზებს, რომლებიც განსაზღვრავს დოკუმენტის მნიშვნელობას? • როგორია ავტორის დამოკიდებულება აღწერილი მოვლენის მიმართ? როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება? • რაში ემთხვევა/ არ ემთხვევა ავტორის პოზიცია თანამედროვე შეხედულებებს იმავე /მსგავს საკითხებზე? • შეაფასეთ ამ დოკუმენტის მნიშვნელობა ანალოგიური პერიოდის ისტორიულ თხზულებებთან მიმართებით.
პირადი ხასიათის დოკუმენტები მემუარები, დღიურები, წერილები, თვითმხილველთა ჩანაწერები	• ვინ არის დოკუმენტის ავტორი? როგორია მისი სოციალური მდგომარეობა? საქმიანობა? რა კავშირშია აღწერილ მოვლენებთან? • რას მოგვითხრობს დოკუმენტის ავტორი? როგორია მისი დამოკიდებულება მოცემული მოვლენების მიმართ? მოიყვანეთ თქვენი მოსაზრებების დამადასტურებელი არგუმენტები. • რით ახსნით ავტორის ამგვარ დამოკიდებულებას? • რით ჰგავს/განსხვავდება ეს პოზიცია სხვა ავტორთა პოზიციებისგან, რომლებიც იმავე ფაქტს აღწერენ? • რამდენად სანდოდ მიგაჩნიათ ავტორის მონათხრობი? • იზიარებთ თუ არა ავტორის შეხედულებებს, შეფასებებს, შედეგებს?
ლიტერატურული დოკუმენტები, როგორც ეპოქის ისტორიული ძეგლები: პროზა, პოეზია, დრამა, ეპიტაფიები, სიმღერები, მითები, სატირა და სხვ.	• ყოფა-ცხოვრების დეტალების მიხედვით: ტანსაცმელი, ქცევა და ა.შ. – მიახლოებით განსაზღვრეთ ნაწარმოების/ტექსტის შექმნის დრო. იპოვეთ მინიშნება, რომ მოცემული ნაწარმოები შეიქმნა ამა და ამ ეპოქაში. • იპოვეთ რუკაზე ადგილი, სადაც ხდება აღწერილი მოქმედება. • ისტორიული გმირების და მოვლენების როგორი სახე შექმნა ავტორმა? რა შეიძლება იყოს დოკუმენტში გაზვიადებული, გამოგონილი? • როგორ ფიქრობთ, რა მიზნით გააკეთა ეს ავტორმა? რისი თქმა სურდა ამით? • როგორ ახსნით ისტორიული პირების საქციელს? ეთანხმებით თუ არა მათ არგუმენტებს? • რომელ საზოგადოებრივ ფენას მიეკუთვნება ავტორი? რამდენად მიუკერძოებელია ის? • რომელ ლიტერატურულ ნაწარმოებში შეხვედრიხართ მსგავს სიუჟეტს? რით უნდა აიხსნას მისი პოპულარობა?

ამ ტიპის საგაკვეთილო აქტივობებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით მოსწავლე შეძლებს სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, ისტორიული წარმოდგენების ფორმირებას, წარსულსა და თანამედროვეობას შორის კავშირურთიერთობის დანახვას, ცნებების ათვისებას და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

www.mastsavlebeli.ge

www.mastsavlebeli.ge

ელიზბარ ელიზბარაშვილი

ვარდკაჭკაჭა

არ მიყვარს, ვარდკაჭკაჭას რომ მეძახიან. აბა, კარგად შემომხედეთ: რა მიგავს კაჭკაჭს?! არც ფრთები მაქვს და არც ნისკარტი. ან ვინმე ჩხავილით შემიწუხებიხართ ოდესმე? ძალიან ჭკვიანი ფრინველიაო. იყოს, ბატონო, მე ჩემი ჭკუა-გონებაც მყოფნის. ეშმაკის ფეხია, იცის, მონადირეებს როგორ დაუძვრესო. არ მინდა, თქვენ შემოგევლეთ, მაგ ხრიკების ცოდნა. მე ჩემებურად ვუმკლავდები ამ სოფლის სიმძიმეს.

გინახავთ ჩემს ტანზე ეკლების აბჯარი? არც მაქვს და არც მინდა. არც ჩემი ყვავილებია ვარდივით ფერხორციანი და სურნელოვანი... უკადრისი და თავკერძა არ გეგონოთ, ვიცი, რომ ვარდი ჩვენი მოდგმის დედოფალია. მე და ჩემნაირები მასთან რას მოვალთ... მე ერთი უბრალო მინდვრის ყვავილი ვარ, ისეთი, თაიგულის შეკვრის დროსაც კი რომ არავის მოაგონდება. მაგრამ მე მე ვარ და მინდა, ეს გავაგონო სხვებსაც. ჩემს თავზე ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულაო, იტყვიან ხოლმე კაცნი. აი, ჩემს თავზე კი დატრიალებულა. რამდენჯერ წავულეკივარ ღვარცოფს თუ ქარიშხალს, რამდენჯერ გავუსრესივარ ფეხით ადამიანს თუ საქონელს. მაინც არ დამიჩოქია! ჰეი, თქვენ, დიდებო და ძლიერებო, რამდენჯერაც უნდა გამსრისოთ, რამდენჯერაც უნდა გამთელოთ, მიწაზე გართხმულს ვერ მნახავთ! რატომ? იმიტომ, რომ ულეწელა ვარ და კეთილი ინებეთ და ასეც დამიძახეთ. ნუ გშურთ, რაღაცით მეც რომ გჯობივართ.

დიახ, ულეწელა ვარ, ბევრისგან მივიწყებული, მაგრამ დიდი გულისა და უდრეკი მუხლის პატრონი. ვერ მომერევით, სანამ ფესვიანად არ ამომძირკვავთ.

ამასწინათ ჩემ შორიახლოს, მდინარის პირას, სუფრა გაშალეს წასახემსებლად. სამნი იყვნენ. ორი – ახალგაზრდა, ერთი – ხნიერი. ადგილს რომ არჩევდნენ, ხნიერმა ახალგაზრდებს უთხრა, ულეწელას გვერდით ჩამოვსხდეთო. მეამა. ამიტომაც მივუგდე ყური. რა პლასტიკური ტანი აქვს ამ ყვავილს, სხვა მცენარეებს არ ჰგავსო, თქვა ერთმა. ჰო, ძალიან ელასტიკური და დრეკადიაო, კვერი დაუკრა მეორემ. იმ დღემდე თავი მართლა პლასტიკური, ელასტიკური და დრეკადი მეგონა, მაგრამ რაც მერე მოვისმინე იმ ჭაღარა კაცისგან, მთელი სიცოცხლე მემახსოვრება.

აი, რა თქვა მან: ულეწელა პლასტიკური რომ იყოს, დაწოლილი ფეხზე ვეღარ ადგებოდაო. მეტიც – ერთ თქვენგანს ძირში რომ ჩაევლო ხელი, მეორეს – ქეჩოში, არაგვის გაღმა გასულიყო და ხელი გაეშვა, ასეთივე დარჩებოდაო. პლასტიკური სხეულები ადვილად ემორჩილებიან გარეგან ზემოქმედებას და ინარჩუნებენ ახალ ფორმასო. ღმერთო დიდებულო, კიდევ კარგი, ასე იოლად არ ვერგები სხვათა სურვილებს!

ელასტიკურობა და დრეკადობა კი იმას გულისხმობს, რამდენად შეუძლია სხეულს, წინააღმდეგობა გაუწიოს მოქმედ ძალას და მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ პირვანდელი ფორმა აღიდგინოსო, განაგრძო კაცმა. ეგ არის, ყველაზე დრეკადი ვყოფილვარ-მეთქი, დავასკვენი. მაგრამ თურმე ეს რაღაც დრეკადობა ვიღაც იუნგის მოდულებში იზომება და ვისაც ყველაზე დიდი აქვს, ყველაზე დრეკადიც ისაა. ახლა არ იკითხავთ, ვინაა ის დეევგმირი? – იმ გუთნის მასალა, გაზაფხულზე მიწის ბელტებს ერთმანეთზე რომ აწყობს უფრო დრეკადი ყოფილა, ვიდრე ნიკორა ხარის ტყავი თუ კაცთა მოგონილი რეზინი. ფოლადზე უფრო დრეკადებსაც უარსებიათ, მაგრამ ზოგის სახელი ვერ გავიგონე და ზოგისა ვერ დავიმახსოვრე...

...იუნგის მოდული და მასალათა თვისებები იქით იყოს და მე ძალიან მიყვარს ულეწელა. ჭალაში პირველს ყოველთვის მას ვარჩევ ხოლმე სხვა ყვავილებისგან. რატომ? რამ შემაყვარა? თავადაც არ ვიცი. ალბათ ამ ბედკრულ, მრავალჯერ გათელილ, მაგრამ ჯერ კიდევ ფეხზე მდგარ ქვეყანას მაგონებს, საქართველო რომ ჰქვია.

ГУРАМ МЕГРЕЛИШВИЛИ

ნარცისის ქრონიკები

დედის წიაღში მყოფმა ბავშვმა არ იცის არავინ, საკუთარი თავის გარდა, და მისი ეს მდგომარეობა ბუნებრივი და ლოგიკურია.

როდესაც ადამიანი ამ პირველყოფილ „სამოთხეს“ ტოვებს, ბევრ იმედგაცრუებას შეეჯახება, სანამ შეეგუება აზრს, რომ მარტო აღარ არის. სხვასთან მისი „თანაცხოვრება“ იძულებითია და რომ გადარჩეს, სულ მცირე, დედა მაინც უნდა ჰყავდეს გვერდით, ძუძუ რომ მისცეს ატირებულს.

გადის დრო და ჩნდებიან დედმამიშვილები, ახლობლები, კლასელები, კურსელები, თანამშრომლები, თანაქალაქელები, თანადედამიწელები და ადამიანიც ნელ-ნელა სწავლობს სხვასთან თანაცხოვრებას და ამ პროცესში, საკუთარი ეგოიზმის დასაძლევად, მან ობიექტის შეყვარებაც უნდა მოახერხოს, რათა არსებობა გაიადვილოს და გაუადვილოს სხვასაც.

ზრდასრული, ჩამოყალიბებული ადამიანი ამას ეტაპობრივად, „კისრის ბევრჯერ წატეხისა“ და ცხოვრებისეული წვრთნის შედეგად ახერხებს. ზრდასრული, მაგრამ ინფანტილურობაში ჩარჩენილი კი ერთგვარ ჩაკეტილ წრეში რჩება და არ აღიარებს სხვის არსებობას, საკუთარი თავით ტკბობას მისცემია და ცდილობს, დედამიწა იმსახუროს, როგორც სამსხვერპლოზე დაბრძანებულმა კერპმა, რომლის სტომაქიც არასოდეს, არასოდეს ამოივსება ნაკერპავით.

მსოფლიო ისტორიამ იცის დაუნდობელი მმართველების შესახებ, რომლებიც რეალობის საკუთარი სურვილის მიხედვით შეცვლას ცდილობდნენ. მხოლოდ სიკვდილს შეეძლო მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, ადამიანური ძალა კი ვერ წინაღუდგებოდა ბოროტებას, რომელსაც თესავდნენ იდეის, ხელმწიფოს თუ ღმერთის სახელით.

ეს ნამდვილი ფსიქოზი იყო. ფსიქოზი კი ნარცისიზმის უკიდურესი ფორმაა, როცა ადამიანი რეალობასთან სრულიად წყვეტს კავშირს და ცენტრში საკუთარ ფიგურას აყენებს როგორც კერპს.

ნარცისიზმი ამა თუ იმ ფორმით დამახასიათებელია ყველა ადამიანისთვის. საშუალოსტატისტიკურ მოქალაქეს რომ ჰკითხოთ, გაუცვლიდა თუ არა სხეულს სხვა, უფრო მშვენიერი აღნაგობის ადამიანს, უარს მიიღებთ – არასრულფასოვნების კომპლექსის მიუხედავად, ადამიანს საკუთარი გარსი მაინც განსაკუთრებულად მოსწონს. ეს ბუნებრივი ფენომენია და ითვლება, რომ ადამიანური გაგებით ნორმაა, მაგრამ როდესაც თვითტკბობაში მყოფი ადამიანი ვეღარ ავლებს ზღვარს საკუთარ სურვილებსა და შესაძლებლობებს შორის, ეს უკვე საზოგადოების პრობლემაც ხდება.

რამდენჯერ გვქონია შემთხვევა, როდესაც ერთი შეხედვით ნორმალური თანამოქალაქე რაღაცით გვაწუხებს, თითქოს ენერგიას გვაცლის, გვძაბავს, არადა, განსაკუთრებულსაც არაფერს აკეთებს, აი, მასთან კონტაქტი კი ერთი დიდი უსიამოვნებაა.

წარმოიდგინეთ ადამიანი, ვინც კბილის ექიმს ურეკავს და მიღებას სთხოვს. ექიმი პასუხობს, რომ იმ დღეს ყველა საათი გაწერილი აქვს. პაციენტი პასუხობს, რომ იქვე, ახლოს ცხოვრობს და უცბად მიირბენდა კლინიკაში. ეს, ცხადია, ექიმის დროის საკითხს ვერ წყვეტს. გამოდის, რომ პაციენტი სხვა პაციენტის ნაცვლად მიღებას ითხოვს გაუცნობიერებლად. აქ ფსიქიატრი ადვილად მიხვდებოდა, რომ საქმე აქვს ნარცისთან, რომელსაც ექიმისა და საკუთარი დროისა და ვითარების გარჩევა უბრალოდ არ შეუძლია. მას მიაჩნია, რომ ცოტა დრო დასჭირდება ვიზიტისთვის – მას დასჭირდება, ისაა ამ სიტუაციაში მთავარი და ყველა სხვა მეორეხარისხოვანი პერსონაჟია. ექიმი, როგორც დამოუკიდებელი პიროვნება, არ არსებობს, თავისი მოთხოვნილებებითა და დროის განრიგით (სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ლუდის დასალევად ან შვილების მოსაფერებლად წასვლა რომ მოუნდომებია). ასეთი პაციენტი გულწრფელად გაკვირვებული და იმედგაცრუებული დარჩება და ვერავინ გადაარწმუნებს, რომ თუ მისთვის მოხერხებული იყო ექიმთან ამა და ამ დროს ვიზიტი, რანაირად შეიძლებოდა, ექიმს უარი ეთქვა?!

მეორე მაგალითი შეყვარებული ნარცისის ლოგიკაა. თუ ეს კაცია, მას ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, საპასუხოდ არ უყვარდეს ქალს. ამიტომ მისი ლოგიკა ასეთია: განა არ ვუყვარვარ, ვერ აცნობიერებს გრძნობას, რომელიც ჩემ მიმართ აქვს, ეშინია საკუთარი გრძნობების სიდიადის და ამიტომ ცდილობს, ჩაკლას საკუთარ თავში ეს განცდა; თუ არ მოვეშვები, აღიარებს და გრძნობებს გასაქანს მისცემს. უნდა, რომ დამტანჯოს, რადგან ასეა მიღებული, – და ასე შემდეგ.

ნარცისიზმის ამოცნობა რამდენიმე საშუალებითაა შესაძლებელი. თუ ადამიანი ბევრ დროს ატარებს სარკესთან, აქვს ჯანმრთელობის გაუარესების იპოქონდრიული შიში, მისი ნარცისიზმი უკიდურესად გამწვავებულია. ღრმად დაფარულ ნარცისულ მიდრეკილებებზე მეტყველებს სიტუაციაც, როცა ადამიანი საკუთარ სახელსა და მორალურ „კოდექსს“ გააფთრებით იცავს „ცოდვებისგან“. „რამე ხომ არ შევცოდე? რამე ხომ არ დავაშავე? რას იფიქრებს ჩემზე ეს თუ ის ადამიანი, სიმართლე რომ ეგონოს?“ ესეც ნარცისული ფენომენია, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად და თავად ამ ადამიანისთვის ეს ყველაფერი უაღრესად ზნეობრივ, მორწმუნე პიროვნებაზე მიუთითებს. ფარული ნარცისიზმი ვლინდება იქაც, სადაც ერთი ადამიანი მეორეს ან ადამიანთა ჯგუფს რამეში ეხმარება და საკუთარი როლი მოსწონს, აღაფრთოვანებს. ქრისტიანული „დაე, შენმა მარჯვენამ არ იცოდეს, რას იქმს მარცხენა“ მზა ფორმულაა იმ შემთხვევების გასააზრებლად, როცა ადამიანს საკუთარი სინდისიც კი ატყუებს.

მესამე მაგალითი: არის ასეთი ანეკდოტი – მხატვარი ხვდება ნაცნობს და საკუთარი წარმატების შესახებ უყვება, დამშვიდობებამდე ცოტა ხნით ადრე კი ეუბნება: „სულ ჩემზე ვილაპარაკეთ, მოდი, ახლა შენზეც მითხარი რამე. მაგალითად, როგორ მოგეწონა ჩემი ბოლო გამოფენა?“

როგორ ამოვიცნოთ ნარცისი? არიან ადამიანები, რომლებიც საუბრისას რამდენიმე სიტყვას მიუგდებენ თანამოსაუბრეს და მიანიშნებენ, რომ მთავარი სათქმელი გადმოსცეს და მსმენელმა კეთილი უნდა ინებოს და მიხვდეს, რას გულისხმობდა მთქმელი.

ნარცისულ ტიპს არ შეუძლია დასაბუთებული კრიტიკის მიღება, რეაგირებს მძაფრად, ხისტად ან სულაც დეპრესიულად, განრიდებით, საკუთარ თავში ჩაკეტვით.

ნარცისულად განიხილავენ მორჩილების იმ ფორმასაც, რომელშიც სუბიექტი საკუთარ თავს ტკბობისა და განდიდების ობიექტად აყენებს. მე გმორჩილებ შენ (თუნდაც სამონასტრო ცხოვრებაში), რადგან ვტკბები იმ როლით, რომელიც გარე სამყაროსთან საკომუნიკაციოდ გამოვუნახე საკუთარ თავს. ერთგვარი თავმდაბლობა, რომელსაც ასეთი ადამიანი ავლენს, სინამდვილეში ნარცისული ტკბობის შედეგია. „მე არ მჭირდება საკუთარი განსაკუთრებულობის აღიარება გარე სამყაროს მხრიდან, რადგან ჩემი გამორჩეული „მე“ ისედაც საკმარისად

კვებავს პატივმოყვარეობას!“

ასეთებს ნახავთ საერთო შეკრებებზეც, როდესაც ადამიანი არც თავად ჭამს და მხიარულობს და არც სხვას აძლევს ამის საშუალებას, რადგან მთავარი შეკრებაში არც საკვები და არც საზოგადოება, არამედ აშკარა ან ლატენტური ნარცისია.

ნარცისიზმის გამოსავლენად აუცილებელი არ არის, პიროვნება საკუთარი მთლიანობით იწონებდეს თავს. ხშირად ნარცისული გამოვლინებები მარტივ, ამოსაცნობ ფორმებში იჩენს თავს – ადამიანი ცალკეული თვისებით ან მიღწევით იწყებს ტკბობას.

ვიღაცას საკუთარი თმა აღაფრთოვანებს, სხვა დაწერილი ლექსებით ცდილობს ნარცისული „მე“-ს დაკმაყოფილებას, ერთი შეხედვით, თავმდაბალი, ჩუმი ნარცისი კი შეიძლება იმით ტკბებოდეს, როგორი ბუხრის აშენება შეუძლია, ან სულაც საკუთარ შვილზე მოახდინოს „მე“-ს გადატანა და მისი „მიღწევებით“ ამაყობდეს. ამ სიამაყეში არარეალიზებული ნარცისული „მე“ მეტია, ვიდრე ობიექტური რეალობა, რომელიც სულაც მშობელმა მოახვია შვილს თავს.

რომ ჰკითხოთ ადამიანს, რა არის მისი არსი, ვინაა ის თავად, შესაძლოა უცნაური პასუხი მიიღოთ: მისი ღირსება, გვარი, ადამიანობა, სიმდიდრე, ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი, სახელი ან სხვა რამ. არის შემთხვევები, როცა ნარცისი ტკბობას იწყებს ისეთი უცნაური, ერთი შეხედვით, დამამცირებელი თვისებით, რაც სხვისთვის სულაც არ არის საამაყო (შიშებით, ავადმყოფობისკენ მიდრეკილებით და სხვა).

დასასრული იხილეთ
WWW.MASTSAVLEBELI.GE-ზე

ლათო გორგიძაძე

გასვლის დრო

კარანტინი რომ დასრულდა და მთავრობამ სასაფლაოების შესასვლელებთან გამაგრებული დაცვა მოხსნა, მე და ვახო ბებია-ბაბუის საფლავის დასალაგებლად წავედით მუხათგვერდში. ციცაბო ადგილია. ბებიაჩემი სულ იმაზე წუხდა, რომ მოვკვდები, აქ როგორ უნდა ჩამომიტანოთო. სიცოცხლე თქვი, თორემ სიკვდილის შემდეგ ყველგან ჩაგიტანენ. რუსიკოც ჩავიტანეთ. თან – თავსხმა წვიმაში.

დრო იყო, ბევრნი დავდიოდით ბაბუას საფლავზე. ახლა დავცოტავდით. ეგეთია ცხოვრება. ერთ ფილმში ამბობენ, დიდი ოჯახები ძველ ცივილიზაციებს ჰგვანან, სუსტდებიან და ქრებიანო. აღარც ბებიაჩემია, აღარც დედა. ახლა სხვადასხვა სასაფლაოზე ცხოვრობენ. მოკლედ, გრძელი ამბავია.

ინფექცია რომ დაიბადა, მგონი, გასული წლის ნოემბრის ბოლო იყო თუ დეკემბრის დასაწყისი. ქართველები მშვიდად ვიყავით. არ გვეხებოდა, არ ვეხებოდით. შორით ვაკვირდებოდით, როგორ იკრებდა ძალებს ჩინეთში და ერთი-ორს ვიცნობ, გულის კუნჭულში უხაროდა კიდეც. მალავდა კია. საინფორმაციო გამოშვებას თამამად ვუსმენდით. ზვიად რატიანის ლექსისა არ იყოს, ტელევიზორებს მაღალ ხმაზე ვაგუგუნებდით. მერე ინფექციამ ზოგან ვიზით და ზოგან უვიზოდ შეაღწია, ღრიჭოები იპოვა და ჩვენთანაც შემოჟონა. გავცვივდით, სუპერმარკეტები ტუალეტის ქაღალდისგან დავაცარიელეთ, აფთიაქები – სპირტისგან, ბანკომატები კი – ფულისგან. დავაცარიელეთ, რომ გული იმედით აგვევსო. იმედით ავსებისას კი ხან ერთ ხავსს მოვეჭიდეთ, ხან – მეორეს. ჯერ – ბე-ცე-ჟეს აცრა იცავსო, მერე – ჭაჭა ერევაო, ნიკოტინი სძულს და მოწევას მივეძალოთო. პლაქვენილი ვსვით ურეცეპტოდ, ლიმონით დავიხვრიტეთ კუჭები.

ბოლოს, როცა მედიცინამ ჩვენ მიერ შეთხზულ თეორიებს სათითაოდ გამოუსვა ცელი კისერში, თავის დამშვიდების უნივერსალურ მეთოდს მივაგენით და შევთანხმდით, რომ სინამდვილეში სადარდებელი არც არაფერია, რადგან ვირუსი კი მძვინვარებს, მაგრამ მხოლოდ მოხუცებს კლავს.

„რისი გეშინია, შეჩემა, კორონა მარტო ბებრებს და ინვალიდებს ბრიდავს“, – მითხრა ძველმა ნაცნობმა და საკოცნელად გამოიწია. გაგანია კარანტინის დღეებში ქუჩაში შემხვდა. წლები იყო, არ მენახა. მე მაღაზიაში მივდიოდი, ის, ძველებურად, სწრაფი ნაბიჯით მიიჩქარო-და, ალბათ, არსაით. ჩემი ნაცნობი რომ საზომი არ არის, ცხადზე უცხადესია. ჩემი ნაცნობი ვის დაკარგვია, როცა ამბიონზე შემომდგარმა მიტროპოლიტმა იობმა უქადაგა საშწყსოს, კორონავირუსის შედეგად მოხუცები იღუპებიან, რომლებიც უკვე უნდა გაიდნენ ამ ქვეყნიდანო.

ასეთი დამამცირებელია ის წითელი ზღვარი, რომელსაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ჯან-ღონით სავსეები, მხარბეჭიანები და ფეხმარდები, უწესებენ ადამიანებს, რომლებსაც სამი-ოთხი კაბა-შარვლით მეტი გამოუცვლიათ, გაღიმებისას სახე ეჭმუჭნებათ და ბანკომატს კრძალვითა და ცახცახით მოიხმარენ. სინამდვილე კი ისაა, რომ ინფექციის აფეთქებამ, პანდემიამ, კარანტინმა, ტუალეტის ქაღალდის დეფიციტმა, თვითგადარჩენის ინსტინქტმა ფეხქვეშ გამოგვაცალა საყრდენი – იმის ცოდნა, რომ ადამიანს დაბადების თარიღი აქვს, გამოშვების წელი – არა. და თუკი მას ავტომანქანად აღიქვამ, გარბენს, ძრავისა და აკუმულატორის რესურსს დაუთვლი და მის ვარგისიანობას სავალი ნაწილის ვარგისიანობით თუ პოლირებული ზედაპირით შეაფასებ, შენდა უნებურად დაიცლები ჰუმანურობისგან. ამ საყოველთაო აურზაურმა მიგვავიწყა (იმედი მაქვს, დროებით მიაძინა) იმის განცდა, რომ ადამიანი ცოცხალია მანამდე, სანამ უყვარს, განიცდის და უხარია. ხოლო ამ ქვეყნიდან გასვლის დრო მხოლოდ მაშინ დაუდგება, როცა გავა.

პაოლო სორენტინოს ერთი გმირი ჰყავს – ჯეპ გამბარდელა, ნიჭიერი და ზარმაცი კაცი, რომელიც თავს იტალიური ბომონდის მეფობით ირთობს, სინამდვილეში კი ამქვეყნად ყველაზე მოწყენილი ვინმეა. წლებშია ისიც და ამ წლებს ღიპზე შემოკრული კორსეტით მალავს. ჯეპ გამბარდელა ამბობს, ყმაწვილკაცობაში ჩემი მეგობრები ამ კითხვაზე ერთსა და იმავეს პასუხობდნენ: მუ. . .ლიო, მე კი ვამბობდი: იმ სახლის სურნელი, სადაც მოხუცები ცხოვრობენო. კითხვა კი ასეთი იყო: რა გიყვარს ცხოვრებაში ყველაზე მეტადო. მე ყოველთვის ჯეპ გამბარდელას მხარეს ვიყავი.

თანამედროვე ამერიკული კინოს კლასიკოსს ალექსანდრ პეინს შესანიშნავი კინოსურათი აქვს – „ნებრასკა“. ამ ფილმის მთავარი გმირები გზას მიუყვებიან. ერთი მათგანი მოხუცი კაცია, რომელზეც მავანი იტყოდა, მაგისი ამ ქვეყნიდან გასვლის დროაო. მეორე კი – მისი ვაჟი. მოხუცს აუკვიატებია, მილიონი მოვიგეო და პრიზის ასაღებად მიიწევს. შვილი, მიუხედავად იმისა, რომ მოგების აბსურდულობაში დარწმუნებულია, მამას ხათრს არ უტეხს და მის მიზანს თანაუგრძნობს. მერე კი იწყება ამბები და თან რა ამბები – ფათერაკები, აღსარებები, ახსნები, გულისტკენები და გულის გადაშლები. ამ ნაძერწ ისტორიაში რეჟისორი ანაზდად გაპარებს აზრს, რომ შესაძლოა, მამის გვერდით ათწლეულები გაატარო, მაგრამ არ იცნობდე და გაიცნო მაშინ, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ელოდები და მიხვდე, რომ ის არასდროს ყოფილა ისე ცოცხალი, როგორც იმ მომენტში, როცა, ერთი შეხედვით, „მისი ამ ქვეყნიდან გასვლის დროა“.

მე და ვახომ საფლავი ბალახისგან გავწმინდეთ, ბებიაჩემის საყვარელი „ფანტას“ ბოთლი გავხსენით, რომელიც ზაფხულის სიცხეს გვარიანად გაეხურებინა და ქვაზე ჩამოვსხედით. ვისხედით ასე და ქალაქს გავყურებდით. თან თბილ „ფანტას“ ვწრუპავდით.

– როგორ გგონია, რუსიკო ნაწყენია? – ვკითხე.

ვახომ პასუხი არ იჩქარა.

– ალბათ.

არც მე ვიჩქარე საუბრის გაგრძელება. ალბათ იმიტომ, რომ ვეთანხმებოდი.

– შავი მიწა დავამატებინოთ?

– დავამატებინოთ.

ბებიაჩემი 2017 წლის 25 სექტემბერს წავიდა. ახალი კორონავირუსული ინფექცია ჯერ არ არსებობდა, თუმცა ადამიანები მაშინაც უთვლიდნენ ერთმანეთს წლებს და უვლებდნენ საზღვრებს – ვისი გასვლის ჟამი დამდგარიყო და ვისი – არა. რუსიკო მეოთხმოცეში გადამდგარი გავიდა, თუმცა სიცოცხლის ბოლო წუთამდე უყვარდა და განიცდიდა.

ინა იმედაშვილი

წითელი დემენტორები საკლასო ოთახებიდან

ეს წერილი ყველაზე ბნელ მოგონებებზეა, იმაზე, რაზეც არც საუბარი სურთ და ფიქრიც კი უსიამოვნოა. ამბავი, რომელიც უნდა მოვყვე, ჩემი ამბავი არ არის. მისი გმირი შესაძლოა შენც აღმოჩნდე და კიდევ უამრავი ადამიანი, რომლებსაც ოდესღაც ბავშვობა აქ, ჩვენთან, საქართველოში გამოუვლიათ.

ამიტომ პირველ პირში არ გიამბობთ. ყველაფერს ერთი პატარა გოგო მოგიყვებათ, რომელსაც პირობითად ხატიას დავარქმევ. რატომ ხატიას? იმიტომ, რომ დედამისს ძალიან უყვარდა დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, იმდენად, რომ თავის პირმშოს საყვარელი პერსონაჟის სახელი უსახსოვრა. ასეც ხდებოდა ხოლმე. შესაძლოა ახლაც ხდება.

საბჭოთა, კომუნისტური, წითელი პარტია – მხოლოდ წარსულიდან შემორჩენილი სიტყვები არ გეგონოთ. ისინი შიშით იკვებებოდნენ და შიშს თესავდნენ. პოტერის დემენტორებისა არ იყოს, შიშის გარეშე ძალა ეკარგებოდათ და ალბათ გაქრებოდნენ, რომ არა ოდესღაც დათესილი და მუდმივად არსებული შიშის მარცვლები.

ჰოდა, იმ დროს, როდესაც კომუნისტური, წესით, აღარაფერი უნდა ყოფილიყო, შიში მაინც წითლად ღვიოდა და არსად წასულიყო. ყველაზე მძლავრად კი ამ შიშს სკოლებში ჰქონდა ფესვები გადგმული და იქიდან წასვლას არ აპირებდა. მგონი, არც ახლა აპირებს.

მოკლედ, დავუბრუნდეთ ხატიას, რომელსაც მაშინ მოუწია სკოლაში შესვლა, ქვეყნის სიყვარულმა ქუჩებიდან სუფრებზე რომ გადმოინაცვლა და მიტინგებზე წარმოთქმული „გაუმარჯოს“ თამადის ექსკლუზივად რომ იქცა. მთელ ამ პატრიოტულ აურზაურში ყველა თანაბრად ტივტივებდა და გულზე მჯიღის ცემა ყველაზე მოდური, პოპულარულ ქმედებად ითვლებოდა. სკოლებშიც ლენინის სიყვარული უპირობოდ სამშობლოს სიყვარულით ჩანაცვლდა და, ერთი შეხედვით, თითქოს პრობლემაც მოგვარდა, თუმცა ეს – ერთი შეხედვით.

მას შემდეგ უამრავი წელი გავიდა, ბელადებს ქვეყანასთან ერთად სკოლაც იცვლიდა, ხატიას კი ერთი შემთხვევა დღემდე ჩარჩა გულში. ეს ის შემთხვევაა, რომლის გამოც ამხელა შესავალი დამჭირდა.

ერთი კლასელი ჰყავდა, „ოროსნის“ იარლიყით, ძალიან ღარიბი ოჯახიდან, მუდამ დაპატარავებული ტანისამოსით. ძველი პიონერის ფორმა ეცვა, პიჯაკი იდაყვებამდე სწვდებოდა და შარვალი წვივებს ვერ უფარავდა. ამ პატრიოტულ აღტყინებაში ძველი, გახუნებული პიონერის ფორმა კარიკატურულად გამოიყურებოდა. ბიჭს პირობითად ალექსი ვუწოდოთ. მის გვერდით არავინ ჯდებოდა, არავინ ემეგობრებოდა, არავინ ესაუბრებოდა, იმიტომ რომ ღარიბი და მოუვლელი იყო. იჯდა ალექსი მუდამ უკანა მერხზე, მარტო და მოწყენილი.

ხატია მესამე კლასში იყო, როდესაც მასწავლებელმა ვერამ აღმოაჩინა, რომ მისი კინოფირები მაგიდის უჯრიდან გამქრალიყო. ჰოდა, ბევრი არ უფიქრია – გადაწყვიტა, რომ ვიღაცამ მოიპარა. ვინ იქნებოდა ეს ვიღაც, თუ არა ალექსი? ლოგიკურია – ღარიბი, განმარტოებული, მოწყენილი, უმეგობრო, სიხარულს მოკლებული. ვერამ ალექსი დაფასთან გაიყვანა და დაკითხვა დაიწყო. სასამართლო საკლასო ოთახში. ოცდაექვსი წყვილი შეშინებული თვალის წინაშე. ოცდამეშვიდე დაფის წინ იდგა და თავს იმართლებდა, რომ მას არ აუღია, არც კი უნახავს. იმეორებდა, რომ ის არ იყო დამნაშავე. მაგრამ ვერა მასწავლებელი შეუდრეკელი ბრალმდებელი აღმოჩნდა. არ ნებდებოდა და დაკითხვას მკაცრად აგრძელებდა. ალექსიმ ჯერ დედა დაიფიცა, მერე – მამა, ძმა, მაგრამ არცერთმა რომ არ გაჭრა, ადგა და იესო ქრისტეს გეფიცებითო, პირდაპირ თქვა.

ხატიას ისე კარგად ახსოვს ეს სიტყვები... ისე გაუკვირდა მაშინ, როგორ გაბედა ალექსიმ თავის გადასარჩენად ღმერთის დაფიცება. თან იმ დროს, როცა კომუნიზმიდან გამოფხიზლებულ საზოგადოებას ღმერთი ახლად აღმოჩენილი ჰყავდა და მისი სახელის ასე ხსენება მკრეხელობად, უპატივცემულობად ითვლებოდა. ალექსი კი ღმერთს ჩაეჭიდა. იმიტომ, რომ მის გარდა ახლა არავინ ჰყავდა და შვიდი წლის ბავშვმა ახსენა ის, ვინც ბრალმდებლის ემოციებზე იმოქმედებდა, საკუთარ სიმართლეს დაამტკიცებინებდა.

ამასობაში ზარიც დაირეკა და ხატიამ შვებით ამოისუნთქა.

ასეთ სასამართლოებს საკლასო ოთახში ხშირად დასწრებია და საბოლოოდ შეეჩვია კიდეც. ის კი არა, საკუთარ ოჯახშიც გაუსამართლებიათ, როდესაც ძვირფასი ჩინური ვაზის გატეხა ბრალდებოდა. ხატიას უზარმაზარი უსუსურობა უგრძნია, როდესაც მისი არ სჯეროდათ, და დღემდე ახსოვს ის საშინელი განცდა, მართალი რომ ხარ და ჩაუდენელი დანაშაულის აღიარება გიწევს, ოღონდ ეს დაძაბული, სულის შემხუთველი დაკითხვა დასრულდეს. არამხოლოდ ხატია – მისი კლასელებიც მიეჩვივნენ ჩაუდენელი დანაშაულის აღიარებას და ტყუილის თქმაც ძალიან გამარტივდა. ბოდიშიც ჩვეულებრივ, უსიცოცხლო „გამარჯობად“ იქცა და ასე გააგრძელეს კიდეც ცხოვრება.

ამ ამბებს არ ამოვქექავდი ხატიას ღრმად შენახული მოგონებებიდან, რომ არა ერთი შემთხვევა – ჩემი მეგობრის შვილის მიერ მოყოლილი ამბავი. ის ერთ-ერთ კერძო სკოლაში სწავლობს და მშობლები მის განათლებაში საკმაოდ დიდ თანხას იხდიან. მოზარდმა მომიყვა, როგორ მოუწყო სასამართლო კლასში მასწავლებელმა იმის დასადგენად, ვინ გააღო საკლასო ოთახის ფანჯარა. ამ ფანჯრის გაღება მათ უსაფრთხოებასთან იყო კავშირში. დაკითხვას გაკვეთილი დაეთმო და ბრალმდებლის როლში ისევ მასწავლებელი აღმოჩნდა – ოცდაათი წლის შემდეგაც. ის დირექტორის ჩარევით იმუქრებოდა, თუ არ გამოტყდებოდნენ და „დანაშაულს“ არ აღიარებდნენ. მივხვდი, რომ წითელი დემენტორები ისევ დაჰქრიან ჩვენს სკოლებში და ისევ იკვებებიან ბავშვების, მასწავლებლების, მშობლებისა და დირექტორების შიშებით. ამ შიშების მიზეზები ურთიერთკავშირშია: ბავშვებს ეშინიათ კლასის წინაშე მოწყობილი „სასამართლოების“, რადგან ამას თანაკლასელების თვალში დამცირება მოსდევს, ეშინიათ მასწავლებლების, მშობლების, დირექტორების. მასწავლებლებს ეშინიათ საყვედურების დირექტორისა და მშობლებისგან, მშობლებს – სხვა მშობლების და იმის, რომ მათი შვილი შესაძლოა არც ისეთი იდეალური იყოს და ასე შემდეგ, მთელი ჯაჭვია შიშების. ამ ჯაჭვებითაა შეკრული ჯერ სასკოლო საზოგადოება და მერე უკვე საზოგადოებაც.

ჰო, კიდევ ერთი: ხატიას კლასელი ალექსი დღეს ერთ-ერთი ძალიან პოპულარული პოლიტიკური პარტიის გულმხურვალე წევრი და პარტიის თავმჯდომარის დამცველია. აი, ყველაფერს რომ იკადრებს და შეასრულებს, თუკი პარტია უბრძანებს...

რატომ აღმოჩნდა ალექსი ამ პოზიციაზე – ამაზე პასუხიც და ამ წერილის დასკვნაც თქვენთვის მომინდვია.

ნესტან რატიანი

ფაქტობრივი და სიტყვიერი კამათი

> ფაქტობრივი კამათის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტის შესახებ არსებულ, თუნდაც განსხვავებულ, მოსაზრებებს და არა სიტყვების მნიშვნელობებს მაშინ, როდესაც სიტყვიერი კამათისას წინ წამოიწევს ეს უკანასკნელი – სიტყვა.

თუკი ფაქტობრივი კამათის დროს გამარჯვებულია ის, ვინც უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს წარმოადგენს, სიტყვიერ კამათში ის იმარჯვებს, ვინც აღქმის მისეული ვარიანტის სისწორეში დაარწმუნებს მოწინააღმდეგე მხარეს.

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან მაღიზიანებს, როცა ვხედავ, როგორ ცდილობენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, რიგითი მოკვდავები ფაქტობრივი კამათის სიტყვიერში გადაყვანას ზეპირ თუ წერილობით კომენტარებში. განა რამე უკანონობას სჩადიან?! რა თქმა უნდა, არა. არაფერია უკანონო იმაში, როცა ცდილობ, მოგებული გამოჩნდე ვიღაცის, უფრო სწორად, მსმენელისა და მკითხველის თვალში. მაგრამ საქმე ის კი არ არის, რამდენად შეძლო მოგებულმა მხარემ სასწორის თეფშის თავისკენ გადახრა, არამედ ის, გაფრთხილებულია თუ არა მისი მსმენელი/მკითხველი, იცის თუ არა იმ ხრიკის შესახებ, რომელსაც მოპაექრე იყენებს და რომელიც იოლი გზაა რთულ კითხვებზე პასუხისგან თავის დაძვრენისა, დისკუსიის სხვა მიმართულებით წაყვანისა და პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა. თუკი მყიდველისთვის მნიშვნელოვანია, საქონლის აწონისას გირის საპირწონედ საქონელთან ერთად სასწორის თეფშზე რას შემოდებენ, კამათის დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რით გადაწონის ერთი არგუმენტი მეორეს – თავისი სიმძიმით თუ მასთან ერთად დახვავებული იმ სიტყვებით, გადარჩევის შედეგად რომ უვარგისდებიან. ამიტომაც სიტყვებით პაექრობისას მოწინააღმდეგეც და მსმენელიც/მკითხველიც ფხიზლად უნდა იყვნენ. ან გაფრთხილებულნი მაინც.

ჩვენი მოსწავლეებიც მათ შორის რომ არ აღმოჩნდნენ, ვისაც გასაყიდ საქონელთან ერთად სიყალბეს შეაპარებენ, ვისაც ადვილად წამოაგებენ ანკესზე, ვისაც მარტივი ფანდის ამოცნობა გაუჭირდება, ჩვენი, მასწავლებლების მოვალეობაა, გავაფრთხილოთ ისინი ამის შესახებ და ვასწავლოთ, როგორ მოიქცნენ, რომ პრობლემა თავიდან აიცილონ.

რას ნიშნავს, როცა მოპაექრეებს ფაქტობრივი კამათი სიტყვიერში გადაჰყავთ? მე მოსწავლეებს ასე ვუხსნი და გირჩევთ, თქვენც გაითვალისწინოთ ჩემი გამოცდილება:

1. ფაქტობრივი კამათის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტის შესახებ არსებულ, თუნდაც განსხვავებულ, მოსაზრებებს და არა სიტყვების მნიშვნელობებს მაშინ, როდესაც სიტყვიერი კამათისას წინ წამოიწევს ეს უკანასკნელი – სიტყვა. თუკი ფაქტობრივი კამათის დროს გამარჯვებულია ის, ვინც უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს წარმოადგენს, სიტყვიერ კამათში ის იმარჯვებს, ვინც აღქმის მისეული ვარიანტის სისწორეში დაარწმუნებს მოწინააღმდეგე მხარეს.

   იმის უკეთ გასაგებად, რომელია ფაქტობრივი კამათი და რომელი – სიტყვიერი, წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაციები:

„– **ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად და მსგავსად თვისად.**

– **ღმერთი არ არსებობს“.**

> თუკი ფაქტობრივი კამათის დროს გამარჯვებულია ის, ვინც უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს წარმოადგენს, სიტყვიერ კამათში ის იმარჯვებს, ვინც აღქმის მისეული ვარიანტის სისწორეში დაარწმუნებს მოწინააღმდეგე მხარეს.

ეს დიალოგი სიტყვიერი კამათის ელემენტს შეიცავს, ვინაიდან მეორე მოსაუბრე პირველის მოსაზრებას კი არ ეთანხმება ან უარყოფს, არამედ საუბარი სხვა მიმართულებით მიჰყავს და ამიტომ გაგრძელებაც შესაბამისი იქნება.

„– შენი დაგებული ხიდი ჩაინგრა.

– შენგან შენიშვნას ვერ მივიღებ, შენ ხომ არცერთი ხიდი არ აგიგია“.

ეს დიალოგიც სიტყვიერია, ვინაიდან მეორე მოკამათე განსახილველი ფაქტის სისწორე-სიმცდარეზე კი არ პასუხობს პირველს, არამედ წამოაძახებს მის მიერ განვლილი ცხოვრების ერთ ასპექტს.

„– შენს ნაწერში ბევრი შეცდომაა.

– შენს ნაწერებშიც“.

ესეც სიტყვიერი კამათის ნიმუშია, რადგან საკუთარ ნაწერში ბრალდების გამაბათილებელი ფაქტების პოვნის ნაცვლად სხვის ნაწერზე გადაგვაქვს საუბარი.

ხშირად ფაქტობრივი კამათის სიტყვიერში გადაზრდას ხელს უწყობს თავად ენა და მასში არსებული სიტყვების აღქმა, თუნდაც საორჭოფო/საჭოჭმანო (weasel words) და ბუნდოვანი (vague words) სიტყვების არსებობა წინადადებაში.

ა) საჭოჭმანო/საორჭოფო სიტყვების გამოყენების მაგალითებია:

„მასწავლებელი: არ გიმეცადინია!

მოსწავლე: როგორ არა, საკმაოდ დიდხანს ვიმეცადინე!“

აქ არ ჩანს, რამდენი დრო დაუთმო მოსწავლემ მეცადინეობას. ის შესაძლოა, სიმართლეს ამბობდეს, მაგრამ ფაქტია, მასწავლებელს, მისგან განსხვავებით, მეცადინეობისთვის დათმობილი დრო საკმარისად არ მიაჩნია.

„გამომძიებელი: ეს იყო?

მოწმე: მგონი/ალბათ/თითქოს, კი“.

„მგონი“, „ალბათ“, „თითქოს“, „შესაძლოა“, „ეგებ“ და სხვა ასეთი სიტყვები საორჭოფო/საჭოჭმანოა და მათი გამოყენებაც საფრთხეში აყენებს ფაქტობრივ კამათს.

„რეკლამა: ჩვენი პროდუქტი 25%-მდე აღადგენს დაზიანებულ თმას“.

მოდი და არკვიე, რამდენია ჯერ თმის 100% და მერე – 25%-მდე: 24, 15 თუსულაც 5.

ბ) ბუნდოვანი სიტყვების გამოყენების მაგალითებია:

„მოსწავლე: მე სკოლიდან შორს ვცხოვრობ“.

რას ნიშნავს „შორს“? რასთან შედარებითაა მოსწავლის სახლი შორი?

„პაციენტი: ბევრს ვჭამ“.

„ბევრი“ ისეთივე ბუნდოვანი სიტყვაა ამ კონტექსტში, როგორიც „შორი“ იყო წინა მაგალითში.

„დამქირავებელი: ჩვენთან კარგი ანაზღაურება გექნებათ!“

ცხადია, „კარგი“ ბუნდოვანი სიტყვაა, რადგან ხელფასის ოდენობა და მისი აღქმა ინდივიდუალურია სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა დროს და ადგილას.

2. როდესაც გავარკვევთ მოსწავლეებს, რა საფრთხეს შეიცავს კამათის დროს საორჭოფო/საჭოჭმანო და ბუნდოვანი სიტყვების გამოყენება, სასურველია ავუხსნათ, რა არის ფაქტი. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურასთან მიმართებით.

„ფაქტი“ (მამრ. factus, მდედრ. facta, საშ. factum) ლათინური სიტყვაა. თუკი გრამატიკულად გავარჩევთ, ის ნამყო სრული დროის ვნებითი გვარის მიმღეობაა (perfect passive participle). ეს სიტყვა ლათინურ ზმნა facio-სგან მომდინარეობს, რომელიც ჩადენას, გაკეთებას, მოქმედებას აღნიშნავს. ამავე ზმნისგან იწარმოება სიტყვები „ფაქტურა“ და „ფაქტორი“, რომლებიც, თავის მხრივ, არაერთ სიტყვას აწარმოებს. თავად „ფაქტი“ კი მომხდარს, გაკეთებულს, ჩადენილს ნიშნავს, შესაბამისად, ის უტყუარია, მის ნამდვილობას წყალი არ გაუვა. მაგრამ, ამ სიტყვის ხშირ გამოყენებასთან ერთად, აღმოჩნდა, რომ ფაქტი სულაც არ ყოფილა ყოველთვის ჯიუტი. ასე გაჩნდა ენაში ისეთი წყვილები, როგორებიცაა, მაგალითად,

„უზუსტო ფაქტი“, „მცდარი ფაქტი“, „არასწორი ფაქტი“, რაც სხვა შემთხვევაში ოქსიმორონი იქნებოდა, რადგან შეუძლებელია, ფაქტი, მისივე შინაარსიდან გამომდინარე, ტყუილი იყოს.

საკითხში უკეთ რომ გავერკვიოთ, მოვიშველიოთ მაგალითები სხვადასხვა დისციპლინიდან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაკვირვებიდან თეორიამდე გრძელი გზაა გასავლელი. ამ გზაზე ფაქტები უმთავრეს როლს ასრულებს. ფაქტებია ექსპერიმენტების შედეგები, შეგროვილი მონაცემები და სხვ. ფაქტები სამშენებლო ქვებია, რომლებითაც თეორია იგება. მაგრამ ხდება ისეც, რომ ის, რაც მანამდე ფაქტი გვეგონა, ნამდვილი გვეგონა, ამა თუ იმ მიზეზით მცდარი აღმოჩნდება. ეს საბედისწერო მომენტი ჩამოშლის თეორიას. ბანალურია, მაგრამ გეოცენტრიზმიდან ჰელიოცენტრიზმამდე გზა სწორედ ფაქტების გადაფასების შედეგია – ის, რაც მანამდე ფაქტად იყო აღიარებული (sc. უძრავი დედამიწა და მოძრავი მზე), ტყუილი აღმოჩნდა და ფაქტებად მიჩნეული მცდარი შეხედულებების ჩამოშლამ ახალი თეორია წარმოშვა.



იგივე ვითარებაა სოციალურ მეცნიერებებშიც. როცა წყარო ფაქტადაა მიჩნეული, შესაძლოა, ახალი წყაროს აღმოჩენის შემდეგ მისი სიზუსტე და სანდოობა სადავო გახდეს და აღიარებული ჭეშმარიტება თვალსა და ხელს შუა გამოგვეცალოს. ამიტომ არის, რომ არავინ მიიჩნევს სოციალურ მეცნიერებებს ზუსტ მეცნიერებებად – ძალიან დიდია ალბათობა, გადამოწმებისას ფაქტად მიჩნეული ჭეშმარიტება საპნის ბუშტივით გასკდეს. როგორც უნდა ცდილობდნენ ამ სფეროს (სოციალური მეცნიერებების) წარმომადგენლები, შეამოწმონ ფაქტები, შეადარონ, დაუპირისპირონ ისინი ერთმანეთს, მათ აპრიორი იციან: სოციალურ მეცნიერებებში თეორიების ასაგებად მოძიებულ ფაქტებს ბრმად ვერ ენდობი, ვერ დაეყრდნობი. მაგრამ სხვა გზა არ არსებობს და ამ სფეროში არსებული თეორიები მაინც ვარაუდები იქნება.

ლიტერატურაში ფაქტები ნაწარმოებებშია. როგორც უნდა მოინდომოს მკითხველმა, ის ვერ გაექცევა, ვერ გასცდება ტექსტით შემოსაზღვრულ, მწერლის მიერ დაწესებულ ჩარჩოებს. თუმცა ლიტერატურული ფაქტებიც იწვევს გაუგებრობას. ამასწინათ ფეისბუქზე საინტერესო დისკუსიას ვადევნებდი თვალს. ერთ-ერთი ლიტერატორი წერდა (დიალოგი შემოკლებული სახით გადმოვიტანე წერილში გია არგანაშვილან შეთანხმების შემდეგ), რომ

სიტყვებში: „როგორც უნდომლად მოკლული თავის ლამაზი ძმისთვინა“, – ავტორი ალუდას მიერ მოკლული მუცალის ხორციელ ძმას გულისხმობდა და არა თვითონ მუცალს. პოსტის ავტორისთვის საკუთარი მოსაზრება, ტექსტიდან მოხმობილი ციტატის საფუძველზე, ფაქტი იყო, მაგრამ ის სხვა ლიტერატორებისთვის არ აღმოჩნდა სარწმუნო და მათ თავიანთი მოსაზრების, განსხვავებული წაკითხვის გასამყარებლად ისევ ტექსტიდან მოიხმეს ციტატები: „მუცალის ძმას „ქურდკანტალას“ უწოდებს და ეს არ არღვევს „ლამაზ ძმად“ მისი გააზრების დასაშვებობას?“

კამათი იმით დასრულდა, რომ მასში მონაწილე პირები თავ-თავიანთ აზრზე დარჩნენ. რამ გამოიწვია ეს? იმან, რომ ლიტერატურაში ფაქტი სიტყვებს ეფუძნება, სიტყვები კი ყველა ადამიანს თავისებურად ესმის. სიტყვები კონტექსტში იკითხება, კონტექსტი კი აღმქმელისთვის ხშირად სუბიექტურია.

რატომ მოვიხმე ეს დისკუსია? მავანს შესაძლოა ეგონოს, რომ ეს კამათი სიტყვიერია. არავითარ შემთხვევაში. როგორც აღვნიშნე, ლიტერატურაში ფაქტები სიტყვებს ეფუძნება, ამიტომ ზემოთ მოყვანილი დისკუსია ფაქტობრივია და არა სიტყვიერი. სიტყვიერი მაშინ იქნებოდა, მასში მონაწილე მხარეებს სიტყვების მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად რომ აღექვათ და ედავათ. მაგალითად, იმაზე, ვისთვის რა არის ლამაზი (თუნდაც სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში სილამაზის სხვადასხვა სტანდარტზე) ან იმაზე, ვისთვის რა მიიჩნევა მოკლულად (მოკვლა შეიძლება შემთხვევით, უნებლიეთ, განზრახ და ა.შ.).

3. როდესაც მოსწავლეებს ავუხსნით ბუნდოვან და საორჭოფო/საჭოჭმანო სიტყვებს, გავარკვევთ ფაქტების მნიშვნელობაში, ვასწავლოთ ესეც: იმისთვის, რომ თავი დავიზღვიოთ და მოწინააღმდეგე მხარემ მიმართულება არ შეუცვალოს კამათს, არ აგვაცდინოს თანმიმდევრობას და არჩეული გზიდან არ გადაგვახვევინოს, კარგი იქნება, თუკი თავიდანვე შევთანხმდებით საკვანძო სიტყვების მნიშვნელობაზე. განსაკუთრებით სასარგებლოა ასეთი შეთანხმება არგუმენტირებული ნაწერის დასაწყისში. შესთავაზეთ მოსწავლეს, წარმოიდგინოს, რომ გამოცდაზე მის ნაწერს უცნობი გამსწორებელი ასწორებს და მან არ იცის, რა მნიშვნელობას დებს მოსწავლე ამა თუ იმ სიტყვაში, რომელიც ამოსავალია მსჯელობისთვის, ამიტომ აუცილებელია, ნაწერში თავიდანვე განიმარტოს სიტყვა. მეც, მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, რას ვგულისხმობ ამა თუ იმ სიტყვის გამოყენებისას და ჩემი ნაწერიც ნაკლებად სადავო გახდეს, საკამათო მოსაზრებას ხშირად სიტყვის განმარტებით ვიწყებ – ასე თავსაც ვიზღვევ და ჩემს ნაწერსაც ვაზღვევ. მკითხველმა თავიდანვე იცის, რას ვგულისხმობ საჯილდაო სიტყვაში. ასე ფაქტობრივი კამათი სიტყვიერ კამათში აღარ გადაიზრდება (ეს წერილიც ამის მაგალითია, დასაწყისშიც და მერეც შევეცადე, რამდენიმე საკვანძო სიტყვა განმემარტა).

დაბოლოს, გაიხსენეთ, თქვენ ან თქვენს მოსწავლეებსაც ხომ არ გადაგყავთ ფაქტობრივი კამათი სიტყვიერში? თუ ასეთი რამ არ გახსენდებათ, გილოცავთ, რადგან გარშემო გამუდმებით ვხედავთ, როგორ გადაჰყავთ ფაქტებზე დავა სიტყვიერ დავაში და როგორ გვაკარგვინებენ დროს უსაგნო და უმიზნო კამათის მოსმენაში ტელეარხებიდან და ხანდახან მაღალი ტრიბუნებიდანაც. თუკი სკოლის მერხიდანვე არ ვასწავლით ჩვენს მოსწავლეებს ფაქტების მოძიებას, არგუმენტების გაბათილებას ან ფაქტებით განმტკიცებას, სიტყვების მნიშვნელობის თავიდანვე განმარტებას, სამწუხაროდ, ისინიც არასწორ გზას დაადგებიან – ქვეყანას ვერც სამ ხმაში სიმღერა აშენებს და ვერც უსაფუძვლო კამათი, მით უმეტეს, ვერც სიტყვებზე უსაგნო დავა.

მაია ჯაღიაშვილი

ფუნქციური ცოდნის ნიუანსები

ფუნქციური სწავლება, ფართო მნიშვნელობით, გულისხმობს სხვადასხვა დისციპლინაში შეძენილი ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარს. ცოდნის ორი მთავარი წყაროა სკოლა, სადაც მასწავლებლები გადასცემენ ბავშვებს სხვადასხვა ტიპის ცოდნას და თვითონ ცხოვრება, სადაც ცოდნა გამოცდილების სახით ეძლევა ადამიანს. ყოველდღიური ყოფა (ოჯახი, გარემო, დრო, სივრცე, ტრადიცია და სხვ.) უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ეს კარგად არის გამოხატული ილია ჭავჭავაძის სიტყვებში: „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა, მაგრამ მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“.

ადამიანი ორ განზომილებაში ცხოვრობს: პრაქტიკულ, რაციონალურ, რეალურ სამყაროში და ფიქრის, წარმოსახვის, ოცნების, რწმენის სამყაროში. გონიერი კაცისთვის ორივე მნიშვნელოვანია. სწორედ გონიერება განაპირობებს იმას, რომ ადამიანს შეუძლია ნაფიქრის ხორცშესხმა, წარმოსახულ იდეათა რეალურ სამყაროში განხორციელება. ცოდნა, რომელიც არა მხოლოდ გარკვეული ინფორმაციის ფლობას, არამედ მისი კრიტიკული გადამუშავების უნარსაც გულისხმობს, თანამედროვე სამყაროში იმ სოციალურ-კულტურულ გარემოში შეიძინება, რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულება ჰქვია. ყველა ადამიანი მიისწრაფვის ბედნიერებისკენ, შინაგანი ჰარმონიისკენ, ეს კი პირდაპირ არის დაკავშირებული მატერიალურ კეთილდღეობასთან. ისევ ილია ჭავჭავაძის გაუცვეთელი და დღესაც აქტუალური თვალსაზრისი გავიხსენოთ: „ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა, კაცს სიმდიდრე თვალ წინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი-კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება“ („ისევ განათლების შესახებ“).

მოსწავლეს და მასწავლებელს ხშირად არ „უყვართ“ ერთი და იგივე რამ. ამ შემთხვევაში, პედაგოგმა უპირატესობა მოსწავლის ინტერესს უნდა მიანიჭოს. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებაც, უპირველესად, იმას გულისხმობს, რომ მოსწავლემ კარგად გაიაზროს: თეორიული ცოდნა იმისთვისაა საჭირო, რომ კომპლექსური ცხოვრებისეული პრობლემები გადაჭრას. ამერიკელი მასწავლებელი ეი ჯეი ჯულიანი, როდესაც კოლეგებს გამოცდილებას უზიარებს, დეილ კარნეგის ციტატას იმოწმებს: „პირადად მე ძალიან მიყვარს მარწყვი და ნაღები, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ თევზები რატომღაც მატლებს ამჯობინებენ.

> სხვადასხვა საგანში მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების გზით ადამიანმა სამყარო უნდა გაიაზროს როგორც ერთი მთლიანი სასიცოცხლო სივრცე თავისი მრავალფეროვნებით. როგორც რუსთაველი ამბობს, „სამყარო გვაქვს უთვალავი ფერითა“.

ასე რომ, როდესაც სათევზაოდ დავდიოდი, იმაზე კი არ ვფიქრობდი, რაც მე მინდოდა, არამედ იმაზე, რაც თევზებს სურდათ. სათევზაო კაუჭზე მარწყვსა და ნაღებს კი არა, ჭიაყელას ან მწერს ვკიდებდი". მასწავლებლები ხომ ერთგვარი მებადურებიც არიან, რომლებმაც „მოსწავლე" უნდა დაიჭირონ, ამიტომ კარგად უნდა შეარჩიონ „სატყუარა". ამას ისიც ართულებს, რომ „სატყუარას" ხშირი ცვლა და, შესაბამისად, დიდი შემოქმედებით-გამომგონებლური უნარი სჭირდება.

დიმიტრი უზნაძე წერს: „სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არა აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას". ამიტომაც წარუმძღვარეს ავტორებმა ეს სიტყვები ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ფუნქციური ცოდნა იმასაც გულისხმობს, რომ ადამიანმა თანაბარი ინტენსივობით შეიგრძნოს თავისი შინაგანი მრავალფეროვნების არსი, ფიქრისა და მოქმედების შეთანხმებულობა. ფიქრი და შეგრძნება ხშირად არაცნობიერის წიაღიდან მოედინება, ამიტომ აუცილებელია მათი კონტროლის უნარის გამომუშავება: „გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან, /რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან", – წერს რუსთაველი. მაშასადამე, პოეტი გულის, ე.ი. ირაციონალური, ინტუიციური ძალის უპირატესობას აღიარებს, ამიტომაც მნიშვნელოვანია იმ ძალების განვითარება, რომლებიც ადამიანს ფიქრების ანალიზში დაეხმარება.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში კარგად ჩანს, როგორ უნდა შეამოწმოს მასწავლებელმა, აქვს თუ არა მოსწავლეს ფუნქციური ცოდნა. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემაჯამებელი დავალებების შედგენისას. ისინი უნდა იყოს კომპლექსური, შესწავლილი თემების მიხედვით შედგენილი და შინაარსიანი, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებული. მათი შესრულება მოსწავლისგან უნდა მოითხოვდეს ფუნქციურ კონტექსტებში სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულ გამოყენებას. ამგვარი დავალებების მოსაფიქრებლად და შესარჩევად პედაგოგს დიდი ძალისხმევა მართებს.

ორი საკვანძო სიტყვა უნდა იქცეს იმის სიღრმისეული გააზრების გასაღებად, რასაც ფუნქციური ცოდნა ჰქვია, ესენია: დამოუკიდებლობა და თავისუფლება. დამოუკიდებლობა გულისხმობს სხვის დაუხმარებლად საკუთარი შესაძლებლობის გააზრების უნარს, სწორი ინტერესების განსაზღვრას. კონკრეტული საგნის შესწავლის ინდივიდუალური ტექნიკის გამომუშავებას.

თავისუფლება ნიშნავს ნებისმიერი არჩევანისა და გადაწყვეტილების შესაძლებლობას, შეცდომის შიშის დაძლევას. ეს მასწავლებელმა უნდა მოახერხოს იმ გზით, რომ მოსწავლეს გააცნობიერებინოს საკუთარი არჩევანის უნიკალურობა და ღირებულება, ჩაუნერგოს იმის განცდა, რომ შეცდომის უფლება აქვს, რომ შეცდომა დანაშაული არ არის და ამის გამო სიტყვიერი შეფასებით თუ ქულათა სკალით არ „დაისჯება".

> მოსწავლემ მხოლოდ თეორიულად კი არ უნდა იცოდეს რაღაც, არამედ შეეძლოს ამ ცოდნის გამოყენება ყოფის ორივე განზომილებში – სულიერსა და მატერიალურში, რადგან ცხოვრება, რეალობა ორივეს თანაბრად გულისხმობს. ფიქრის სამყაროსაც ისევე სჭირდება მოწესრიგება, კლასიფიცირება, როგორც რეალურს. ადამიანი უნდა გაიწვრთნას იმისთვის, რომ ჯერ იფიქროს, აწონ-დაწონოს და მერე გადადგას ნაბიჯი.

რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორ შეფასებას, რომელმაც უნდა გამოავლინოს სწავლის შედეგი (აქ იგულისხმება თვითშეფასება, სხვათა თუ მასწავლებლის შეფასება). ამიტომაც მოსწავლის შეფასების (განმსაზღვრელისა და განმავითარებლის) მიზნები, პრინციპები და ამოცანები ეყრდნობა იმას, რომ აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან და შესაბამის კონტექსტებში.

შესაძლოა, პედაგოგს ურთულებს ცხოვრებას, მაგრამ მოსწავლეს უადვილებს ის, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვისაც ითვალისწინებს ამ პირობას: „მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის აუცილებელია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ალტერნატიული მიზნების შეტანა, რომლებიც ყოველდღიური სასიცოცხლო ფუნქციური უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს“.

მოსწავლემ მხოლოდ თეორიულად კი არ უნდა იცოდეს რაღაც, არამედ შეეძლოს ამ ცოდნის გამოყენება ყოფის ორივე განზომილებში – სულიერსა და მატერიალურში, რადგან ცხოვრება, რეალობა ორივეს თანაბრად გულისხმობს. ფიქრის სამყაროსაც ისევე სჭირდება მოწესრიგება, კლასიფიცირება, როგორც რეალურს. ადამიანი უნდა გაიწვრთნას იმისთვის, რომ ჯერ იფიქროს, აწონ-დაწონოს და მერე გადადგას ნაბიჯი. მაგალითად, მათემატიკის ცოდნით მოსწავლეს უნდა შეეძლოს კანონზომიერებების შემჩნევა და აღწერა ჩვენს გარემომცველ სამყაროში; ფიზიკის ცოდნა საშუალებას უნდა აძლევდეს, ნივთიერებების ფიზიკური მახასიათებლების ცოდნა დაუკავშიროს სხვადასხვა პროფესიასა თუ საქმიანობის სფეროს; უნდა შეეძლოს დიფუზიის როლის შეფასება ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში; მხოლოდ ის კი არ უნდა იცოდეს, როგორ მიიღება ელექტროენერგია, არამედ ელექტრული დენის მაგნიტური თვისებების თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში რაციონალურად და უსაფრთხოდ გამოყენებასაც უნდა ახერხებდეს. თეორია და პრაქტიკა ისე ბუნებრივად უნდა გადაეწნას ერთმანეთს, როგორც ყოველდღიურ ყოფაშია. მოსწავლემ თავისუფლად უნდა იმსჯელოს იმაზე, რა გამოყენება აქვს სიჩქარის ცნებას ან რა მნიშვნელობა აქვს ატმოსფერული წნევის ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებაში, რა როლს ასრულებენ მცენარეები და ცხოველები ადამიანის ყოფაში, რატომ არის მნიშვნელოვანი ცხოვრების ჯანსაღი წესი, როგორ წარმოიშობა მავნე ნივთიერებებზე (ნიკოტინზე, ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე, აქროლად ტოქსიკურ ნივთიერებებზე) დამოკიდებულება და როგორ უკავშირდება ეს ჯანმრთელობას. ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნამ მოსწავლეს უნდა შეაძლებინოს ნებისმიერ თემაზე საუბარი და წერა, ნაფიქრის სიტყვიერ ქსოვილში გადატანა, ჩამოუყალიბოს მხატვრული ტექსტებისადმი ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულება, გამოუმუშაოს და განუვითაროს ქვეტექსტის (იმპლიციტური ინფორმაციის) წვდომის, მასალის კონტექსტში გააზრებისა და ინტერპრეტაციის, კრიტიკული აზროვნებისა თუ წაკითხულის შეფასების უნარები. მოსწავლემ ისე უნდა დაუკავშიროს წარმოსახვა და რეალობა ერთმანეთს, რომ მხატვრულ ტექსტში გაანალიზებული სიტუაციები დაეხმაროს მატერიალურ ცხოვრებაში მსგავსი პრობლემების გადაწყვეტისას.

საბოლოო ჯამში, სხვადასხვა საგანში მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების გზით ადამიანმა სამყარო უნდა გაიაზროს როგორც ერთი მთლიანი სასიცოცხლო სივრცე თავისი მრავალფეროვნებით. როგორც რუსთაველი ამბობს, „სამყარო გვაქვს უთვალავი ფერითა“. ამ უთვალავ ფერს გაფრთხილება სჭირდება. ასე რომ, ფუნქციური ცოდნა ადამიანს აგრძნობინებს, რომ თვითონაც ერთი „ფერი“ და საერთო უზოგადესი კანონზომიერების ნაწილია, რომ ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია თუ სხვა საგნები ერთ რომელიმე ფერს შეისწავლის, უღრმავდება სამყაროს მოზაიკის ნაწილებს, რომლებსაც დამოუკიდებელი ღირებულებაც აქვს და იმავდროულად ერთიანი სასიცოცხლო სისტემის შეუცვლელ კომპონენტებად გვევლინება. ამგვარი აღქმა კი მოსწავლეს დაიცავს ფიქრისგან, რომელიც რომელიმე საგნის „ზედმეტობისა“ თუ „უსარგებლობის“ განცდისგან იბადება. ფუნქციური ცოდნა მოსწავლეს იმ მომხმარებლური სულისკვეთებისგანაც გაათავისუფლებს, რომელიც ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ დედამიწას, არამედ კოსმოსსაც. ამგვარად, ის არა მხოლოდ ცალკეული საგნის ფუნქციურ ღირებულებას გაიაზრებს, არამედ იმ ურთულეს საკითხსაც ჩაუღრმავდება, რომელსაც საკუთარი, ინდივიდუალური, პიროვნული არსებობის ფუნქციის გარკვევა ჰქვია.

გიტა თვალაბეიშვილი

როგორ შევქმნათ ქცევის წესები პირველკლასელთათვის

> ზოგჯერ ბავშვებზე მეტად მშობლები ღელავენ. ყოველი დღის ბოლოს ბავშვის წასაყვანად მოსულები, მოუთმენლად ელოდებიან, როდის დაასრულებს მასწავლებელი დღის მიმოხილვას, რომ მაშინვე კითხვები მიაგებონ: „რა ქნა დღეს ჩემმა შვილმა? როგორ იქცეოდა? ხომ არ შეგაწუხათ? იაქტიურა? კლასელებთან უთანხმოება ხომ არ მოსვლია?“

ცოტაც და დაიწყება სასწავლო წელი, რომლისთვისაც საგანგებოდ ემზადება მოსწავლე, მშობელი თუ მასწავლებელი. ყველაზე მეტი მღელვარება და ფორიაქი კი ამ პროცესს პირველკლასელებისთვის მოაქვს. სკოლა ხშირად ისეთი არ აღმოჩნდება ხოლმე, როგორადაც წარმოუდგენიათ. მათ ხომ არასდროს უნახავთ, რა ხდება გაკვეთილზე; ვერ აცნობიერებენ, რა ევალებათ, ჯერ კიდევ ვერ ითავისებენ პასუხისმგებლობას. ისინი ვერც კი ხვდებიან, რა რთული იქნება, მთელი 35 წუთი დაუთმონ ისეთ გაკვეთილებს, რომლებიც მათთვის ზოგჯერ არცთუ ისე საინტერესო აღმოჩნდება. ამის გაკეთება კი დღეში 4-5-ჯერ მოუწევთ, რაც უფრო მეტ სირთულეს აჩენს.

ზოგჯერ ბავშვებზე მეტად მშობლები ღელავენ. ყოველი დღის ბოლოს ბავშვის წასაყვანად მოსულები, მოუთმენლად ელოდებიან, როდის დაასრულებს მასწავლებელი დღის მიმოხილვას, რომ მაშინვე კითხვები მიაგებონ: „რა ქნა დღეს ჩემმა შვილმა? როგორ იქცეოდა? ხომ არ შეგაწუხათ? იაქტიურა? კლასელებთან უთანხმოება ხომ არ მოსვლია?“ – და ა.შ.

გამოგიტყდებით, რომ მასწავლებელიც არანაკლებ ღელავს. ვისაც პირველი კლასი ჰყოლია, დამეთანხმება, რომ მიუხედავად გამოცდილებისა, დამრიგებელი ყოველთვის ისე განიცდის ამ დღეს, როგორც სულ პირველად ჩატარებულ გაკვეთილს. რატომ? მიზეზი ბევრია. იმის გაცნობიერება, რომ პატარებს სკოლისა და სწავლისა არაფერი გაეგებათ, ცოტა არ იყოს, გაბნევს, გაშინებს, მაგრამ ერთგვარ აზარტსაც ბადებს. უდიდესი პასუხისმგებლობაა, რომ შენ ხარ ის ერთადერთი, ვინც ამაზე უნდა იზრუნოს. უმნიშვნელოვანესი კი ის არის, რომ პატარებს ეს ყველაფერი იმდენად უმტკივნეულოდ, თამაშ-თამაშითა და პოზიტიური გარემოს შექმნით გადაალახვინო, რომ ვერც კი მიხვდნენ, რა რთულია, ძვირფასი თავისუფალი დრო შენ დაგითმონ, მოგისმინონ, დაისწავლონ, შეასრულონ...

ამ ყველაფრის უკეთ წარმართვისთვის კი მნიშვნელოვანია გარკვეული წესების შემოღება, რომლებიც მოსწავლეებს სახალისოდ უნდა მივაწოდოთ, გავააზრებინოთ, მერე კი მათი დაცვა ჩვევად ვუქციოთ.

საკლასო ოთახში ქცევის წესებს მასწავლებლები სწავლის დაწყების დღეს ვქმნით და ვაღიაროთ, რომ ეს დიდ დახმარებას გვიწევს კლასის მართვისას. მათი შედგენისას რამდენიმე რეკომენდაციასაც ვითვალისწინებთ:

- წესები უნდა მოვარგოთ კლასის საჭიროებებსა და სპეციფიკას;
- უნდა შევქმნათ მოსწავლეების ინიციატივითა და მათი დახმარებით;
- მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-6-ს;
- უნდა იყოს დადებითი შინაარსის მატარებელი, რაც მოსწავლეს დადებითი ქცევისკენ უბიძგებს;
- არ უნდა შეიცავდეს აკრძალვას, უარყოფით ფორმებს და ა.შ.

ეს ყველაფერი გაცილებით მარტივია, როცა მოსწავლემ წერა-კითხვა იცის, პირველკლასელებთან კი საქმე ცოტა უფრო რთულადაა. მათ წარმოდგენა არ აქვთ, რა არის წესები, რისთ-

საკლასო ოთახში ქცევის წესებს მასწავლებლები სწავლის დაწყების დღეს ვქმნით და ვაღიარებთ, რომ ეს დიდ დახმარებას გვიწევს კლასის მართვისას. მათი შედგენისას რამდენიმე რეკომენდაციასაც ვითვალისწინებთ.

ვის არის საჭირო და რა მოჰყვება მათ შეუსრულებლობას. მოსწავლეთა ინიციატივასა და დახმარებაზე კი, რა თქმა უნდა, საუბარიც ზედმეტია. ამიტომ შეგიძლიათ შექმნათ ხატულა, რომელიც გარკვეული შინაარსის მატარებელი იქნება, ამობეჭდოთ და მოსწავლეებთან ერთად განიხილოთ. დაუსვით კითხვები: რა არის გამოსახული ფურცელზე? რაზე გვესაუბრება იგი? დაგვეხმარება თუ არა სწავლაში? – და ა.შ. ეცადეთ, მიიყვანოთ ბავშვები თქვენთვის სასურველ პასუხამდე. ისაუბრეთ ამ წესის გაუთვალისწინებლობის შედეგებზეც.

განხილვის შემდეგ შეგიძლიათ ეს ფურცლები მოსწავლეებს დაურიგოთ და სთხოვოთ, სურვილისამებრ გააფერადონ. უკეთაც დაამახსოვრდებათ (კეთებით სწავლა) და ნატიფი მოტორიკის განვითარებასაც შეუწყობთ ხელს. როცა დაასრულებენ, აუცილებლად გამოაკარით ისე, რომ მათი მხედველობის არეში მოექცეს, რათა ხშირად შეხედონ და შეამჩნიონ. წესის დარღვევის შემთხვევაში შეახსენეთ შეთანხმებაც და ისიც, რომ პატივი სცენ საკუთარ შრომას და დახარჯულ დროს. კვლავ ისაუბრეთ იმაზე, რას გამოიწვევს წესების შეუსრულებლობა (მაგალითად, საგაკვეთილო პროცესის ჩაშლას, ხმაურს, მასწავლებლისა და კლასელებისთვის ხელის შეშლას). ამ ასაკის მოსწავლეებისთვის ამის გამეორება მანამდე მოგვიწევს, სანამ წესის დაცვა ჩვევად არ ექცევათ.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ქცევის რამდენიმე წესს. შეგიძლიათ, საჭიროებისამებრ ამოკრიბოთ, შეცვალოთ და თქვენს ინტერესებს მოარგოთ.

1. მივესალმოთ ერთმანეთს!

2. გაკვეთილზე დავიცვათ სიჩუმე!

3. კარგად მოვუსმინოთ მასწავლებლებს
და მეგობრებს!

4. თუ რამის თქმა გვინდა, ხელი ავიწიოთ!



5. გავუფრთხილდეთ როგორც საკუთარ,
ასევე სხვის ნივთებს!

6. გავუნაწილოთ მეგობარს!

7. მეგობრის დასახმარებლად მუდამ მზად ვიყოთ!

8. ვიზრუნოთ საკლასო ოთახის სისუფთავეზე!

9. უთანხმოება მშვიდად მოვაგვაროთ,
ან დახმარებისთვის მივმართოთ მასწავლებელს!

თამარ გეგეშიძე

როგორ „ვაწერინო“, როცა არ „ეწერინება“

ანუ შემოქმედებითი წერის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

ყველას აინტერესებს, როგორ წერენ მწერლები - მაგიდასთან სხედან, მინდორში წვანან, სარდაფში იმალებიან თუ აივნიდან ქუჩას გაჰყურებენ; წერენ დილით ადრე, როცა ქალაქს ჯერ კიდევ სძინავს, შუადღის ხმაურსა და აურზაურში თუ გვიან ღამით, როცა სიჩუმეს მხოლოდ ძაღლის შორეული ყეფა არღვევს; წერენ მაშინვე, როგორც კი გონებაში აზრი გაუელვებთ, ცოტა ხნის შემდეგ, როცა ეს აზრი მომწიფდება და წინადადებებად იქცევა თუ დიდი ხნის შემდეგ, როცა ის მრავალ აბზაცად გადაიქცევა; წერენ მხოლოდ იმაზე, რაც თავად ნახეს და განიცადეს, იმაზე, რაც არასდროს უნახავთ, მაგრამ განუცდიათ, თუ იმაზე, რისი განცდაც სურთ; წერენ პატარა ბლოკნოტებში, გაყვითლებულ რვეულებში, თაბახის ფურცლებზე თუ „ვორდის“ ფაილებში; წერენ დამშვიდებული გონებით, კონცენტრირებულები და მობილიზებულები, ცხოვრებისგან დაბნეულები და არეულები თუ შეშლილები და უცნაურ ფიქრებს აყოლილები; წერენ იმიტომ, რომ ასე გადაწყვიტეს და უნდა წერონ, იმიტომ, რომ სიტყვები ისედაც არ აძლევენ მოსვენებას თუ უბრალოდ იმიტომ, რომ დასაწერი მართლაც ბევრია.

მაგრამ რა განსხვავებულიც უნდა იყოს მათი წერის მანერა, ერთი რამ საერთო აქვთ – იმპულსი, რომელიც წერის სურვილს აღძრავს და ადამიანის მთელ შემოქმედებით ენერგიას ერთად უყრის თავს. მწერლისთვის ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, დაწყებული სამეცნიერო წიგნში ამოკითხული უცნაური ინფორმაციით, დასრულებული უცნობი ადამიანის ღიმილით. მაგრამ რა შეიძლება იქცეს ამგვარ იმპულსად, ბიძგად სკოლის მოსწავლისთვის? რამ შეიძლება აიძულოს მოზარდი, მოუხმოს შემოქმედებით უნარებს და დაწეროს თუნდაც პატარა ტექსტი ისე, რომ: ა) იყოს გულწრფელი, ბ) იყოს ინდივიდუალური, გ) არ მოერიდოს საკუთარი აზრის გამოთქმას, დ) შეაფასოს მოვლენები და ადამიანები, ე) დაინახოს და აღმოაჩინოს დეტალები, ვ) დროებით დაივიწყოს, რომ ტექსტს მასწავლებლისთვის წერს?

როცა ამ პრობლემის წინაშე დავდექი, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებს შევთავაზე, დაფაზე ერთად დაგვეწერა პატარა, რამდენიმეწინადადებიანი ტექსტი, მაგალითად, აღგვეწერა ჩვენი დილა. ტექსტი დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

„დილით ძალიან ადრე ავდექი, სწრაფად ჩავიცვი და ვისაუზმე. რვეულები მოვძებნე, ჩანთაში ჩავაწყვე, ოჯახის წევრებს დავემშვიდობე და მაშინვე წამოვედი, რადგან სკოლამდე მოსასვლელად ბევრი დრო მჭირდება, მე კი სულ ვაგვიანებ. ვჩქარობდი, ამიტომ ჩემს უმცროს ძმას ვერ დაველოდე“.

მერე კი ტექსტის გასამდიდრებლად მათ რამდენიმესაფეხურიანი სქემა შევთავაზე:

> შემოქმედებითი ტიპის გაკვეთილებსა და დავალებებს არ აქვს მუდმივი სახე. ისინი იშვიათი და მოულოდნელია, მაგრამ ყოველთვის შთამბეჭდავი და დაუვიწყარი, რადგან რაც ასეთ დროს იწერება, არსად იკარგება, ერთიორად ზრდის მოსწავლის თავდაჯერებას და მას საკუთარ განსაკუთრებულობაში არწმუნებს.

ა) დაამატე ტექსტს აღწერები (შესაძლოა, მოსწავლემ აღწეროს, როგორია დილა, აღწეროს ოთახი, რომელიმე ნივთი, ფანჯრიდან დანახული პეიზაჟი).

ბ) გამოკვეთე პერსონაჟები (სასურველია, მოსწავლემ გაგვაცნოს ოჯახის რომელიმე წევრი, აღწეროს მისი გარეგნობა, გადმოსცეს მისი ნათქვამი).

გ) დაამატე ემოციები და გრძნობები (შესაძლოა, მოსწავლემ აღწეროს ემოცია, რომელიც ეუფლება, როცა დილით მაღვიძარა აღვიძებს, ან როდესაც ფანჯრიდან პეიზაჟს ხედავს. ტექსტი უფრო ცოცხალი და ინდივიდუალური გახდება, თუკი გვეცოდინება, რას გრძნობს ავტორი, როცა რაღაცას აღწერს).

დ) ყურადღება გაამახვილე დეტალებზე (მოსწავლეებს ავუხსენი, რომ ნებისმიერი ნივთი, მოვლენა ან ადამიანი შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი, თუ ყურადღებას მივაქცევთ დეტალებს, მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ რვეულს, რომლებიც პერსონაჟმა ჩანთაში ჩადო, ყდა მოხეული აქვს, რის გამოც გამუდმებით იღებს შენიშვნას, ხოლო ძმა, რომელსაც ვერ დაელოდა, ალბათ, განაწყენდება და საღამოს არც კი დაელაპარაკება).

ე) შეეცადე, დაასრულო ამბავი, რომლის მოყოლასაც იწყებ, შექმნა ისტორია (მოსწავლე შეეცდება, გააგრძელოს დაწყებული ამბავი; შესაძლოა დაწეროს, როგორ დასრულდა ერთი კონკრეტული დღე).

შემოქმედებითი სამუშაოს შესრულებამდე გავაფრთხილე მოსწავლეები, რომ კარგი იქნებოდა, ეწერათ მხოლოდ იმ თემებსა და ამბებზე, რომლებიც კარგად იცოდნენ, აღეწერათ განცდები, რომლებიც თავად განეცადათ და ადამიანები, რომლებსაც იცნობდნენ (ამ ეტაპზე ძალიან რთულია გამოგონილი სამყაროსა და გამოგონილი ადამიანების შესახებ წერა).

აქვე დამეხმარა დაფაზე ჩამოწერილი კითხვები:

- მე, ამ კონკრეტულ ადამიანს, რა მაინტერესებს და რა მაღელვებს?
- არის ჩემს ცხოვრებაში ისეთი რამ, რის შესახებაც სხვას სიამოვნებით მოვუყვებოდი?
- არიან ჩემს ცხოვრებაში ადამიანები, რომლებსაც სხვებს გავაცნობდი? როგორ აღვწერდი მათ?
- რა გადამხდენია თავს ყველაზე საინტერესო?

- რით ვარ მე საინტერესო?
- მე რომ მწერალი ვყოფილიყავი, როგორ აღვწერდი საკუთარ თავს?

გაკვეთილზე ამ თითქოსდა ეგზისტენციალური კითხვების განხილვა და სავარაუდო პასუხების მოსმენა დაეხმარება მოსწავლეს, საკუთარ თავს უცხო თვალით შეხედოს და დაინახოს ის როგორც შესაძლო პერსონაჟი, რომელსაც უამრავი რამ აქვს სათქმელი. შედეგად შეიძლება მივიღოთ:

ა) ტექსტი, რომელშიც გულწრფელადაა მოყოლილი ისტორია, არის ფაქტებიც და აღწერებიც.

ბ) ფაქტებსა და აღწერებთან ერთად ტექსტში ყურადღება გამახვილებულია დეტალებზე, კონკრეტულ ადამიანებზე.

გ) ტექსტში იგრძნობა ინდივიდუალიზმი, რადგან მოსწავლემ შეძლო, გაემიჯნა საკუთარი პერსონა მთხრობელისაგან, თავისუფლად გამოთქვა აზრი, ისიამოვნა წერის პროცესითაც.

ცხადია, ამ ტიპის გაკვეთილებსა და დავალებებს არ აქვს მუდმივი სახე. ისინი იშვიათი და მოულოდნელია, მაგრამ ყოველთვის შთამბეჭდავი და დაუვიწყარი, რადგან რაც ასეთ დროს იწერება, არსად იკარგება, ერთიორად ზრდის მოსწავლის თავდაჯერებას და მას საკუთარ განსაკუთრებულობაში არწმუნებს.

გაკვეთილზე ამ თითქოსდა ეგზისტენციალური კითხვების განხილვა და სავარაუდო პასუხების მოსმენა დაეხმარება მოსწავლეს, საკუთარ თავს უცხო თვალით შეხედოს და დაინახოს ის როგორც შესაძლო პერსონაჟი, რომელსაც უამრავი რამ აქვს სათქმელი.

მანანა სეხნიაშვილი

როგორ ყალიბდება კრიტიკის კულტურა

> მრავალი პედაგოგი სულ უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებინებს მოსწავლეებს ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებაზე. პირველ რიგში, უნდა ვასწავლოთ მათ, როგორ გააკეთონ ეს. არსებობს უამრავი მეთოდი, მაგრამ ძირითადი პრინციპები საერთოა.

გვიყვარს წარსულის გახსენება. განსაკუთრებით – ლაღი ბავშვობის, ანცობისა და აღმაფრენის წლების. ვიხსენებთ თავგადასავლებს: როგორ დავიგვიანეთ გაკვეთილზე, როგორ გავაბრაზეთ გეოგრაფიისა თუ ფიზიკის მასწავლებელი, როგორ გადავიწერეთ მათემატიკა და მასწავლებელმა ვერ შეამჩნია. ჩემს სამეგობროს გეოგრაფიის მასწავლებლის სიმკაცრით გამოწვეული კურიოზები აქვს გასახსენებელი. ერთმანეთის ამბებს დღესაც სიცილით ვიხსენებთ და ბევრს ვხუმრობთ. ზოგი ისეთია, მთელი ცხოვრება რომ არ დაგავიწყდება, ზოგსაც ჩვენ ვამატებთ. აბა, როგორ არ გავიხსენოთ გეოგრაფიის ჯოხის ამბავი, რომელიც ჩემს მეგობარს, შიშისგან დაზაფრულს, გაკვეთილის თხრობის დროს ხელში ჩაატყდა? ჰყვებოდა და თან გულმოდგინედ ცდილობდა „შეწებებას“. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გავისუსეთ! თან ვგულშემატკივრობთ, თან რისხვის მოლოდინში ვართ.

– დაჯექი, დაჯექი, – მშვიდად და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა მასწავლებელმა.

მაშინ გადავრჩით... მაგრამ მე დღემდე არ ვხმარობ ჯოხს გაკვეთილზე. საერთოდაც არ მაქვს. არადა, მოგეხსენებათ, რუკაზე ხელით ჩვენება მიღებული არ არის, ამიტომ ხან გრძელი ფანქრით ვაჩვენებ, ხან – ლაზერით. ჩემმა მოსწავლეებმა იციან და გაგებით ეკიდებიან ამ ამბავს. ვხუმრობ ხოლმე: ჯოხი იმიტომ არ მაქვს, რომ შეიძლება, სხვა მიზნით გამოვიყენო-მეთქი.

მიუხედავად სიმკაცრისა, ჩვენს მასწავლებელს არასოდეს უყვირია, ყოველთვის ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ სკოლის დერეფანში მისი გამოჩენა გვზაფრავდა. ჩემი სკოლელები დამეთანხმებიან, რომ ყველას თუ არა, ბევრს ძალიან გვიყვარდა და პატივს ვცემდით. გეოგრაფიის მიმართ ჩემი ინტერესიც მისი დამსახურებაა.

რატომ გავიხსენე ახლა ჩემი სკოლის ამბები? მოგონებებში არსად ჩანს სწავლის პროცესი. ვიხსენებთ „კარგ“ მასწავლებლებს, რომლებიც რაღაც კრიტერიუმებით გამოირჩეოდნენ და ჩვენც განსაკუთრებულად გვიყვარდა, მაგრამ თავად სწავლის პროცესს – იშვიათად. გასახსენებელიც არაფერია...

- რომელი პირველი ნამუშევრით ვამაყობდით?
- როდის დავწერეთ?
- ვისთვის დავწერეთ?
- რა გავლენა მოახდინა ჩვენზე?

ვფიქრობ, ეს არსებითი კითხვებია, რომლებზეც უნდა ვიფიქროთ როგორც მასწავლებლებმა. თუ არ გავიხსენეთ ჩვენი მოწაფეობის წლები, ჩვენი ემოციები, სწავლისადმი ჩვენი დამოკიდებულება, მოსწავლეების ემოციურ მდგომარეობას როგორ გავიგებთ?! თუ არ გავიხსენეთ ჩვენი ბავშვობის „შიშები“, როგორ შევამჩნევთ

> რა არის ის, რაც „კრიტიკას“ განსხვავებულს ხდის? რონ ბერგერი აღწერს პროცესს და ადგენს ეფექტური კრიტიკული წესების ფორმირების სტრუქტურას. ის მიზნად ისახავს, მოსწავლეებს შეაფასებინოს საკუთარი შრომა, რათა მათ შექმნან სრულყოფილი ნაშრომი: „თუ ის იდეალური (სრულყოფილი) არ არის, ესე იგი, არ დასრულებულა“.

პატარა გოგო-ბიჭების თვალებში ჩასახლებულ შიშს, რომელიც შემდეგ შეიძლება აგრესიაში ან დეპრესიაში გადაიზარდოს?!

გავიხსენოთ, როგორები ვიყავით მოწაფეობისას. ოდესმე მოგიყოლიათ ეს მოსწავლეებისთვის? უნდა მოვუყვეთ. ეს მათ დაეხმარება, გააცნობიერონ ჩვენი სწავლების სტილი და ის, რომ ოდესღაც ჩვენც ვიყავით მოსწავლეები და იგივე პრობლემები გვქონდა, რაც მათ. რაც მთავარია, ჩვენ არ დაგვისრულებია სწავლა. ეს ყველაფერი უდავოდ დაგვეხმარება სწავლების ახალი გზების ძიებაში. ჩემებმა იციან, რომ რუკას ისე ვხედავ, როგორც ეკრანზე. იცით და იმიტომო, – მიმტკიცებენ. ამაზე ვეკამათები და ვუხსნი, რომ ადამიანებს სწავლის განსხვავებული სტილი აქვთ.

მოსწავლეთა წინსვლას ყველა უჭერს მხარს. როგორ გავააქტიუროთ ეს წინსვლა? როგორ დავეხმაროთ მათ, უფრო ჭკვიანები გახდნენ? როგორ გადავიტანოთ სწავლებისა და სწავლის ფოკუსი რაოდენობრივიდან ხარისხობრივზე?

სწავლის პროცესი მოსწავლეებს ემოციების გამოხატვის მოთხოვნილებას უჩენს.

ძალიან მომეწონა რონ ბერგერის სიტყვები, რომელიც ჩვენს სტრეოტიპულ აზროვნებას („ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი“) ამსხვრევს: „ნიჭიერი არ არის ის, ვინც ხარ; ეს არის ის, ვინც გახდები“.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ამ პროცესში? რამდენად ვქმნით გარემოს, სადაც ისინი უფრო ადვილად გაიაზრებენ, რა იციან და რა უჭირთ? ვიყენებთ გაკვეთილის დროს, რომ უკუკავშირი განვიხილოთ?

კიდევ ერთხელ უნდა შევხედოთ ჩვენს დაგეგმილ გაკვეთილებს და შევცვალოთ სასწავლო კულტურა საკლასო ოთახებში.

როგორ მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, სწორად გამოიყენონ უკუკავშირი? მათ უნდა ჰქონდეთ დრო იმისთვის, რომ კომენტარი გააკეთონ მასწავლებლისა თუ თანატოლებისგან მიღებულ უკუკავშირზე. ჩვენ კი მუდმივად რაღაც გვაქვს მოსასწრები, ვჩქარობთ, ვჩქარობთ... გოგიტა მახსენდება ხოლმე, ფილმ „საბუდარელი ჭაბუკის“ პერსონაჟი, სიჩქარის გამო, ქების ნაცვლად, საყვედური რომ მიიღო.

ერთ იდეას ინტერნეტში გადავაწყდი და მომეწონა. ეს არის მეთოდი, სახელად „კრიტიკა“, რომელიც ძალიან ჰგავს თანატოლების ტრადიციულ შეფასებას ან თვითშეფასებას. ეს უკუკავშირის პროცესია, თუმცა უფრო სპეციფიკური და დახვეწილი, რომელიც კონკრეტულ მახასიათებლებსა თუ ელემენტებს ეყრდნობა. ყველა კომენტარი შექმნილია იმისთვის, რომ მოსწავლემ/მწერალმა/ავტორმა/მხატვარმა ზუსტად იცოდეს, რა ელემენტებზე უნდა მოახდინოს ფოკუსირება. გამოხმაურება ემსგავსება ინსტრუქციების სერიას, ეს ყველაფერი კი მიზნად ისახავს სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებას. ამიტომ „კრიტიკა“ განსხვავებულად მოქმედებს.

რატომ მომეწონა „კრიტიკის“ იდეა? სხვადასხვა კვლევის თანახმად, მოსაზრებებზე, ბლოგპოსტებზე, Twitter-ზე, სოციალურ ქსელში დისკუსიებზე და ა.შ. გამოხმაურებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ხარისხიანი წერილობითი/ვერბალური გამოხმაურება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ქულებისა და დონეების მინიჭება. ეფექტური უკუკავშირი, რომელიც ხაზს უსვამს იმას, რა კუთხით არის ნაშრომი წარმატებული (რა არის გამორჩეული) და რას სჭირდება გამოსწორება (ნაშრომის სრულყოფისთვის), სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

„კრიტიკა“ სცდება საგაკვეთილო აქტივობას და მარტივი სქემებით კლასის კულტურის ჩამოყალიბებას განაპირობებს. სასურველია სპეციალური გაკვეთილის ჩატარება, სადაც მხოლოდ კრიტერიუმებს შეიმუშავებთ. თუმცა ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მასწავლებლის უკუკავშირს შედეგი არ მოჰყოლია. ისეთი მოსწავლეებიც არსებობენ, რომლებიც ჯერ კიდევ ტექსტის დაზეპირებასა და ქულებზე არიან ორიენტირებულნი.

მრავალი პედაგოგი სულ უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებინებს მოსწავლეებს ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებაზე. პირველ რიგში, უნდა ვასწავლოთ მათ, როგორ გააკეთონ ეს. არსებობს უამრავი მეთოდი, მაგრამ ძირითადი პრინციპები საერთოა.

რა არის ის, რაც „კრიტიკას“ განსხვავებულს ხდის? რონ ბერგერი აღწერს პროცესს და ადგენს ეფექტური კრიტიკული წესების ფორმირების სტრუქტურას. ის მიზნად ისახავს,

მოსწავლეებს შეაფასებინოს საკუთარი შრომა, რათა მათ შექმნან სრულყოფილი ნაშრომი: „თუ ის იდეალური (სრულყოფილი) არ არის, ესე იგი, არ დასრულებულა“.

სანამ კრიტიკის პროცესს დავიწყებთ, მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ რამდენიმე რამ:

1. **მაგალითები** – აიღეთ სამაგალითო ნაშრომი, გააკრიტიკეთ ის კლასთან ერთად. დაადგინეთ, რა აქცევს ამ ნაშრომს მაღალ სტანდარტად, გამოიყენეთ საკვანძო ტერმინები, ჩამოაყალიბეთ ამ ნაშრომის წარმატების კრიტერიუმები, რომლებსაც მოსწავლეები შემდგომ გამოიყენებენ.

2. **მონახაზები (DRAFTS)** – მიეცით მოსწავლეებს სამუშაო, რომ „მონახაზები“ შექმნან. ეს მათ აზროვნებაში დაეხმარება. მათ ეცოდინებათ, რომ სამუშაო დასრულების შემდეგ კრიტიკულად შეფასდება და მოხდება მისი რედაქტირება. ეს „მონახაზებია“ – დაუსრულებელი სამუშაო, და ყოველთვის შესაძლებელია მისი გაუმჯობესება, სანამ არ მიიღებენ სრულყოფილ პროდუქტს.

შემდეგ:

1. **მიეცით კრიტიკის დრო.** კრიტიკის წესების შემუშავებისთვის, ჩვეულებრივ, მთელი გაკვეთილი უნდა გამოიყოს. საჭიროა პროცესის მოდელირება, დეტალური ანალიზი, უკუკავშირი და შესაბამისად მოქმედება. ნუ იჩქარებთ! რაც შეეხება დროის ლიმიტს: ჩვეულებრივ, სამუშაოს გადახედვის დრო ფაქტობრივად არ რჩება. რეალურად კრიტიკა აუმჯობესებს შრომის ხარისხს და ხელს უწყობს შინაარსის გაგებას/გააზრებას, თუ მოსწავლეებს ამაზე ფოკუსირებას სთხოვთ. შეცდომების აქტიურად მოძიების გზით იხვეწება მათი მუშაობის კულტურა. ამიტომ კიდევ ერთხელ გამოყავით დრო! ეს ნამდვილად წაადგება პროცესს.

2. **დაამკვიდრეთ წესები.** ბერგერი კრიტიკისთვის სამ მარტივ წესს იყენებს, რომლებიც უკუკავშირის ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს:

   - **იყავით კეთილი.** ყველა კომენტარი უნდა მიემართებოდეს სამუშაოს. არავითარი სარკაზმი და არავითარი დამცირება! კომენტარები შეიძლება იყოს რთული, მაგრამ მოსწავლემ უნდა იგრძნოს,

რომ უკუკავშირი სამუშაოზეა ორიენტირებული, უნდა გაუხარდეს მისი მიღება.

- **გამოთქვით აზრი მკაფიოდ.** გამართეთ დახვეწილი და ნათელი დიალოგი, დეტალური პოზიტიური განმარტებითა და გაუმჯობესებისთვის საჭირო ნაბიჯების აღწერით. კომენტარებში მოცემული უნდა იყოს ინსტრუქციები, რომლებსაც მოსწავლე უბრალოდ აიღებს და გამოიყენებს.
- **მიეცით სასარგებლო რჩევები.** თუ ნამუშევრის ავტორი თქვენს კომენტარს ვერ გამოიყენებს, მისი გაცემისგან თავი შეიკავეთ. უკუკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს სამუშაოს წინსვლას/გაუმჯობესებას.

3. **მოახდინეთ პროცესის მოდელირება.** მაგალითის გამოყენებით მოსწავლეებთან ერთად შეაფასეთ კრიტიკის პროცესი. აჩვენეთ, როგორ უნდა განიხილოთ სამუშაო კრიტიკულად. ამ დროს მასწავლებელს, ჩვეულებრივ, „სიღრმისეული კრიტიკა“ მოეთხოვება. გაუზიარეთ მოსწავლეებს ტერმინები, რომლებსაც იყენებთ. განიხილეთ წარმატების კრიტერიუმები იმ დროიდან, როდესაც პირველად დაიწყეთ სამუშაო. აჩვენეთ, როგორ ამახვილებთ ყურადღებას მნიშვნელოვან დეტალებზე; როგორია კარგი გამოხმაურება და დაინახავთ, შეგიძლიათ თუ არა, უფრო მეტად დახვეწოთ კომენტარი.

4. **მონიშნეთ აკრძალული სიტყვები.** ხელი შეუწყვეთ იმ სპეციფიკური ტერმინოლოგიის ათვისებას, რომელიც თავდაპირველი მაგალითის განხილვისას გამოიყენეთ. წაახალისეთ ამ სიტყვების გამოყენება და მოახდინეთ წარმატების კრიტერიუმების პოპულარიზაცია. ეცადეთ, განავითაროთ მოსწავლეების ლექსიკა და გაუმჯობესოთ მათი კონკრეტული და სასარგებლო მოსაზრებები. წაახალისეთ ნებისმიერი თემის სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენება. შექმენით აკრძალული სიტყვების სია: „ეს კარგია“ და „მომწონს“ – არ არის სპეციფიკური და ნამდვილად არ გამოდგება.

5. **მიეცით მოსწავლეებს კრიტიკის საშუალება.** გამოიყენეთ ის, რისი მოდელირებაც ახლახან მოახდინეთ. საშუალება მიეცით მოსწავლეებს, შეაფასონ ერთმანეთი. გამოიყენეთ წარმატების კრიტერიუმები იმ სტრუქტურის შესაქმნელად, რომელზეც მოსწავლეები ფოკუსირებას მოახდენენ.

თავდაპირველად ყურადღება გაამახვილეთ ერთ ელემენტზე. ეს შეიძლება გულისხმობდეს მოსწავლეების მიერ საკუთარი კომენტარების შეფასებას და კიპლინგის კითხვებზე პასუხების აღმოჩენას (ვინ,

სად, რა, როდის, როგორ, რატომ?). თქვენ უბრალოდ შეგიძლიათ სთხოვოთ მათ, შეაფასონ მართლწერა, პუნქტუაცია და გრამატიკა. მთავარია, კრიტიკულად მოყვანილი ელემენტები ნათელი გახადოთ. სთხოვეთ მოსწავლეებს დამატებითი კრიტიკაც.

კრიტიკის სესიებმა შეساძლოა ორგვარი ფორმა მიიღოს:

- **სიღრმისეული ოფიციალური კრიტიკა** – ეს ჰგავს იმ პროცესს, რომლის მოდელირებაც მოახდინეთ. მოსწავლეები ერთმანეთის მუშაობას აკვირდებიან. ისინი ასახელებენ კარგ მონაკვეთს, რომელიც აკმაყოფილებს წარმატების კრიტერიუმებს და ირჩევენ სპეციფიკურ მონაკვეთებს, რომლებიც გაუმჯობესებას მოითხოვს.
- **კრიტიკის გალერეა** – ამ ნაწილში ნაჩვენებია ნამუშევრები გალერეის სტილში (კედელზე, მაგიდებზე, საპრეზენტაციო დაფებზე). სთხოვეთ მოსწავლეებს, დაათვალიერონ ერთი ან ორი ნაშრომი, ყურადღება გაამახვილონ ერთ კონკრეტულ ელემენტზე. მოსწავლეები წერენ გამოხმაურებას გამოქვეყნებულ ჩანაწერზე და განათავსებენ სამუშაოს ქვემოთ. სთხოვეთ, განიხილონ თავიანთი კომენტარები. გაიმეორეთ პროცესი სხვა სამუშაოსთან მიმართებით, იმავე ან განსხვავებული ფოკუსით.

6. **კრიტიკოსთა კრიტიკა.** კრიტიკის პირველ დღეებში განსაკუთრებით მოსთხოვეთ მოსწავლეებს, გადახედონ მათთვის განკუთვნილ კომენტარებს. საკმარისად დახვეწილია? რამდენად სპეციფიკურია? ხვდებიან თუ არა, როგორ შეიძლება ნაშრომის გაუმჯობესება? თუ რამე გაურკვეველია, მოიფიქრეთ, როგორ განავითაროთ. განიხილეთ კარგი და ცუდი კრიტიკული კომენტარების მაგალითები კლასთან ერთად. ეს თანატოლების შეფასებას გააუმჯობესებს.

7. **რედაქტირება.** ეს მნიშვნელოვანი ელემენტია! ამ საქმიანობას საკმარისი დრო დაუთმეთ. მოსწავლეებმა თავიანთი ნამუშევრების რედაქტირება უნდა დაიწყონ. მათ სჭირდებათ ხელმძღვანელობა, მხარდაჭერა; უნდა დაუსვან შეკითხვები მათ, ვინც უკუკავშირი მისცა. მასწავლებელი ყურადღებით აკვირდება ყველაფერს... ნუ გამოიყენებთ ამას საშინაო დავალებად – რედაქტირება კლასში უნდა მოხდეს. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ საჭიროა სამუშაოს ხელახლა შესრულება მის დასახვეწად. სამწუხაროდ, ზოგი მოსწავლე ვერ ხედავს რედაქტირების მნიშვნელობას. სთხოვეთ მათ, შეინახონ მონახაზების ყველა ასლი, რომლებშიც მათ მიერ რედაქტირებულ და გაუმჯობესებულ ადგილებზე მიუთითებენ.

8. **კულტურა.** ამას დრო სჭირდება, მაგრამ მოსწავლეებთან ერთად კულტურის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გვჭირდება, მოსწავლეებმა დააფასონ უკუკავშირი. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ ცოდნის გაღრმავებაში. ვთხოვოთ, აქტიურად წაიკითხონ კომენტარები და დაადგინონ, რა არის გაუმჯობესებული. ჩვენ გვჭირდება, დაინახონ, როგორ ამსუბუქებს სამუშაოს კარგი უკუკავშირი. ეს დროს წაიღებს, იქნებიან არამოტივირებული მოსწავლეებიც, თუმცა კარგი ნამუშევრების შექმნა და ცოდნის გამდიდრება მნიშვნელოვანია და სწორედ სტრუქტურირებული უკუკავშირი განაპირობებს იმას, რომ არ არის აუცილებელი ქულებით შეფასება. თუ ამას რეგულარულად გამოიყენებთ პრაქტიკაში, თქვენი კლასის უკუკავშირის ხარისხი გაიზრდება.

კრიტიკის კულტურის განვითარება მოსწავლეებს არა მარტო სწავლის სწავლაში დაეხმარება, არამედ კომუნიკაციის უნარებსაც განუვითარებს. ისინი შეეჩვევიან ერთმანეთის საქმიანობის გაკრიტიკებას, რეკომენდაციებისა და კეთილი რჩევების მიცემას და არა პერსონალურ კრიტიკას. მე პირადად ხშირად ვახსენებ ბავშვებს, რომ ყველა ადამიანი კარგია, უბრალოდ ზოგჯერ არასწორად იქცევიან. ჩვენთვის მიუღებელი უნდა იყოს საქციელი და არა ადამიანი. სიზარმაცე ქცევაა და არა პიროვნული თვისება.

ნიჭიერიც ის არის, ვინც შენ უნდა გახდე მომავალში.

გამოყენებული ინტერნეტგვერდები:

http://reflectionsofmyteaching.blogspot.com/search/label/Critique; https://rug62.edublogs.org/.

ნათია უჩავა

როგორ იყენებენ მოსწავლეები ცოდნას

როგორ იყენებენ მოსწავლეები ცოდნას, რომელსაც გაკვეთილებზე ვაწვდით? ახერხებენ კი პრაქტიკაში მის გამოყენებას? საკმარისია თუ არა მიწოდებული მასალა ამისთვის? – ეს იმ კითხვების მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს.

ერთ ძალიან ჩვეულებრივ გაკვეთილზეც კი შეგვიძლია მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, მიღებული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენონ. არ აქვს მნიშვნელობა, მათემატიკის გაკვეთილი იქნება ეს, ბუნებისა თუ ქართულის. სულ მცირე ცოდნაც კი აგურია, რომლის სხვა აგურებზე მოთავსებითაც საბოლოოდ ცოდნის დიდი სასახლე შენდება. საბოლოო შედეგის ხილვა კი სასიამოვნო შეგრძნებას ბადებს.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ თემებს შესაფერისი დავალებები მოჰყვება. შენზეა დამოკიდებული, როგორ განავითარებ და გაამრავალფეროვნებ მათ. ქართულის ერთ-ერთი თემა „ჩურჩხელების მომზადება“ იყო, რომელსაც რეცეპტიც მოჰყვებოდა. რა შეიძლებოდა გამეკეთებინა ისეთი, რომ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებას გავცდენოდი და მოსწავლეებისთვის ისეთი გაკვეთილი შემეთავაზებინა, რომელიც ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმს – ცოდნის ტრანსფერს დააკმაყოფილებდა?

შემოგთავაზებთ აქტივობებსა და მეთოდებს, რომელთა გამოყენებითაც ჩემს სადამრიგებლო კლასში მოსწავლეებს მივეცი საშუალება, გაკვეთილზე მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოეყენებინათ.

შეგვიძლია, მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და მიზანი ორგვარად შევთავაზოთ: პირველი – ჩვენ წავუკითხოთ ფლიფჩარტზე ჩამოწერილი სახით, მეორე – თავად მივიყვანოთ ლოგიკურ დასკვნამდე იმის თაობაზე, რა შეიძლება იყოს გაკვეთილის თემა.

ვინაიდან გაკვეთილი ჩურჩხელას ეხებოდა, **იდუმალი ყუთის** მეთოდი გამოვიყენე. ამ მეთოდის გამოყენების მიზანი იყო:

- მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდა;
- აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- დეტალებზე ორიენტირებულობა.

ლამაზად გაფორმებულ ყუთში ჩურჩხელა ჩავდე. ერთ მოსწავლეს ვთხოვე, კლასისთვის სამი წინადადებით აღეწერა ყუთში მოთავსებული საგანი, დანარჩენებს კი ვთხოვე, ევარაუდათ, რა შეიძლება ყოფილიყო ეს. ამ აქტივობამ ისინი გაახალისა და ინტერესიც გაუღვივა. ასე მივედით დასკვნამდე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო გაკვეთილის თემა.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებისთვის ცნობილი გახდა გაკვეთილის თემა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები, მათ სახელმძღვანელოში მოცე-



შეგვიძლია, მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და მიზანი ორგვარად შევთავაზოთ: პირველი – ჩვენ წავუკითხოთ ფლიფჩარტზე ჩამოწერილი სახით, მეორე – თავად მივიყვანოთ ლოგიკურ დასკვნამდე იმის თაობაზე, რა შეიძლება იყოს გაკვეთილის თემა.

მული ტექსტი წავუკითხე, ხოლო რეცეპტი, რომელიც ტექსტს თან ახლდა, წინასწარ დამზადებული ფერადი ფორმატის სახით გამოვუკარი დაფაზე. ვიცით, რომ დაწყებით კლასებში დიდი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოებას. რეცეპტის ამ სახით წარდგენის მიზანი იყო, ბავშვებს ვიზუალურად უკეთ აღექვათ ის. ვინაიდან ტექსტში ყურადღება მომზადებაზე მახვილდებოდა და ჩურჩხელაზე ინფორმაცია მხოლოდ ინგრედიენტებით შემოიფარგლებოდა, გაკვეთილის გამრავალფეროვნების მიზნით მოსწავლეებს მოვუმზადე ვიდეო:

https://youtu.be/lHbZVqpjiyo

ვიდეოში საუბარია დასავლურ და აღმოსავლურ ჩურჩხელაზე, მათ მსგავსება-განსხვავებასა და მომზადებაზე. ვეცადე, მოსწავლეებისთვის მინილექციის სახით მიმეწოდებინა ის ინფორმაცია, რაც წიგნში არ იყო მოცემული. ვესაუბრე ჩურჩხელის ისტორიაზე, მრავალფეროვნებაზე, ვაჩვენე წინასწარ მომზადებული ხარიხაც, რომელზეც სხვადასხვა სახეობისა და ფერის ჩურჩხელები ეკიდა. ამან მოსწავლეების დიდი ინტერესი გამოიწვია.

გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას ხშირად ფრონტალური კითხვების დასმით ვამტკიცებთ, თუმცა შეგვიძლია, კითხვა-პასუხის რეჟიმი სახალისო, ფერად წუთებად გადავაქციოთ. ამისთვის ხშირად ვიყენებ **ქაღალდის ბურთის** მეთოდს. მომცრო ბურთს გარშემო ვაკრავ ფერად ფურცლებზე დაწერილ კითხვებს. მოსწავლემ, რომელსაც ბურთს გადავუგდებ, უნდა მოხსნას ერთი ფურცელი, წაიკითხოს კითხვა, მიპასუხოს და ბურთი უკან დამიბრუნოს. ასე გრძელდება, სანამ ბურთზე შემოკრული კითხვები არ ამოიწურება.

მიღებული ცოდნის განმტკიცების შემდეგ მოსწავლეებს შევთავაზე ჯგუფური მუშაობა, რომელიც ძალიან მოსწონთ. დავალების მიცემის დროს, ცოტა არ იყოს, ვღელავდი, რადგან ცოდნა პრაქტიკაში უნდა გამოეყენებინათ. მათი ნამუშევრები ჩემთვის პასუხი იქნებოდა იმაზე, შევძელი თუ არა ახალი მასალის ისე მიწოდება, რომ მისი პრაქტიკაში გამოყენება შესძლებოდათ.

კლასი ოთხ ჯგუფად დავყავი და ასეთი დავალება მივეცი: ორ ჯგუფს ჯანჯუხის რეცეპტი უნდა შეედგინა, დანარჩენებს - ჩურჩხელისა, მერე კი ამ რეცეპტების მიხედვით ტკბილეული „მოემზადებინათ“: დაეხატათ, გამოეძერწათ, ბისერით აეწყოთ (რომელიც ასევე მოვუტანე) და ა.შ. ჩემთვის მთავარი იყო, ნამუშევრები შეექმნათ თავიანთი ფანტაზიით და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით.

ნამუშევრების წარდგენისას ჯგუფებმა ჯერ რეცეპტები წაიკითხეს, მერე კი მომზადებული „ჩურჩხელა“ გვაჩვენეს. ნამუშევრები ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. წარდგენის ნაწილმა გაკვეთილის დასაწყისში გაჩენილი მოლოდინი გაამართლა, მოსწავლეებმა ნამდვილად მოახერხეს მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, რამაც ძალიან გამახარა.

თამთა კობახიძე

თვითშეფასება, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

თვითშეფასების შესახებ განმარტებები რომ შევაჯამოთ, აღმოვაჩენთ, რომ იგი სკოლაში მიმდინარე აქტივობების მუდმივი კვლევაა, რომლის საბოლოო მიზანს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება წარმოადგენს. პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასში ჩართული პირების პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

განათლების ხარისხისა და კარგი სკოლის ერთ-ერთ მთავარ ბაზისს საერთო წარმოდგენები ქმნის. ჩართული მხარეების შეთანხება იმაზე, თუ რა არის „კარგი სკოლა“ და რას ვგულისხმობთ „განათლების ხარისხში“ სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა შედეგების ამაღლებისათვის უმნიშვნელოვანესია. ამ ცნებების განსაზღვრის შემდეგ შეგვიძლია გადავდგათ მიზანმიმართული ნაბიჯები დასახული მიზნების მისაღწევად.

ხარისხის ამაღლებამდე და/ან მის გაუმჯობესებამდე გასავლელი გზა გრძელი და რთულია. პროცესის დაწყება აუცილებლად გულისხმობს სკოლის, როგორც ორგანიზაციის თვითშეფასებას. იმისათვის, რომ ვიცოდეთ, როგორ მივაღწიოთ დასახულ მიზანს, აუცილებელია განვსაზღვროთ საბაზისო მდგომარეობა. სწორედ აქ შემოდის თვითშეფასების პროცესი, რომელის გაგებაც იმდენად მრავალგვარია, როგორც ცნება „კარგი სკოლის“. თვითშეფასება, ხშირ შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმს წარმოადგენს, თუმცა სხვადასხვა ქვეყნების სკოლებში ამ საკითხისადმი მიდგომებიც სხვადასხვაგვარია.

თვითშეფასების შესახებ განმარტებები რომ შევაჯამოთ, აღმოვაჩენთ, რომ იგი სკოლაში მიმდინარე აქტივობების მუდმივი კვლევაა, რომლის საბოლოო მიზანს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება წარმოადგენს. პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასში ჩართული პირების პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ბევრი თეორეტიკოსი სკოლას დღეს არ აღიქვამს როგორც ორგანიზაციას, არამედ აღიქვამს როგორც სისტემას. ამგვარი გაგება მნიშვნელოვნად ცვლის შეფასებისა და თვითშეფასების მიმართ დამოკიდებულებებს. სისტემის მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ მასში ჩართულ ჯგუფებს შორის არამხოლოდ წრფივი დამოკიდებულებები არსებობს, არამედ მრავალმხრივი, ცირკულარული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომლის შედეგიც საბოლოო ჯამში ცვლილების მოტანაა. მის შიგნით არსებული ჯგუფები წყვეტენ რა აქტივობებისა და ცვილილებების განხორციელებაა საერთოდ შესაძლებელი. მსგავსი კავშირები არსებობს არამხოლოდ სისტემის შიგნით, არამედ მის გარეთ – სისტემა ურთიერთქმედებს გარემოსთან, იღებს მისგან უკუკავშირს და რეაგირებს მიღებულ სიგნალებზე. შესაბამისად, შეფასებისა და თვითშეფასების პროცესის ფორმალურმა აღქმამ შეუძლებელია დადებითი შედეგები მოუტანოს სკოლას და დაეხმაროს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაში.

საქართველოში სკოლის თვითშეფასების პროცესის ფორმალიზებას ხელი შეუწყო მაკონტროლებლის მოთხოვნამ სკოლის თვითშეფასების ფორმების შევსებასთან დაკავშირებით („ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის, 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება). საჯარო და კერძო სკოლებისათვის აღნიშნული ფორმა მონაცემების ფორმალური მოგროვების მექანიზმს წარმოადგენდა და სკოლისათვის რეალური შედეგის მომტანი არ იყო. იმ ფონზე, როდესაც შეფასებისა და თვითშეფასების პროცესის შესახებ საქართველოში არსებული ცოდნა მწირი იყო და არის, მსგავსი მშრალი კრიტერიუმებით სკოლის შეფასებამ ბევრ ადამიანს გაუჩინა განცდა, რომ თვითშეფასებაც რეალურად მშრალი მონაცემების ნაკრებს წარმოადგენდა. ამგვარი დამოკიდებულება ადგილს არ ტოვებს თვითშეფასების, როგორც სკოლის განმავითარებელი პროცესის აღქმისათვის. როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლის წარმომდგენლები ინტერვიუებში აღნიშნავდნენ, რომ მათთვის თვითშეფასების ამგვარი მექანიზმი არაფრისმომცემი იყო და ზედმეტ სამუშაოს წარმოადგენდა. ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ მარეგულირებლის მოთხოვნა სრულდებოდა.



თვითშეფასების, როგორც ფორმალურ და უშინაარსო პროცესად აღქმა მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. მსგავსი პრობლემები სხვა ქვეყნებშიც გვხვდება. მიზეზები მრავალგვარია. პირველია – პროცესის ნაბიჯების არცოდნა და/ან მათი სირთულე. რადგან სკოლებში მწირია ცოდნა კვლევის მეთოდებთან და მათ სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით და დიდია შიში შეცდომების აღიარებისა და აღმოჩენის შემთხვევაში სავარაუდო სადამსჯელო ღონისძიებების მიმართ. შესაბამისად, ის მასწავლებლები ვინც აცნობიერებენ საკუთარ და სკოლის სუსტ მხარეებს, ცდილობენ, დამალონ რეალობა, ხოლო ისინი, ვისაც საკუთარი შეცდომების დანახვა უჭირთ, თვლიან, რომ საღი-არებელი არაფერია. ორივე გარემოება ხელს უშლის ობიექტურ თვითშეფასების პროცესს და თუ მას ხარისხის მექანიზმის პირველ რგოლად წარმოვიდგენთ, ადვილი მისახვედრია, როგორ იმუშავებს ხარისხის ბორბალი საყრდენი დაზიანებული ხრახნით.

თვითშეფასების პროცესის ფორმალიზებას ხელს უწყობს ასევე არაეფექტური მენეჯმენტი. თუ მასწავლებლები თვლიან, რომ მათი შეცდომები არ იქნება სკოლის დირექციის მხრიდან ადეკვატურად აღქმული, ვერ მიიღებენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შესაბამის მხარდაჭერას და თანადგომას, პროცესშიც მხოლოდ ფორმალურად

კომპლექსური თვითშეფასების დროს ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით სკოლასთან დაკავშირებული ყველა სფეროს შეფასება. ამგვარი მექანიზმით სკოლას საშუალება აქვს, მიიღოს ზოგადი ინფორმაცია სხვადასხვა განშტოებებში არსებული გამოწვევების შესახებ და დაისახოს ზოგადი მიზნები ან გადაწყვიტოს გამოიკვლევს თუ არა რომელიმე სფეროს სიღრმისეულად.

ჩაერთვებიან. აქედან დასკვნა: თვითშეფასების პროცესი ურთიერთსწავლის, საჭიროებებზე ადეკვატური რეაგირებისა და მხარდაჭერის პირობებში უნდა მიმდინარეობდეს. აქ შეცდომების დაშვება სირცხვილი არაა – პირიქით, შეცდომების დაშვება აუცილებელია, რათა უკეთ ვისწავლოთ, პროფესიულად განვვითარდეთ და სკოლის წინსვლას შევუწყოთ ხელი.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში თვითშეფასების პროცესისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარია, საერთო ჯამში, იგი მაინც ცნობილ ხარისხის ციკლს ეფუძნება (PDCA). ხშირ შემთხვევაში, ხარისხის ციკლის ჩონჩხზე აგებულია პროცესი, რომელსაც რამდენიმე ნაბიჯი აქვს დამატებული ან ჩაშლილია. დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რა სფეროების გამოკვლევა გვსურს. ეს მიმართულებები ძირითადად პოლიტიკის დონეზე, მარეგულირებლის მიერ არის იდენტიფიცირებული, თუმცა სკოლის ადმინისტრაციას სრული უფლება აქვს, რაიმე დაამატოს ან თავისი შეხედულებისამებრ განავრცოს. დაგეგმვის ეტაპზე წყდება ის მიდგომები, რომლითაც მთელი პროცესის მანძილზე მიმდინარეობს მუშაობა. კერძოდ, ვირჩევთ ერთ კონკრეტულ ფოკუსს და ვართ ორიენტირებული ერთი სფეროს შეფასებასა და მის გაუმჯობესებაზე, თუ მივდივართ კომპლექსური მიდგომით, ვაფასებთ ყველა სფეროს ზოგადად.

ფოკუსირებული თვითშეფასების დროს სკოლის ადმინისტრაცია და პროცესში ჩართული მასწავლებლები ირჩევენ ერთ მიმართულებას, განსაზღვრავენ მისი შეფასებისათვის აუცილებელ მეთოდოლოგიას, აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ და გეგმავენ ინტერვენციებს. ინტერვენციის განხორციელების შემთხვევაში შერჩეული მეთოდოლოგიის მიხედვით კვლავ ხდება პროგრესის შეფასება და დგება საბოლოო ანგარიში – რამდენად შეესაბამება მიღებული შედეგები სასკოლო მიზნებს. ფოკუსირებული თვითშეფასების ამგვარი პროცესი ახლოს დგას პრაქტიკის კვლევასთან და მის სტრუქტურასთან. თუ სკოლა ფოკუსირებულ თვითშეფასებას აირჩევს, მას საშუალება ექნება, სიღრმისეულად შეაფასოს ერთი კონკრეტული სფერო და მთელი ძალების კონცენტრირება ერთი მიმართულებით მოახდინოს. ასეთ შემთხვევაში ხდება პრობლემის სიღრმისეული ანალიზი და დადებითი შედეგის მიღებაც უფრო სავარაუდოა.

ზოგადი, კომპლექსური თვითშეფასების დროს ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით სკოლასთან დაკავშირებული ყველა სფეროს შეფასება. ამგვარი მექანიზმით სკოლას საშუალება აქვს მიიღოს ზოგადი ინფორმაცია, სხვადასხვა განშტოებებში არსებული გამოწვევების შესახებ და დაისახოს ზოგადი მიზნები ან გადაწყვიტოს გამოიკვლევს თუ არა რომელიმე სფეროს სიღრმისეულად. კომპლექსური თვითშეფასების დროს სკოლას დასჭირდება მეტი რესურსის მობილიზება, ვიდრე ფოკუსირებული თვითშეფასების შემთხვევაში.

მაია მენაბდე

იზოლაციის მხატვრული ანალიზი

სანამ პანდემია დაიწყებოდა, ჩემი უმცროსი შვილი ჯერ კიდევ 3 წლის იყო და ბაღში დადიოდა. იქ, როგორც ჩანს, დედის დღის აღნიშვნას ზეიმით აპირებდნენ მაშინ. ახლა სექტემბერია და მარიტა დღემდე მხოლოდ ამ ზეიმისთვის ემზადება: ეძებს კაბებს, არჩევს სიმღერებსა და ლექსებს მხოლოდ დედის დღისთვის, ყოველდღე მაფრთხილებს, რომ მიწყობს სიურპრიზს.

გამუდმებით საუბრობს ბაღის მეგობრებზე და პარკში გასვლისას თვალების ცეცებით ეძებს არა გასართობს, არამედ ბავშვებს.

ჩემი უფროსი შვილი 11 წლისაა, სკოლას არც შესვლამდე სწყალობდა, არც შესვლის და არც ორგზის გამოცვლის მერე. ვერც ერთხელ ვერ ვაღიარებინე მისი საჭიროება, მით უმეტეს, აუცილებლობა. თითქმის სამთვიანი სახლში ჯდომის, ცხვირის გარეთ არგაყოფის შემდეგ, როცა ჯერ კიდევ გულუბრყვილოები ვიყავით და იმედი გვქონდა, ვუთხარი, მაისის ბოლოს მაინც შეიძლება, სკოლა დაგეწყოს- მეთქი და აუუუ, მე გავაცდენ რაااააო!!!

2.09.2020 – მნიშვნელოვანი თარიღია: დაჩიმ თავისთვის ჩაიბურტყუნა, სკოლა მომენატრაო.

ანრი მეცხრე კლასშია, გონებაგახსნილი, საღად მოაზროვნე, უცუღლუტეს-უზარმაცესია. პანდემიამდელ ცხოვრებაში თითზე ჩამოსათვლელად, უმეტესად ნიშნების გამო და იშვიათად ინტერესის გამო ჩაერთვებოდა ხოლმე გაკვეთილში. რაც სახლში ჩაჯდა და ონლაინ გაკვეთილები დავიწყეთ, არც ერთი გაკვეთილი არ გაუცდენია, აბსოლუტურად ყველა ტიპის დავალება შეასრულა, ზაფხულში წასაკითხი წიგნების სია საგანგებოდ ჩამომაწერინა და ზაფხულშივე მიგზავნიდა ამ წაკითხულზე გაკეთებულ ჩანაწერებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში რომ ვეკითხებოდი, რა საოცრება ხდება შენს თავს- მეთქი, პასუხი ერთი იყო: დედა სულ სახლშია, მასწ, თან გარეთაც ვერ გავდივარ.

დიდი ბრძოლებისა და გარჩევა-შეგონებების მერე მითხრა, სახლში შეეგუვნენ იმას, რომ სწავლა არ მინდა და შემეშვნენ, თქვენც სხვა

> სანამ სახლებში გამოგვკეტავდნენ, „ვეფხისტყაოსნის“ სწავლა უნდა დაგვეწყო. გამოგვკეტეს და მაინც დავიწყეთ. არც 30 წუთი გვყოფნიდა, არც – 40, ერთი საათის განმავლობაში ვისხედით ეკრანებთან და ვსაუბრობდით, განვიხილავდით, დავალებებს ასრულებდნენ, იშვიათად იღლებოდნენ.

გზა არ გაქვთო. ათასში ერთხელ შეასრულებდა დავალებას, მაგრამ ჯგუფურ მუშაობაში მაინც ერთვებოდა ხოლმე. ზოგადად, სიტყვების კარგად გარითმვაში „იყო შემჩნეული“ და კალამბურებიც გამოსდიოდა ისე, რა გამოსდიოდა, არ იცოდა.

რა თქმა უნდა, არც ერთ ონლაინგაკვეთილს არ დასწრებია. სამაგიეროდ, მის ფეისბუქგვერდზე ხშირად ჩნდებოდა მისი დაწერილი რეპის რეჩიტატივები.

დაბადების დღე რომ მქონდა, დილის 8 საათზე გამომიგზავნა რეჩიტატივი-მოლოცვა. აღვფრთოვანდი, თან გამიკვირდა, საიდან ახსოვდა. საღამოს გამახსენდა, რომ ადრე გავარკვიეთ, ერთ დღეს ვართ დაბადებული. გაურითმავად და უნიჭოდ მივულოცე.

ეკა ის გოგოა, ზამთარში გუდაურში რომ წაიყვანეს დასასვენებლად და გარეთ არ გასულა, მაინც ფეისბუქის „სქროლვით“ ირთობდა თავს. გაკვეთილზე არასოდეს ან ძალიან იშვიათად კითხულობს დავალებებს კლასის წინაშე, ზარი რომ დაირეკება, მერე მოდის და მამოწმებინებს ხოლმე. თვლის, რომ რასაც წერს, სისულელეა და ხმამაღლა თუ წაიკითხავს, ბიჭები დასცინებენ. ვეცადეთ ერთად, ვერ შემოვუარეთ ამ პრობლემას.

ელექტრონულ დავალებებზე რომ გადავედით, ხალისით ამყვა – ასე უკეთესია, მასწო.

სანამ სახლებში გამოგვკეტავდნენ, „ვეფხისტყაოსნის“ სწავლა უნდა დაგვეწყო. გამოგვკეტეს და მაინც

დავიწყეთ. არც 30 წუთი გვყოფნიდა, არც – 40, ერთი საათის განმავლობაში ვისხედით ეკრანებთან და ვსაუბრობდით, განვიხილავდით, დავალებებს ასრულებდნენ, იშვიათად იღლებოდნენ. ვისაც აინტერესებდა, ჩვეულებრივ ფორმატშიც ამაზე უკეთესად მაინც ვერ ვასწავლიდი, ალბათ.

დამატებით მასალებსაც გაეცნენ, ლექციებსაც მოუსმინეს, „ვეფხისტყაოსანზე“ დაწერილი მოთხრობაც წაიკითხეს და თავადაც დაწერეს, მინიატურაც გამოუვიდათ, ანალიზიც გააკეთეს ელექტრონულ ფორმატში, ბლიცინტერვიუც ჩაწერეს...

„ვეფხისტყაოსნელები“ დავარქვი მათ და ახლა, სასწავლო წელი რომ დაიწყება, ისევ „ვეფხისტყაოსანს“ დავუთმობთ პირველ ან მეორე გაკვეთილს და „ჭეშმარიტი ვეფხისტყაოსნელის“ სერტიფიკატის მოპოვებას ეცდებიან.

ესაა, რომ ჩვეულებრივ ფორმატში უფრო ბევრს კი დავაინტერესებდი.

ხომ არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებისთვისაც სკოლა, სწავლა, მასწავლებელი ტვირთი და სიმძიმე კი არა, აუცილებელი, საჭირო ურთიერთობაა. მეც მყავს ასეთები. ჰოდა, უმოწყალოდ შემცირებული საგაკვეთილო დრო რომ ამოგვეწურებოდა, სხვა გაკვეთილი თუ არ ეწყებოდათ, ვისხედით ასე, თითო-ოროლა, ჩვენს-ჩვენს ეკრანებთან, ვსაუბრობდით საკუთარ თავებზე. ვეკითხებოდი, რა და თუ შეცვალა მათში და მათ ირგვლივ იძულებითმა კარჩაკეტილობამ; ვყვებოდით, როგორი გახდა რუტინა და როგორ გამოგვეყენებინა თავისუფალი დრო გონივრულად... ვგრძნობდი, როგორ იყო სავსე მათი ყოველი წუთი ინტერესითა და პასუხისმგებლო-

ხომ არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებისთვისაც სკოლა, სწავლა, მასწავლებელი ტვირთი და სიმძიმე კი არა, აუცილებელი, საჭირო ურთიერთობაა. მეც მყავს ასეთები. ჰოდა, უმოწყალოდ შემცირებული საგაკვეთილო დრო რომ ამოგვეწურებოდა, სხვა გაკვეთილი თუ არ ეწყებოდათ, ვისხედით ასე, თითო-ორორა, ჩვენს-ჩვენს ეკრანებთან, ვსაუბრობდით საკუთარ თავებზე.

ბით – ასეთი უცნაურია ეს გრძნობა, უნარი თუ ჩვევა: თუ გონებასა და სხეულში გაჯდა, ველარ მოიშორებ. არც პანდემია ცვლის.

დათოს ყოველთვის უჭირს გაკვეთილში ჩართვა, კონკრეტულ საკითხებზე კონცენტრაცია, მაგრამ მაინც მოიძებნება ჩვენს გაკვეთილზე რაღაცები, რაც ეხალისება… და რაც მთავარია, მუდმივად ასხივებს სიყვარულს, სულ მაგრძნობინებს უთქმელად, თავისი ცელქი, მოუსვენარი თვალებით ან მოულოდნელი ჩახუტებით, რომ ვუყვარვარ, უხარია ჩემი დანახვა.

მაგრამ არც ერთ ონლაინგაკვეთილზე არ შემოსულა.

მე არ ვიცი, უხაროდა თუ არა სახლში ხანგრძლივად ჯდომა. არ ვიცი, რა გაუჭირდა ყველაზე მეტად, შეცვალა თუ არა მასში პანდემიამ რაიმე; ბოლოს და ბოლოს მოენატრა თუ არა სკოლა… ალბათ, მოენატრა კლასელები, იქნებ მეც მოვენატრე…

არც ირაკლის შესახებ ვიცი.
არც გიგას.
არც ნინოს.

ყველა ამბავი მართალია, სახელები – გადანაცვლებული. ნუ ეცდებით დალაგებას.

P.S. ჩანაწერების წერა რომ დავიწყე, შინაგანად ჯერ კიდევ მოსწავლეებთან სკოლაში შეხვედრისთვის ვემზადებოდი. ამ ყველაფერზე წერა, როგორც წარსულზე, უფრო ადვილი იყო.

ახლა სხვაგვარადაა, ბევრად უფრო აუტანელია ისევ ონლაინცხოვრებაზე ფიქრი. მაგრამ მთავარია, დავიჯეროთ, რომ სამყარო ჩვენი გაჯეტების ჩარჩოებით არ შემოიფარგლება. ის სინამდვილეში დაგუგლულზე მილიარდჯერ მშვენიერი და მრავალფეროვანია.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ვწერ მასწავლებლისთვის“



ერთმა სუსტმა ფერმწერმა აჩვენა მიქელანჯელოს ოთახი, რომელიც მისი ბრძანებით გაეთეთრებინათ და რომლის მოხატვასაც იგი აპირებდა.

– მგონი აჯობებდა, – უთხრა მიქელანჯელომ, – რომ ჯერ მოგეხატათ და შემდეგ გებრძანათ მისი გათეთ-რება.